

# საერთაშორისო ურთიერთობები

პოლიტიკური მეცნიერების ახალი სახელმძღვანელო  
(ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1996).  
რობერტ ე. გუდინის და ჰანს-დიტერ კლინგემანის  
რედაქციით

*New Handbook of Political Sciences* was originally published  
in English in 1996. This translation is published by arrangement with  
**Oxford University Press.**

# სარჩევი

კელ გოულდმანი. საერთაშორისო ურთიერთობები:

მიმოხილვა .....	4
<b>1. ერი-სახელმწიფოს მნიშვნელობა.....</b>	<b>8</b>
ა. სახელმწიფო, როგორც მხარდაჭერის ობიექტი .....	9
ბ. სახელმწიფო, როგორც შესწავლის ობიექტი .....	10
გ. სახელმწიფო, როგორც განმარტებითი ფაქტორი.....	12
დ. დასკვნა: „სახელმწიფოცენტრიზმი“, როგორც ემპირიული პრობლემა .....	13
<b>II კვლევის მიზანი და ცივი ომის დასასრულის პრობლემა.....</b>	<b>14</b>
ა. კვლევის I ტიპი .....	16
ბ. კვლევის II ტიპი.....	19
გ. კვლევის III ტიპი .....	21
დ. დასკვნა: სამი პროფესიული როლი.....	23
<b>III მიზანი, მნიშვნელობა და ინსტიტუტები.....</b>	<b>24</b>
ა. საგარეო პოლიტიკის ანალიზი .....	24
ბ. საერთაშორისო ურთიერთობები, როგორც ინსტიტუტები.....	27
1. თანხმობა .....	30
2. ინსტიტუციური ცვლილებები .....	32
<b>IV თეორია: ვარაუდი თუ დისკურსი? .....</b>	<b>35</b>
<b>V დასკვნა.....</b>	<b>38</b>
თავი 2 .....	40
<b>დევიდ სენდერსი. საერთაშორისო ურთიერთობები: ნეორეალიზმი და ნეოლიბერალიზმი .....</b>	<b>40</b>
<b>I სათავეებთან: ტრადიციული რეალიზმი, ნეორეალიზმი და ნეოლიბერალიზმი .....</b>	<b>41</b>

II საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიისადმი თამაშთა თეორიის მიდგომის შეზღუდულობა .....	44
ა. ეროვნული ინტერესების როლთან დაკავშირებული პრობლემები .....	45
ბ. „სტრუქტურული შეზღუდვების“ არადამაკმაყოფილებელი განსაზღვრება .....	47
III თამაშის თეორიისაგან თავისუფალი დამთმობი რეალიზმის საკითხისათვის .....	50
ჯ. ენ ტიკნერი. საერთაშორისო ურთიერთობები: პოსტპოზიტივისტური და ფემინისტური შეხედულებები	64
I საერთაშორისო ურთიერთობათა თეორია სახელმძღვანელოში .....	65
II კონსენსუსი რღვევის პროცესში .....	66
III საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის ამჟამინდელი მდგომარეობა .....	70
IV პერსპექტივები? .....	72
V ფემინისტური მიდგომა .....	74
ა. ახალი ფაქტები .....	75
ბ. ობიექტურობის ზრდა .....	79
გ. ახალი კონცეპტუალური სქემები .....	81
რობერტ ო. ქეოჰენი. საერთაშორისო ურთიერთობები: ბველი და ახალი .....	84
I მიზნები და მეთოდები .....	85
II რეალიზმის აღწერა და დაცემა .....	90
III არჩევანი და აუცილებლობა .....	95
IV ახალი საერთაშორისო ურთიერთობები .....	99
დასკვნა .....	102

# კელ გოულდმანი. საერთაშორისო ურთიერთობები: მიმოხილვა

დისციპლინის მიმოხილვისას არსებობს ამოცანის გადაჭრის ორი ძირითადი მიდგომა: კვლევის შედეგების მიმოხილვა ან დარგის საფუძვლების გამოკვლევა. ჩვენ არცერთ მათგანს არ ვირჩევთ. პირველი მათგანი ხელმისაწვდომია მხოლოდ მათთვის, ვინც კარგად არის გათვითცნობიერებული მთლიანად დარგში, რაც იშვიათია ისეთ მრავალმხრივ დისციპლინაში, როგორც საერთაშორისო ურთიერთობებია.<sup>1</sup> კენეტ უოლცმა სტატიაში *პოლიტიკური მეცნიერების ცნობარისათვის* (Waltz 1975) ამჯობინა მეორე მიდგომა, რომელიც შემდგომ დაამუშავა ნაშრომში *საერთაშორისო პოლიტიკის თეორია* (Waltz 1979). მე არ ვფიქრობ, რომ შევძლებ რაიმე მსგავსის შემოთავაზებას.

რის გაკეთებასაც ვაპირებ, გაცილებით უფრო შეზღუდულია. მიმოხილული იქნება ოთხი სადავო საკითხი: 1) სახელმწიფოს როლი თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში; 2) ამგვარი საკითხების კვლევის არსი; 3) დანიშნულებისა და აზრის მნიშვნელოვნება საერთაშორისო ურთიერთობებში; 4) საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები – საცდელი ვარაუდები თუ ძალაუფლების ინსტრუმენტი. ესაა საკითხები, რომლებიც გვანტერესებს ჩვენ, საერთაშორისო ურთიერთობების მრავალ მკვლევარს და რომლის შესახებაც ისე ვკამათობთ, რომ გაუგებრობა იქმნება.

ჩემი აზრით, ამ დაბნეულობის ერთ-ერთი მიზეზი გახლავთ წარმოდგენა საერთაშორისო ურთიერთობების სფეროზე, როგორც არენაზე, სადაც „სკოლების“ და „მიდგომების“ მცირე რიცხვი მუდმივად იბრძვის საკუთარი განსხვავებული თვალსაზრისების დასა-

---

<sup>1</sup> დიდი ხანია მსჯელობენ იმაზე, თუ რა არის საერთაშორისო ურთიერთობები – დამოუკიდებელი დისციპლინა, პოლიტიკური მეცნიერების სუბდისციპლინა თუ მულტიდისციპლინური კვლევის სფერო („ინტერდისციპლინა“, ოლსონისა და ონაფის მიხედვით (Olson and Onuf 1985: 4). მე არ ჩავეუღრმავებ ამ ბევრისთვის საინტერესო საკითხს. წინამდებარე თავში საერთაშორისო ურთიერთობებს მხოლოდ სიმარტივისათვის მოვიხსენიებთ, როგორც დისციპლინას და არა როგორც სუბ ან ინტერდისციპლინას.

ცავად. თუკი დისციპლინის შიგნით არსებული პრობლემები მდგომარეობს „რეალიზმსა“ და თითო-ოროლა „სკოლასა“ თუ „მიდგომას“ შორის არსებულ ყოვლისმომცველ დაპირისპირებაში, მაშინ ეს პრობლემები ადვილად ბუნდოვანდება. მაგალითად, ასე ხდება ხოლმე პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებით საარჩევნო კამპანიის დროს. ამგვარი საკითხების განხილვა უდავოდ სასარგებლო იქნება საყოველთაო ბიპოლარული თუ ტრიპოლარული კონფრონტაციის არსებობის შესახებ მოსაზრების უარყოფისას.

ქვემოთ უნდა განვასხვავო შინაარსი, ღირებულებები და მეთოდები. საერთაშორისო ურთიერთობების შემსწავლელებმა, სოციალურ მეცნიერებათა სხვა დარგების მკვლევართა მსგავსად, უნდა გაარჩიონ: 1) შესწავლის საგნის შინაარსის თავისებურებანი; 2) ღირებულებები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელონ კვლევისას; 3) კვლევის მეთოდები, რომლებიც უნდა გამოიყენონ. გამიჯვნა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ შინაარსს, ღირებულებებსა და მეთოდებს არა აქვთ ურთიერთკავშირი. ეს არ არის ღირებულებებისგან თავისუფალი კვლევისა და თეორიისგან დაცლილი შინაარსის ილუზიის ნოსტალგია. ამ განცალკევების საფუძველი უფრო პრაგმატულია, ვიდრე ეპისტემოლოგიური: სწავლულთა შორის კონფლიქტის მოგვარების გამოსადეგი გზა დამოკიდებულია მათ შორის არსებული განსხვავებების ხასიათზე.

ასე მაგალითად, თუ განსხვავება არსებობს შინაარსში (ვთქვათ, ის ეხება, „დაშინების თეორიის“ ვარგისიანობას ან ერთმანეთზე დამოკიდებულებისა და მშვიდობის უზრუნველმყოფი ინსტიტუტების ფარდობით ღირსებებს), სადავო საკითხის განხილვის აშკარა გზა შემდგომი ანალიზია. თუკი, მეორე მხრივ, განსხვავება არსებობს ღირებულებებთან დაკავშირებით (ვთქვათ, ლაპარაკია, იმის შესახებ, გამართლებულია თუ არა დაშინება ომის თავიდან ასაცილებლად ან რას უფრო უნდა მივაქციოთ ყურადღება – სოციალურ სამართლიანობას თუ ომის თავიდან აცილებას), როგორც ჩანს, მშვიდობიანი თანაარსებობა შესაფერისი აკადემიური პასუხია. მკვლევართა შორის პოლიტიკური უთანხმოება ვერ მოგვარდება სამეცნიერო ანალიზით და არ უნდა მოგვარდეს პოლიტიკური დიქტატის გზით. მეთოდთან დაკავშირებული განსხვავებები (მაგალითად, წარმოადგენს თუ არა დაშინების თეორია ჰიპოთეზას, რომელიც უნდა შემოწმდეს, თუ ეს იდეოლოგიაა, რომელიც უნდა დაინ-

გრეს; ან კიდევ, შესაძლებელია თუ არა მშვიდობის მშენებლობის შესახებ ორიენტირებული ცოდნის შექმნა) რთულია, ვინაიდან ამ შემთხვევაში სამეცნიერო საზოგადოება ერთდროულად უნდა იყოს ღია და პრინციპული. იმისათვის, რომ აზრი ჰქონდეს ამ საკითხებზე კამათს, საჭიროა ის მაინც გავარკვიოთ, თუ რას განვიხილავთ – შინაარსს, ღირებულებას თუ მეთოდს. ეს ყოველთვის ასე როდია საერთაშორისო ურთიერთობების დარგში.

საერთაშორისო ურთიერთობები აკადემიური დისციპლინაა, რომლის შესახებაც არსებული ლიტერატურა სულ უფრო იზრდება. აქ გამოთქმულია თანხმობა იმის თაობაზე, რომ საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში მოხდა გადანაცვლება „მსხვილიდან“ „საშუალო რანგის“ თეორიებისაკენ. ერთადერთი გამონაკლისი უოლცის საერთაშორისო პოლიტიკის თეორიაა. დისციპლინისათვის ბანალური ჭეშმარიტებაა ის, რომ „მსხვილი“ თეორიის ძიება ქიმერა აღმოჩნდა (Hoffman 1977: 52), 60-იანი წლების განზოგადების სურვილი „დღეს უვარგისად და პრეტენზიულადაც კი გამოიყურება“ (Olson and Onuf 1985: 13). შეიმჩნევა კიდევ ერთი ტენდენცია – საერთაშორისო პოლიტეკონომიის, როგორც სუბდისციპლინის, გამოჩენა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების, ასევე საერთაშორისო წესრიგისათვის საჭირო პირობების შესწავლის კვალდაკვალ. დისციპლინის მესამე თავისებურება, როგორც ხშირად აღნიშნავენ, არის აშშ-ის მუდმივი დომინირება: საერთაშორისო ურთიერთობების სტენლი ჰოფმანისეული დახასიათება, რომელსაც ხშირად იმოწმებენ, ამგვარად ჟღერს – „ამერიკული სოციალური მეცნიერება“ (Hoffman 1977).

უკვე ვისაუბრეთ იმ ღირსშესანიშნავ თავისებურებაზე, თუ როგორია თავად დისციპლინის თვითაღქმა: ეს არის სფერო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ფუნდამენტური განხეთქილებანი, რის გამოც პერიოდულად აღმოცენდება ხოლმე პრინციპული ხასიათის დებატები. პირველი დავა, სტანდარტული შეხედულების მიხედვით, გაიმართა დისციპლინის თავდაპირველ „იდეალიზმსა“ და „რეალიზმს“ შორის. ის დისკუსია, რომელსაც თავად მონაწილეები პრეტენზიულად „მეორე დიდ დებატებს“ უწოდებენ, გაჩაღდა მეცნიერული მიდგომის დამცველთა და ტრადიციული მიდგომის მომხრეთა შორის. შემდგომ, როგორც ამბობენ, ამას მოჰყვა „მესამე დებატები“. ამ დებატებში ჩაბმულ ერთ მხარეს „ნეორეალიზმი“ წარმოადგენდა: რეალიზმი „არ მომკვდარა, ის უბრალოდ იატაკქვეშეთში

გადავიდა“ (Banks 1984: 13). ნაკლებად ცხადია, თუ ვინ იყო მისი მოწინააღმდეგე: „გლობალისტები“ (Maghroori and Ramberg 1982); „პლურალისტები“ და „სტრუქტურალისტები“ (Banks 1984: 15; Hollis and Smith 1990: 38-40); „გლობალისტები“ და „ნეომარქსისტები“ (Holsti 1985); „პოსტპოზიტივიზმი“ (Lapid 1989); „ტრანსნაციონალური პარადიგმა“ და „გლობალისტური პარადიგმა“ (Knutson 1992: 235-6); „მსოფლიო საზოგადოების მიდგომები“ და „სტრუქტურული მიდგომები“ (Olson and Groom 1991); „ურთიერთდამოკიდებულება“ და „გლობალიზმი“ (Wæver 1992: 19-21); ან შეიძლება „საერთაშორისო ურთიერთობების კრიტიკული თეორია“ (George 1989, Brown 1993: 12).

საერთაშორისო ურთიერთობების თეორია „მესამე დებატების“ მთავარი თემა იყო. უოლცის ნაშრომი სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილება, როგორც „ბიუროკრატიული პოლიტიკის“, „ურთიერთდამოკიდებულების“ და სხვა სუბნაციონალური და ტრანსნაციონალური კონცეფციების წინააღმდეგ მიმართული რეალისტური კონტრიერიში (Wæver 1992: 20; Brown 1993: 5). საპასუხო იერიში ინტენსიური იყო. დღეისათვის დაგროვდა აურაცხელი ლიტერატურა, სადაც საერთაშორისო პოლიტიკის თეორია გაკრიტიკებულია ყველა შესაძლო პოზიციიდან. საერთაშორისო პოლიტიკის თეორიისგან გამიჯვნა პოლიტიკური კორექტულობის სოციალურ-სამეცნიერო ეკვივალენტად იქცა. აკრიტიკებენ როგორც არსს, ისე მეთოდსა და ღირებულებებს. ნეორეალიზმს აკრიტიკებენ გასათვალისწინებელი ფაქტორების არასწორი გათვლის, არადამაჯერებელი ეპისტემოლოგიური საფუძვლის და პოლიტიკური კონსერვატულობის გამო. იგულისხმება, რომ ყოველივე ეს, ბუნებრივია, შერწყმულია. უცნაურია, მაგრამ როგორც ჩანს, ყველა ეთანხმება იმ აზრს, რომ წლების მანძილზე დაუზოგავი კრიტიკის მიუხედავად, „რეალიზმის ორთოდოქსულობამ“ მისთვის დამახასიათებელი აქცენტით საერთაშორისო სისტემაზე, ერ-სახელმწიფოზე და მშვიდობისა და უსაფრთხოების პრობლემებზე, შეინარჩუნა გავლენა დისციპლინაზე.<sup>2</sup>

რეალისტური თეორიის გარშემო გამართულმა დებატებმა ხელი შეუწყო მნიშვნელოვანი თეორიული ამოცანებისა და წინადადებების განსაზღვრას. ყოველივე ეს თავმოყრილია დევიდ სენდერსის

---

<sup>2</sup> ამასთან დაკავშირებული მონაცემების კონტენტ-ანალიზი იხ. Goldmann 1995: 246.

სტატიაში, რომელიც შესულია ამ კრებულში. დებატები ნაკლებად წაადგა ამ სფეროს განსაზღვრას როგორც გაბატონებული „სკოლების“ დაპირისპირებას, რომლებითაც ამოიწურება ჩვენი არჩევანის შესაძლებლობა. ჩვეულებრივ მიღებულია, რომ საერთაშორისო ურთიერთობები აშშ-ის მიერ მართული კონგლომერატების ოლიგოპოლისტურ შეჯიბრად გადაიქცა. ამგვარია საერთაშორისო ურთიერთობების შაბლონური სახე. ეს კონგლომერატები გვთავაზობენ წინადადებათა პაკეტს, რომელიც უნდა მივიღოთ ან უარვყოთ *in toto* და არა საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც თავისუფალი ბაზრის, ხედვა, სადაც დამოუკიდებელ მწარმოებელთა დიდი რაოდენობა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან სხვადასხვა საქონელს გვთავაზობს. ამას გარდა, არსებობს უთანხმოება იმის თაობაზე, თუ რას შეიცავს თითოეული პაკეტი. მომხმარებლის წინაშე არსებულ ამოცანას ართულებს კიდევ პაკეტებში ბრწყინვალე აზრების ჩადების ტენდენცია.

ამიტომ თავის დანარჩენი ნაწილი დაწერილია მომხმარებლის ცნობარის სტილით. ჩვენი მიზანია, გამოვააშკარაოთ, თუ რის თაობაზე არსებობს უთანხმოება და რის თაობაზე – არა, რა თქმა უნდა, ზოგადი მონახაზის ფორმით, მოცემული თავის ჩარჩოებიდან გამომდინარე.

## 1. ერი-სახელმწიფოს მნიშვნელობა

პირველი საკითხი ეხება ერი-სახელმწიფოს. არც ერთი სხვა ცნება არ არის საერთაშორისო ურთიერთობათა დარგისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი. სახელმწიფო, ერი-სახელმწიფოს გაგებით, „საერთაშორისოს“ განმსაზღვრელი ნიშანია. სახელმწიფოს რომ არ ეარსება, არც საერთაშორისო ურთიერთობები იარსებებდა. „ცნების [სახელმწიფო] გარეშე, მკვლევრებს მოუხდებოდათ უარის თქმა მტკიცებაზე „საერთაშორისო“ ან „სახელმწიფოთაშორისო“ სფეროს გარკვეული უნიკალურობის შესახებ“ (Ferguson and Mansbach 1989: 2). მიუხედავად ამისა, საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის წამყვან მიმართულებას, ჩვეულებრივ, აკრიტიკებენ „სახელმწიფოცენტრულობის“ გამო.

შეიძლება იმის მტკიცება, რომ ერი-სახელმწიფოს ცნება ზედმეტად არაერთმნიშვნელოვანი, წინააღმდეგობრივი ან ნორმატიულ-

ია (Ferguson and Mansbach 1989: 41-80), რომ მისი საშუალებით განისაზღვროს სამეცნიერო დისციპლინა. თუმცა „სახელმწიფოცენტრულობის“ კრიტიკოსები ნაკლებად გულისხმობენ ამ მოსაზრებას და იშვიათად სვამენ კითხვას „საერთაშორისო ურთიერთობების“ ცნების არსის შესახებ. რასაც ისინი აკრიტიკებენ, უფრო კონკრეტული ვარაუდია, რომელიც, მათი რწმენით, დომინირებს დარგში. ეს ვარაუდი შემდეგში მდგომარეობს: „ერი-სახელმწიფო ან ისინი, ვინც მისი სახელით გადაწყვეტილებას იღებენ, უმნიშვნელოვანესი აქტორებია საერთაშორისო ურთიერთობების გასაგებად“ (Vasquez 1983: 18).

შეხედულება იმის თაობაზე, რამდენად მოტივირებულია ეს ვარაუდი, სწორედ ის მახასიათებელია, რომლის მიხედვითაც მკვლევრები დაპირისპირებულ ბანაკებად ერთიანდებიან. ასეა თუ ისე, ამ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება არსებობდეს, სულ ცოტა, სამგვარი წინააღმდეგობა.

## ა. სახელმწიფო, როგორც მხარდაჭერის ობიექტი

ერთ-ერთი ინტერპრეტაციის თანახმად, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს, თუ ვის უნდა დავუჭიროთ მხარი და ვის დავუპირისპირდეთ. თუკი წარმოჩენილია „არასახელმწიფოებრივი აქტორების“ – მაგალითად, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ტრანსნაციონალური სახალხო მოძრაობების – მნიშვნელობა, შესაძლოა ეს იმას ნიშნავდეს, რომ ამგვარი ფენომენი, სახელმწიფოთა და მთავრობათა გვერდით, უნდა განიხილებოდეს ლეგიტიმურ საერთაშორისო აქტორად, ანუ არასახელმწიფოებრივი აქტორები მნიშვნელოვანი უნდა იყოს. ამ გაგებით, „სახელმწიფო-ცენტრიზმი“ წარმოადგენს ერი-სახელმწიფოს თავდაცვას ინტერნაციონალისტური გამოწვევის საპასუხოდ. როდესაც აქცენტი კეთდება მულტინაციონალური კორპორაციების (MNCs) მსგავს არასახელმწიფოებრივ აქტორებზე, მთავარია ნათლად გამოიკვეთოს, რომ ამ კორპორაციების საქმიანობა იმდენადვე საინტერესოა, როგორც სახელმწიფოთა და მთავრობათა მოღვაწეობა. ყურადღება უნდა მივაქციოთ არა მხოლოდ სახელმწიფოების „პირდაპირ“ ძალადობას, არამედ ასევე მულტინაციონალური კორპორაციების „სტრუქტურულ“ ძალადობას (სტრუქტურული ძალადობის შესახებ იხ. Galtung 1969). ზოგჯერ, როდესაც ნაციონალური ინტერესის ცნება უარყოფილია, ეს იმის საფუძველზე ხდება, რომ ინტერესები, რომლებიც ჩვენ უნდა გამოვავლინოთ, ინდივიდე-

ბისა და სოციალური კლასების, ტრანსნაციონალური დაჯგუფებების ან, შესაძლოა, სულაც იდეათა სისტემების ინტერესებს წარმოადგენს და არა სახელმწიფოებისას.

ამდენად, დავა „სახელმწიფოცენტრიზმის“ გამო, ნაწილობრივ, ლეგიტიმურობისა და გამართლებული დაინტერესების საკითხზე კამათიცაა. ეს პოლიტიკურ ღირებულებათა საკითხი უფროა, ვიდრე სოციალურ-სამეცნიერო ანალიზის საქმე. საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში სახელმწიფოს ცნების შესახებ ორმა საფუძვლიანმა დისკუსიამ გვიბიძგა, რომ ეს კონცეფცია განგვეხილა, როგორც ნორმატიული (Ferguson and Mansbach 1989: 87). როგორც ჩანს, შეიძლება დავასკვნათ, რომ „საერთაშორისო ურთიერთობები“, როგორც კვლევის სფერო და მისი ჩართვა პოლიტიკური მეცნიერების ცნობარში, პოლიტიკური აქტებია.

## **ბ. სახელმწიფო, როგორც შესწავლის ობიექტი**

მეორე ინტერპრეტაციის თანახმად, მნიშვნელოვანია, თუ რის ახსნასა და გაგებას უნდა ვესწრაფოდეთ. ყოველ შემთხვევაში, ამ თვალსაზრისით მაინც, საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ძირითადი მიმართულება უდავოდ „სახელმწიფოცენტრულია“. თუ მოვიშველიებთ პროგრამულ დებულებებს, ციტირებულს მეოთხედი საუკუნის წინ საკმაოდ პოპულარული ტექსტიდან, „საერთაშორისო ურთიერთობების არსებითი ბირთვი სუვერენული სახელმწიფოების მთავრობათა ურთიერთქმედებაა“ (Platig 1969: 16). ასეა დღესაც. თუ დისციპლინას აქვს ჩამოყალიბებული კვლევითი პროგრამა, ის სწორედ ესაა.

ამგვარი აქცენტირების გაკრიტიკება შეიძლება იმის საფუძველზე, რომ ერ-სახელმწიფოთა და მთავრობათა ქმედებანი და ურთიერთქმედებანი არაა მნიშვნელოვანი და რომ „პოლიტიკაში რეალურ ჯგუფებს ან ერთეულებს“ კლასები ან ტრანსნაციონალური კოალიციები წარმოადგენენ (Vasquez 1983: 214). ამიტომ დროის ფუჭი კარგვაა იმის კვლევა, თუ რატომ მოქმედებენ და ურთიერთქმედებენ სახელმწიფოები და მთავრობები ამა თუ იმ ფორმით. თუკი ნაკლებად რადიკალურნი ვიქნებით, სახელმწიფოები და მთავრობები სულ უფრო იზღუდებიან ერთმანეთზე დამოკიდებულებით და ინსტიტუტებით, ომი სულ უფრო მეტად კარგავს ფუნქციას, ეროვნული უსაფრთხოების პრობლემები ზედმეტი ხდება, მოკლედ, „ვეს-

ტფალიის ტაძრის ბურჯები“ „იხრწება“ (Maghroori and Ramberg 1982: 16-17; Zacher 1992). „სახელმწიფოცენტრიზმის“ პრობლემა, ამ ინტერპრეტაციით, დაიყვანება კითხვამდე: იწვევს თუ არა მოვლენათა ამგვარი განვითარება ჩვენთვის საინტერესო პრობლემების (მშვიდობა და უსაფრთხოება, პოლიტიკური ეკონომია) ახსნისა და გაგების შესაძლებლობათა შემცირებას, თუკი ყურადღება გამახვილდება მხოლოდ სახელმწიფოთა და მთავრობათა ქმედებებსა და ურთიერთქმედებებზე?

საკითხი მხოლოდ და მხოლოდ ემპირიული შეიძლება იყოს. კვლევის სამ მიმართულებას შეუძლია ნათელი მოჰფინოს იმას, მოტივირებულია თუ არა ვარაუდი, რომ სახელმწიფოებისა და მთავრობების ქმედებები და ურთიერთქმედებები მნიშვნელობას კარგავს.

- უნდა დავადგინოთ, თუ რამდენადაა შესაძლებელი საერთაშორისო შედეგების ახსნა და გაგება ერი-სახელმწიფოებისა და მთავრობების გაუთვალისწინებლად.

- უნდა გაირკვეს, ერი-სახელმწიფოს გავლენაზე, დამოუკიდებლობასა და იდენტურობაზე როგორ იმოქმედა საერთაშორისო ურთიერთდამოკიდებულებისა და ინსტიტუტების მშენებლობის ზრდამ. პარადოქსულია მტკიცება, რომ დასავლეთ ევროპის ინტეგრაცია სახელმწიფოს ძალაუფლების გაძლიერების წინაპირობა უფროა, ვიდრე მისი დაკნინების მიზეზი (Milward 1992).

- საჭიროა იმის გამოკვლევა, რამდენად დაანებეს თავი საკუთარი სახელმწიფოების დამოუკიდებლობის, გავლენისა და იდენტურობის პრიორიტეტულ განხილვას პოლიტიკაში.

პასუხები შეიძლება მონაცვლეობდეს სხვადასხვა ქვედარგში, განსაკუთრებით საერთაშორისო მშვიდობა-უსაფრთხოებასა და საერთაშორისო ეკონომიკურ პოლიტიკაში: წარსულში პრობლემათა სფეროების გამიჯვნის არარსებობამ (Vasquez 1983: 214) ჩიხში შეიყვანა დებატები სახელმწიფოს მნიშვნელობის თაობაზე.

კვლევის ამ სამი მიმართულებიდან მესამე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ გადამწყვეტი როლის გამო, რომელსაც ის ასრულებს წამყვან თეორიაში ეროვნული დამოუკიდებლობის წახალისებისას. ავტორები ყოველთვის არ განმარტავენ, თუ რატომ განიხილავენ სახელმწიფოთა სისტემას, როგორც კონსტანტას. თუმცა, გა-

მონაკლისია მორგენტაუ (Morgenthau 1985: 525). ის ამტკიცებს, რომ მსოფლიო მთავრობის არსებობა შეუძლებელია ადამიანების დამოკიდებულებებიდან გამომდინარე.

„[ადამიანების] დიდი უმრავლესობა იმას, რასაც ისინი საკუთარი ერის კეთილდღეობად მიიჩნევენ, მუდამ ყველაფერზე მაღლა დააყენებს, მათ შორის მსოფლიო სახელმწიფოს ინტერესებზე მაღლაც... მსოფლიო ხალხები არ არიან მზად იმისათვის... რომ ჩამოაგდონ ტახტიდან ერი და მის ადგილზე კაცობრიობის პოლიტიკური ორგანიზაცია აიყვანონ. მათ სწადიათ და შეუძლიათ, თავი გაწირონ ეროვნული ხელისუფლების შესანარჩუნებლად.“

აზროვნების ამგვარი მიმართულების მიხედვით, „სახელმწიფო-ცენტრიზმი“ კვლევაში უბრალოდ ასახავს იმ ფაქტს, რომ ხალხები (და არა მათი მთავრობები) ეროვნულ დამოუკიდებლობას უყურებენ, როგორც ფუნდამენტურ ადამიანურ მოთხოვნილებას ან ღირებულებას, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბდა და განმტკიცდა პოლიტიკური პროცესებით, XX საუკუნის ოფიციალურ საერთაშორისო დეკლარაციებში კი კანონიერ უფლებად გამოცხადდა. მართლაც, მიემართება თუ არა დამოუკიდებულებები სხვა მიმართულებით, “სახელმწიფოცენტრიზმის“ თაობაზე წარმომოხილი დებატების ერთ-ერთი ყველაზე მთავარი საკითხია.

## **გ. სახელმწიფო, როგორც განმარტებითი ფაქტორი**

მესამე ინტერპრეტაციით, „სახელმწიფოცენტრიზმის“ დადანაშაულება გულისხმობს, რომ კვლევის წამყვანი მიმართულება ცდება ვარაუდში, რომლის თანახმადაც სახელმწიფოთა და მთავრობათა ქმედებები და ურთიერთქმედებები შეიძლება სრულად აიხსნას სახელმწიფო და სახელმწიფოთაშორის დონეზე. ეს კრიტიკა, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება წინამორბედისგან, აშკარად სპეციფიკურ ხასიათს ატარებს. თუკი საერთაშორისო ურთიერთობების დარგი ნამდვილად უცვლელად სახელმწიფოცენტრისტულია, ასახსნელის (explananda) არჩევანში, ეს არ იქნება მართებული მტკიცება ამხსნელებთან (explanantes) მიმართებაში. უკვე 1960-იანი წლებში ციტირებულ ლიტერატურაშიც კი ჩამოთვლილია უამრავი შინასახელმწიფოებრივი თუ არასახელმწიფოებრივი ფაქტორი, რომელსაც აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლისას (Platig 1969: 17-19).

სრული სიმართლეა, რომ უოლცის *საერთაშორისო პოლიტიკის თეორია* შემოიფარგლება სახელმწიფოთაშორისი სისტემის დონით. თუმცა ეს აშკარად საპირისპიროა დისციპლინის შიგნით არსებული ტენდენციებისა. უცნაურია, რომ ეს არატიპური ნაშრომი მოგვევლინა კვლევის ძირითადი მიმართულების კონსპექტად, რომელიც მოიცავს ანალიზის თითქმის ყველა შესაძლო დონეს. ისტისალმორი-ჰერმანი (1978) და ჰერმანი-კეგლი-როზენაუ (1987) – ეს სტანდარტული ჯგუფია შედარებითი საგარეო პოლიტიკის სფეროში. ისინი დისციპლინის მრავალშრიანი კვლევის ჭეშმარიტი გამომგონებლები არიან. თუკი არსებობს რაიმე უმჯობესი, ეს პოლიტიკური მეცნიერების სხვა სფეროებში არსებული მრავალფეროვნებაა, რომელიც მიღწეულია სიტუაციური ცვლილების გვერდით ინდივიდუალური ფენომენის, მაგალითად, აქტის, ჩართვით (ორივე ასახავს გავრცელებულ წარმოდგენას, თუ რა განასხვავებს საერთაშორისო პოლიტიკას საშინაო პოლიტიკისგან). ამ ეკლექტიზმის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ცოტა თუ ვიცით სხვადასხვა დონეზე ფაქტორთა მეტ-ნაკლები მნიშვნელობის შესახებ. რის თქმაც არ შეიძლება ისაა, რომ ამ მესამე თვალსაზრისით, კვლევა „სახელმწიფოცენტრულია“.<sup>3</sup>

## **დ. დასკვნა: „სახელმწიფოცენტრიზმი“, როგორც ემპირიული პრობლემა**

ამგვარად, „სახელმწიფოცენტრიზმის“ საკითხი ნაწილობრივ პოლიტიკური საკითხია, ნაწილობრივ კი, არც არის პრობლემა. კვლავაც არსებობს საფუძველი ვიკვლიოთ, თუ როგორ მოქმედებს სახელმწიფოზე და მის მიმართ დამოკიდებულებაზე საერთაშორისო ურთიერთობებში წარმოქმნილი სიახლეები. მკვლევრები დიდი ხანია აღნიშნავენ, რომ პოლიტიკა ტრანსნაციონალური, ერი-სახელმწიფოები კი ხელყოფილი ხდება, თუმცა ამ მიმართულებით უფრო მეტია გასაკეთებელი. ცივი ომის შემდგომ ევროპას, აღორძინებული ნაციონალიზმისა და აღმავალი ინტერნაციონალიზმის პარადოქსული კომბინაციით, ბევრის შემოთავაზება შეუძლია ემპირიულ კვლე-

---

<sup>3</sup> ამ პრობლემასთან დაკავშირებული რაოდენობრივი მონაცემებისთვის იხ. Goldmann 1995: 248.

ვაზე ორიენტირებული მეცნიერებისათვის. თანდათან ევროპის კავშირი შესწავლის მთავარ ობიექტად ყალიბდება საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევართათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მათი სფეროს საფუძვლების ძიებით.


## II კვლევის მიზანი და ცივი ომის დასასრულის პრობლემა

სასარგებლო იქნებოდა, გამოგვეამკარავებინა საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის მიზნებს შორის არსებული განსხვავებანი, რომლებიც ნავარაუდევია „დებატებში“. კვლევის ობიექტი და მეთოდი დამოკიდებულია მისი გამოყენების მიზანზე. ორიენტაცია, რომელიც გამოსადეგია ერთი მიზნისათვის, შეიძლება უვარგისი იყოს მეორისათვის. წინამდებარე ქვეთავში გამოყოფილია საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის სამი მიზანი არა ავტორების ტიპოლოგიზაციისათვის, არამედ ყურადღების გასამახვილებლად იმაზე, თუ როგორი დამოკიდებულება არსებობს ორიენტაციასა და მიზანს შორის.

საილუსტრაციოდ გამოყენებული იქნება პრობლემები, რომელთა წინაშეც დისციპლინა ცივი ომის დასრულების შემდეგ აღმოჩნდა. გარდატეხა, რომელიც მოხდა მსოფლიო პოლიტიკაში 80-იანი წლების მეორე ნახევარში საერთაშორისო ურთიერთობების მხოლოდ რამდენიმე მკვლევარმა იწინასწარმეტყველა. ძნელია შეედავო გადისის (Gaddis 1992: 53) დასკვნას, რომ „1945 წლიდან განვითარებული სამი ძირითადი მიმდინარეობიდან“ (გადისის კლასიფიკაციით – ბიჰევიორისტული, სტრუქტურული და ევოლუციონისტური მიმდინარეობები) „ერთმაც კი ვერ ამოიცნო, თუ როგორ დასრულდებოდა ცივი ომი“. მართლაც, საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლა, 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან მოყოლებული 80-იანი წლების შუა პერიოდამდე, შეიძლება დახასიათდეს, როგორც ცივი ომის მდგრადი არსებობის ახსნების დაგროვება. ვარაუდების დიაპაზონი მოიცავდა საერთაშორისო ანარქიას – მისი თანმხლები უსაფრთხოების დილემას, გამალელებული შეიარაღების ესკალაციის თანდაყოლილ მიდრეკილებას, სამხედრო სამრეწველო ლობის მაქინაციებს, აგრეთვე ადამიანების მიდრეკილებას, უგულვებელყოთ მათთვის მიუღებელი ინფორმაცია. ჯამში მივიღეთ საერთაშორისო სის-

ტემის უცვლელობის მძლავრი თეორია. ამ მდიდარი ლიტერატურის მიხედვით, ნაკლებად მოსალოდნელი იყო აღმოსავლეთ-დასავლეთის კონფრონტაციის მშვიდობიანი გზით და მოკლე დროში დასრულება. აქედან გამომდინარეობს „ცივი ომის დასასრულის“ პრობლემა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამის პასუხად შეიძლება მივიღოთ როგორც ინტერესი, ისე აღელვება ან სულაც ინდიფერენტულობა, იმისდა მიხედვით, თუ ვის რა კვლევის მიზანი დაუსახავს. კვლევის მიზნის სამშრიანი ტიპოლოგია მოცემულია სქემაზე 16.1.<sup>4</sup> საქმე გვაქვს არა ავტორებისათვის იარლიყის მიკერებასთან, მით უფრო, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში საკმარისზე მეტი „სკოლები“ თუ „მიდგომები“ არსებობს, არამედ კვლევითი ორიენტაციების, როგორც მხოლოდ მიზნის მიღწევის საშუალების შეფასებისკენ გზის გაკვლევის მცდელობასთან. კამათი ხერხებთან დაკავშირებით გაუგებრობას იწვევს, თუკი მოკამათებს გაცნობიერებული არ აქვთ მიზნებთან დაკავშირებული აზრთა სხვადასხვაობა.



სქემა 16.1 კვლევის სამი მიზანი

<sup>4</sup> ამგვარი ტიპოლოგია თავდაპირველად ჰაბერმასმა შემოგვთავაზა. ჰაბერმასი განასხვავებს ემპირიულ-ანალიტიკურ, ისტორიულ-ჰერმენევტიკულ მეცნიერებებს და კრიტიკულ თეორიას (Brown 1992: 201-2). ასეა თუ ისე, ჩემი ტიპოლოგია ეხება მხოლოდ კვლევის წარმართვის მიზანს და არა მიდგომებს შორის არსებულ განსხვავებებს.

პირველ რიგში, განვასხვავებთ პოზიტიური და ნეგატიური კვლევა. შემოთავაზებული ტერმინოლოგიის ფარგლებში, პირველ შემთხვევაში, მიზანი უკვე არსებული ცოდნის პოზიტიურად გაფართოებაა, უკანასკნელ შემთხვევაში კი – იმის საზღვრების დადგენა, რასაც სხვები ცოდნად მიიჩნევენ. შესაბამისად, პოზიტიური კვლევა შემდგომ დაყოფილია მეცნიერების მიღმა და მეცნიერების შიგნით არსებული ინტერესით მოტივირებული კვლევის ქვეტიპებად. პირველ შემთხვევაში. მიზანი სოციალური შედეგების გამომუშავებაა, მეორე შემთხვევაში – ჩვენ მიერ ჩვენივე არსებობის შეცნობის უნარის გაუმჯობესება. მსგავსი განსხვავებები არ იქნა წარმოჩენილი ნეგატიურ კვლევაში, რის მიზეზებსაც ქვემოთ მოგახსენებთ.

ჩვენ შემთხვევაში პრობლემაა ტერმინოლოგია, რადგან ცხადმა სახელწოდებებმა ნაგულისხმევისაგან განსხვავებული მნიშვნელობა შეიძლება შეიძინოს. ის, რასაც მე I ტიპის კვლევას ვუწოდებ, იგივეა, რასაც სხვამ შეიძლება „პრობლემის გადაჭრა“ ან „პოზიტივიზმი“ დაარქვას. III ტიპი, სხვა შინაარსებთან ერთად, შეიცავს იმასაც, რაც „პოსტპოზიტივიზმისა“ და „კრიტიკული თეორიის“ სახელწოდებითაა ცნობილი. როგორც ჩანს, უმჯობესია მოვერიდოთ ამგვარ იარაღებს.

კვლევის ეს სამი ტიპი არ არის ურთიერთგამომრიცხავი იმ გაგებით, რომ მკვლევარმა აუცილებლად უნდა აირჩიოს ერთ-ერთი მათგანი. პირიქით, სავსებით დასაშვებია, რომ შინასამეცნიერო შეცნობა და მეცნიერების გარეთ გამოყენებადობა ავსებდეს ერთმანეთს და ნეგატიური კრიტიკა პოზიტიური შემეცნების წინაპირობა იყოს. იმედი მაქვს, შევძლებ ვაჩვენო, რომ მიუხედავად ამისა, მათ შორის დამაბულობა სულ უფრო და უფრო ცხადი ხდება საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში და, აქედან გამომდინარე, კვლევის ორიენტაციები არ არის ერთნაირად ვარგისი, მისი მიზნის მიუხედავად.

## ა. კვლევის I ტიპი

შეიძლება ითქვას, რომ I ტიპის მიმართულებანი დომინირებდა საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერულ შესწავლაში. ის, ვინც ამჯობინებდა, რომ საკუთარი თავისათვის „მშვიდობის მკვლევარი“ ეწოდებინა, განსაკუთრებით მკაფიოდ (ან პრეტენზიულად) გამოხატავდნენ საკუთარ პოზიციას. მაგალითად, იოჰან გალტუნგი

მშვიდობის კვლევას მედიცინის მეცნიერებას ადარებდა და ამტკიცებდა, რომ მიზანი საერთაშორისო ურთიერთობების ექიმბაშური მეთოდებით მკურნალობისათვის ბოლოს მოღებაა (Galtung 1964: 4 1967: 13-20). დევიდ ზინგერი აღნიშნავდა, რომ წინასამეცნიერო ანალიზის მუდმივი მორჩილება „ომის დანაშაულთა შორის უკიდურესს“ შეიძლება შევადაროთ (Singer 1986: 59). ასეთი განმანათლებლური სწრაფვა საერთაშორისო ურთიერთობებისათვის ჩვეულია, განურჩევლად იმისა, თუ რა იქნება შესწავლის ობიექტი: გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი, დაშინება, კრიზისების მართვა, მშვიდობისმყოფელობა თუ საერთაშორისო წესრიგი. ალექსანდერ ჯორჯი, პოლიტიკური მეცნიერების მკვლევარი, რომელიც განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდა, გალტუნგის მსგავსად პარალელს ავლებს საერთაშორისო ურთიერთობების კვლევასა და სამედიცინო პროფესიას შორის (George 1993: 17-18).

I ტიპის მიზნები არ არის დაკავშირებული საგანგებო მეთოდოლოგიასთან. ე.წ. „რაოდენობრივი საერთაშორისო პოლიტიკა“ ( I ) ჯერ კიდევ წინა თაობების თვალსაწიერში მოექცა და სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, ისევე როგორც მათემატიკური მოდელირება, ომისა და მშვიდობის პირველი ტიპის კვლევის სტანდარტულ პროცედურად იქცა (იხ. მაგ., Russet 1972; Hoole and Zinnes 1976). ამავე დროს, რაოდენობრივ საერთაშორისო პოლიტიკას აკრიტიკებდნენ ფუჭი აბსტრაქტულობის გამო, რაც მნიშვნელოვანწილად გარესამეცნიერო ინტერესებით მოტივირებულ მეცნიერთაგან მომდინარეობდა და „მეორე დებატების“ შემადგენელი ნაწილი იყო. ამდენად I ტიპის კვლევამ შეიძლება მიიღოს, როგორც „ჰუმანისტური“, ისე „სამეცნიერო“ ფორმა.

ის, რაც შინაგანად ბუნებრივია პირველი ტიპის ორიენტაციისათვის, დაახლოებით ასე გამოიყურება: ეს არის მომავალი განვითარების განჭვრეტის საჭიროება. ჩვენ შეიძლება მოგვიხდეს მასთან ადაპტირება, სამომავლო მოქმედების კურსის შედეგების წინასწარ განსაზღვრა ან, უკიდურეს შემთხვევაში, ამგვარი საკითხების გონივრულ გააზრებაში წვლილის შეტანა მაინც. თუმცა საერთაშორისო ურთიერთობათა მკვლევრები დიდხანს ცდილობდნენ, ნაკლებად მკაცრი გაგებით, მომავალზე ორიენტირებული ცოდნის დაუფლებას სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით.

ცივი ომის დასრულება ამ გადმოსახედიდან პრობლემატურია. ეს არც იმას ამტკიცებს, რომ არ არსებობდა ცალკეული მოვლენების წინასწარმეტყველების ამბიცია. ჩვენ უნდა შეგვჩვენდეს ცალკეული მოვლენების ( ყოველ შემთხვევაში, უმთავრესის მაინც, მაგალითად ისეთის, როგორც ცივი ომის დასასრულია) გონიერების ფარგლებში დანამდვილებით წინასწარ განჭვრეტის უნარი, რათა ჩვენი ცოდნა მნიშვნელოვანი იყოს პოლიტიკური კურსისათვის. ეს არც იმის დემონსტრირებაა, რომ არსებული თეორია ნამდვილად ვარაუდობდა ცივი ომის დასრულებას გარკვეული ფორმით, გარკვეულ დროს. პოლიტიკის შემოქმედთათვის ან მოქალაქეებისათვის, რომლებიც წინ იყურებოდნენ 1983 ან 1984 წელს, ანუ იმ დროს, როცა იმან, რასაც „ახალი“ ცივი ომი ეწოდა, კულმინაციას მიაღწია, გადამწყვეტი საკითხი ის კი არ იყო, დასრულდება თუ არა ცივი ომი, არამედ ის, თუ როდის და როგორც მოხდება ეს. „თეორია ადრე თუ გვიან“ არ არის საკმარისად ვარგისი I ტიპის კვლევის მიზნებისათვის.

ვერ გავექცევით იმ ფაქტს, რომ საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის საფუძველზე ცივი ომის დასრულების წინასწარმეტყველების სირთულე I ტიპის ხედვის შესაბამისი ინტერესის გაჩენის მიზეზი გახდა. ასეთი გაგებიდან შეიძლება რამდენიმე განსხვავებული დასკვნის გამოტანა:

- პირველი, რაც შეიძლება დავასკვნათ, არის ის, რომ ამ თვალსაჩინო წარუმატებლობის მიუხედავად, პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისას მაინც მიზანშეწონილია საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის შედეგების გათვალისწინება. თუმცა, თავი უნდა შევიკავოთ იმ პრეტენზიისაგან, რომ შეგვიძლია სერიოზული, მეცნიერულად დასაბუთებული რჩევების მიცემა საერთაშორისო საქმეებში. საჯარო დებატებში მონაწილეობის ჩვენი გზა – ექსტრააკადემიური რიტორიკა შესაცვლელია. (მსგავსი თვალსაზრისისათვის იხ. George 1993).

- უნდა განვასხვავოთ მეტ-ნაკლებად წინასწარმეტყველებადი საერთაშორისო ურთიერთობები. ამ მოსაზრების თანახმად, ისტორია ერთ შემთხვევაში მომავლის უკეთესი მეგზურია, ვიდრე მეორეში. აქედან გამომდინარე, მკვლევარებმა დაიწყეს ჩრდილოეთისა და სამხრეთის გამოიჯნა. სიტუაცია იცვლება, მაგრამ მხოლოდ განვითარებულ ქვეყნებში. ტრადი-

ციული მოდელები სავარაუდოდ შენარჩუნდება, მაგრამ მხოლოდ განვითარებად სამყაროში (Holsti 1991; Jervis 1992).

- I ტიპის ორიენტაციის ვარგისიანობის საკითხი ძალაში რჩება, მხოლოდ როგორც შორეული მიზანი. საერთაშორისო ურთიერთობების დღეს არსებული თეორიები ძალზე სუსტია საიმისოდ, რომ გამოსადეგი იყოს პოლიტიკის შემუშავებისა და გატარებისათვის. სამომავლოდ ვითარება შეიცვლება, მაგრამ დღევანდელი სათვალის II ტიპი უფრო შესაფერისია.

- არსებობს მეოთხე შესაძლებლობაც: დავუშვათ, რომ I ტიპის კვლევა პრინციპულად მიუღებელია, რადგან ის საერთაშორისო ურთიერთობების წინასწარმეტყველების საშუალებას არ იძლევა. ცივი ომის დასასრული შეიძლება განხილულ იქნას, როგორც იმ ფაქტის დადასტურება, რომ საერთაშორისო პრობლემების საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის დახმარებით გადაწყვეტა ილუზორულია.

დღეს საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევრებს ყოველივე ეს საკამათოდ მიაჩნიათ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი საკუთარი ძალისხმევის მიზნად I ტიპს მიიჩნევენ. სხვა თვალსაზრისის მიხედვით, ვითარება სხვაგვარია და ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ.

## ბ. კვლევის II ტიპი

ის, რაც პრობლემას წარმოადგენს კვლევის I ტიპისთვის, მომხიბლავი გამოწვევაა II ტიპის გადმოსახედიდან. ზოგიერთ თეორიას, რომელთა მეშვეობითაც ვერ მოხერხდა ცივი ომის დასრულების წინასწარგანჭვრეტა, ანგარიშგასაწევი კონცეპტუალური და ემპირიული საფუძველი ჰქონდა. როგორც ჩანს, რაც უფრო კარგია თეორია, მით უფრო მეტია საპირისპირო თვალსაზრისი. ამ თვალთახედვიდან გამომდინარე, საკითხავი ის კი არ არის, შევწყვიტოთ თუ არა იმის კეთება, რასაც ადრე ვაკეთებდით, არამედ როგორ გავაუმჯობესოთ ჩვენი თეორია ახალი გამოცდილების გათვალისწინებით.

განვიხილოთ ერთი მაგალითი. მკვლევართათვის, რომლებიც ცივის ომის დასრულებას შეისწავლიდნენ, დამახასიათებელი იყო იმის წარმოჩენა, რომ საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში ტრადიციულად აქცენტირებული თეორების გარდა (ან მათ ნაცვლად) საჭირო იყო პოლიტიკური მრწამსისა და ღირებულებების,

ასევე საშინაო-პოლიტიკური სტრუქტურებისა და პროცესების მხედველობაში მიღება. მიუხედავად იმისა, რომ ამ მხრივ საერთაშორისო ურთიერთობების თეორია ეკლექტურია, მასში მაინც დომინირებდა სხვადასხვა სახის სტრუქტურები – საერთაშორისო სისტემა, ბიუროკრატია, შემეცნება თუ სხვა. არც საგარეო პოლიტიკური იდეების არსებითი შინაარსისთვის და არც საშინაო პოლიტიკისთვის, რომლის მეშვეობითაც მოქიშპე იდეები საგარეო პოლიტიკურ ქმედებად გარდაისახებოდა, არ მიუპყრიათ სათანადო ყურადღება. ეს კი, ჰოფმანის თანახმად (Hoffman 1977: 58), ამერიკელთა თვისებაა. ცივი ომის დასრულებამ გამოკვეთა პოლიტიკისაკენ შემობრუნების საჭიროება. ამ შემთხვევაში იგულისხმება როგორც პოლიტიკური იდეები, ისე საშინაო პოლიტიკური პროცესები.

ეს ართულებს თეორიულ მსჯელობას. არსებობს დილემა თეორიის ლაკონიურობასა და ყოვლისმომცველობას შორის (Allan 1992). ბალანსი მათ შორის II ტიპის კვლევისათვის მუდმივი განხეთქილების საგანია. თუმცა აქ უნდა დარჩეს სივრცე მათთვის, ვინც ესწრაფვის გაგებას – ამარტივებს ან ართულებს. საკითხი კიდევ უფრო დამაინტრიგებელია, რადგან ის პირველი ტიპის კვლევას ეხება. მკვლევრებმა, როგორც აღნიშნავდნენ, უნდა გააცნობიერონ, რომ „თეორიული განსჯისას ლაკონიურობის სამეცნიერო კრიტერიუმებისადმი ზედმეტი ერთგულება პოლიტიკის გასატარებლად მნიშვნელოვანი თეორიისა და ცოდნის განსავითარებლად უვარგისია“ (George 1993: 140). და მაინც, ძნელად გასაგებია, როგორ შეიძლება გატარდეს პოლიტიკა და ჩამოყალიბდეს მოქალაქეთა აზრი სხვაგვარად, თუ არა იმ მოდელების საფუძველზე, რომლებიც ააშკარავებენ სიტუაციისა და პრობლემის მთავარ ნიშან-თვისებებს. თუკი წარსულის ახსნის აკადემიურ მცდელობაში შეიძლება მეტ-ნაკლებად ყველაფერი გავითვალისწინოთ, ეს ვერ იქნება რეალისტური მიზანი პოლიტიკის შემოქმედთათვის და მოქალაქეთათვის, რომლებმაც უნდა გათვალონ მომავალი.

ცივი ომის დასასრულის პრობლემის ცხადი გადაწყვეტა მეორე ტიპის კვლევაში, კერძოდ, საერთაშორისო პოლიტიკის მოდელში პოლიტიკური იდეებისა და საშინაო პოლიტიკური პროცესების ჩართვაა, რაც შეიძლება პრობლემატური იყოს I ტიპის ორიენტაციისათვის. ამ უკანასკნელისათვის პოლიტიკა, იდეებისა და დინამიკური პროცესების გაგებით, ნაკლებად გათვალადია, ვიდრე სტრუქ-

ტურები. თუკი ეს სწორედ ის ცვლადებია, რომლებიც უნდა გაითვალისწინონ საერთაშორისო ურთიერთობების მოქმედ თეორიაში, მაშინ ეს სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს I ტიპის ხედვისთვის. პირიქით, ეს შეიძლება იყოს შთაგონების წყარო II ტიპის გადმოსახედიდან, რადგან უმრავლესობა უფრო ღირებულად მიიჩნევს წარმოდგენის არსში და მსახიობთა თამაშში ჩაღრმავებას, ვიდრე თეატრის სტრუქტურაში წვდომას.

## გ. კვლევის III ტიპი

III ტიპის კვლევის არსი იმ მარწუხებისგან გათავისუფლებაა, რასაც სხვები ცოდნად მიიჩნევენ. III ტიპის კვლევის ყურადღების ცენტრში მოქცეულია აუცილებლობის და შეუძლებლობის კონცეფციები. მისი მიზანი სწორედ იმის დემონსტრირებაა, რომ გარდაუვალი შეიძლება თავიდან ავიცილოთ, შეუძლებელი კი განვახორციელოთ.

ნეგატიური კვლევის შემთხვევაში ძნელია გარე და შინა სამეცნიერო განსხვავებების შენარჩუნება. ლოგიკურად შეიძლება განასხვაოთ ექსტრააკადემიური ემანსიპაცია და ინტრააკადემიური სკეპტიციზმი ისევე, როგორც მტკიცებითი და სკეპტიკური პოსტმოდერნიზმი (Rosenau 1992). ასეა თუ ისე, მაინც სადავოა, შეიძლება კი რადიკალურად ნეგატიური კვლევა ექსტრააკადემიური მიზნების შესაბამისი იყოს. როგორც ამტკიცებენ, „[ეს მიდგომა] უარს ამბობს სხვა, უფრო პოზიტიურ ამოცანაზე, ვიდრე არსებული თეორიისათვის ძირის გამოთხრაა და ტოვებს მსოფლიოს ისეთად, როგორც ის არის“ (Brown 1992: 218). წინამდებარე თავის ამოცანებისათვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ როგორია ნეგატიური კვლევის მიზეზი – ექსტრა თუ ინტრააკადემიური. ამდენად, ზედმეტად მიმაჩნია, ჩვერთო დისკუსიაში პოსტმოდერნიზმის პოლიტიკური ზრახვების შესახებ და შევეცადო მათ გამოიჯვანას. ის, რაც პოლიტიკური კვლევისაგან ორივეს განასხვავებს, მიზნის მისაღწევად საკმარისი ეფექტური კრიტიკის არარსებობაა, რაც ჩვენს კონტექსტში მნიშვნელოვანია.

სამეცნიერო ნგრევა შესაძლოა შეიზღუდოს სხვადასხვა მოსაზრებით, რომლებიც ტრადიციულ ეპისტემოლოგიურ საფუძველზე დგას და მიზნად ისახავს აჩვენოს, რომ ის, რაც ფართოდ გაზიარებულია, სინამდვილეში ცუდადაა დამტკიცებული, რაც გზას უხსნის

პოზიტიური მიზნის მქონე კვლევას. ეს არის კვლევა I ან II და III ტიპის კვლევათა ზღვარზე. ამას გარდა, ეს არის ის, რაც ამართლებს კვლევის III ტიპის, როგორც ცალკე კატეგორიის, შენარჩუნებას, რომელიც უნდა განვასხვავოთ I და II ტიპისგან. ის, რასაც კვლევის I და II ტიპი ცოდნად მიიჩნევს, საერთაშორისო ურთიერთობათა ზოგიერთი მკვლევრის მტკიცებით, „თვითნებური კულტურული კონსტრუქციებია“. ეს იმ მკვლევართა თეზისია, ვინც „ეწინააღმდეგება ცოდნას [მოდერნიზტული] გაგებით“. ისინი ყურადღებას ამახვილებენ „ბუნდოვანებაზე, მერყეობასა და იდენტურობის გამუდმებით ძიებაზე“. მათი მიზანია „საზღვრების გარკვევა, იმის დადგენა, თუ როგორ გაჩნდა ეს საზღვრები, მათი თვითნებურობის ჩვენება და განსხვავებული აზროვნების დემონსტრირება“ (Ashley and Walker 1990: 262-4. ხაზგასმა ორიგინალის მიხედვით). მათი ამოცანაა „[საერთაშორისო ურთიერთობების თეორეტიკოსთა] ვარაუდების დესტაბილიზაცია... მოცემულობად მიჩნევა და შემდეგ იმის ჩვენება, თუ როგორ შეიძლება გაიხსნას აზროვნების განსხვავებული გზები“ (Walker 1992: 23). ეს, რა თქმა უნდა, გულისხმობს საერთაშორისო ურთიერთობებზე იმ ურთიერთდაპირისპირებული წარმოდგენების გადმოტანას, რომლებიც დამკვიდრებულია ცოდნისადმი წაყენებული მოთხოვნების და იძულებითობის შესახებ.

ის, რამაც ცივი ომის დასასრული საერთაშორისო ურთიერთობათა შემსწავლელთათვის პრობლემად აქცია, თეორიასა და სინამდვილეს შორის წინააღმდეგობაა. თუკი ვინმე უარყოფს იმ ძირითად აზრს, რომ თეორიის მოტივირებულობა დამოკიდებულია მონაცემებთან მის შესაბამისობაზე, როგორც ამას საერთაშორისო ურთიერთობების ზოგიერთი მკვლევარი ღიად აღიარებს, ზოგიც კი გულისხმობს (მაგ., Walker 1992: 19), მაშინ ცივი ომის დასასრულის, როგორც მონაცემის, მიმართ დამოკიდებულება ინდიფერენტულობაა. ის, რაც მეორე თვალთახედვით სინამდვილესთან წინააღმდეგობრიობის ნიმუშია და, აქედან გამომდინარე, საფუძველს იძლევა როგორც დაფიქრებისათვის, ისე გატაცებისათვის, უმნიშვნელო ხდება, თუკი “ჭეშმარიტება ისეთი რამ არის, რის გარეშეც ჩვენ შეგვიძლია და უნდა შევძლოთ აზროვნება“ (Brown 1992: 204). თუ ფაქტობრივ მონაცემებზე დაფუძნებული თეორია ილუზიაა, მაშინ ის, რაც ხდება, სინამდვილეში არ წარმოადგენს მომხდარ ფაქტს.

## დ. დასკვნა: სამი პროფესიული როლი

უნდა გამოიყოს საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევართა სამი პროფესიული როლი: კონსტრუქციულად განწყობილი მოქალაქის, მიუკერძოებელი ანალიტიკოსის და მუდმივი სკეპტიკოსის. დისციპლინის ფარგლებში ესა თუ ის შეფასება დამოკიდებულია როლის შესახებ შესაბამის მოსაზრებაზე. ნუ ვიფიქრებთ, რომ „დებატები“ ისე მიმდინარეობდა, თითქოს საერთაშორისო ურთიერთობების ყველა მკვლევარს ერთნაირი მიზანი ჰქონდა ან მათი მიზნები თავსებადი იყო. III ტიპის კვლევის ზოგიერთი მიმდევარი მიიჩნევდა, რომ I ან II ტიპის ორიენტაცია ილუზიას ეფუძნება. ასევე I ტიპის კვლევისათვის დამახასიათებელმა სწრაფვამ მომავალზე ორიენტირებული ცოდნისკენ, შეიძლება ისეთ შედეგამდე მიგვიყვანოს, რომელიც ზედაპირულია II ტიპის კვლევის გადმოსახედიდან მაშინ, როცა უფრო ღრმა წვდომა, რომელსაც მიზნად ისახავს კვლევის II ტიპი, შეიძლება ნაკლებად წაადგეს I ტიპის კვლევისათვის მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტას.

პარადოქსია, მაგრამ ყველაზე მეტად წინააღმდეგობრივია როლი, რომელსაც ტრადიციულად ირჩევენ საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევრები, კერძოდ, როლი ექსპერტი მოქალაქისა. სწორედ ამ თვალსაზრისით, დისციპლინის მახასიათებელი, როგორც ეს ცივი ომის დასასრულის მაგალითზე გამოჩნდა, იმედგაცრუებაა. ასეა თუ ისე, არჩევანი არ კეთდება, ალექსანდრე ჯორჯის (Goerge 1993: 17) თქმით, „მოქმედებისათვის სახელმძღვანელო დეტალურ, უაღრესად სანდო რეკომენდაციებსა და სრულიად არაფერს შორის“. ერთ-ერთ უმთავრეს და უფრო ფართო ამოცანას წარმოადგენს ჯორჯის წამოწყებებზე შორს წასვლა I ტიპის კვლევის მეთოდოლოგიური მოთხოვნების შესწავლის საქმეში და იმის გარკვევა, თუ რით განსხვავდება ისინი II ტიპის კვლევის მოთხოვნებისგან.

ნებისმიერ შემთხვევაში, დისციპლინის შიგნით რაციონალური დებატები სასარგებლო იქნება მაშინ, თუ გაცხადდება მოსაზრებები როლის თაობაზე. არსებული დაპირისპირება I ტიპის პროფესორებსა და II ტიპის კურსდამთავრებულებს შორის უფრო აზრიანი ან, ყოველ შემთხვევაში, ნაკლებად გაუგებარი მაინც იქნება, თუკი გამოჩნდებოდა, რომ „პოზიტივისტური კვლევის“ მიზანშეწონილობა და ფუკოს იდეების გამოყენების მნიშვნელობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რის გაკეთებას ვამჯობინებთ.

### III მიზანი, მნიშვნელობა და ინსტიტუტები

90-იანი წლების პირველ ნახევარში საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის სფეროში სტრუქტურალიზმს უპირისპირდებოდა მენტალიზმი – წარმოდგენა იმის შესახებ, რომ მოვლენების ახსნა შესაძლებელია მხოლოდ შემოქმედებითი და ინტერპრეტაციული მიდგომით. ისევე, როგორც პოლიტიკური მეცნიერების სხვა დარგებში, გამოიკვეთა მიზანი და მნიშვნელობა (იხ. ჯანდომენიკო მაჯონე, ქვემოთ, თავი 26). აქცენტი უფრო „სუბიექტურზე“ კეთდებოდა, ვიდრე „ობიექტურზე“. ამ დაპირისპირების შედეგები – სხვადასხვა ვარიაცია მუდმივ თემაზე – განხილული იქნება წინამდებარე ქვეთავში საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო ინსტიტუტების ანალიზთან მიმართებაში.

#### ა. საგარეო პოლიტიკის ანალიზი

საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტური მხარით დაინტერესებაში არაფერია ახალი. ის, რომ საერთაშორისო ურთიერთობების წამყვანი თეორია განიხილავს სახელმწიფოებს, როგორც უსულო ქმნილებებს, რომლებიც „ავტომატურად“ ან „მექანიკურად“ რეაგირებენ გარე იმპულსებზე, უბრალოდ მითია. ისეთ ნაშრომშიც კი, როგორიცაა *საერთაშორისო პოლიტიკის თეორია*, უოლცი მენტალური პროცესებიდან გამომდინარე ხსნის იმას, თუ რატომ განსაზღვრავს ქცევას სტრუქტურა (რაციონალური გათვლები და სოციალიზაცია). ამგვარ განმარტებაში ნავარაუდევია, რომ მამაკაცები და ქალები არ არიან მანქანები და ისინი:

ა) მიზანთან მისაახლოებლად რაციონალურად მოქმედებენ სიტუაციის საკუთარი შეფასებიდან გამომდინარე, ბ) სიტუაციის მათეული შეფასება შეესაბამება რეალობას, როგორც ამას გარეშე დამკვირვებლები ამტკიცებენ, რათა სტრუქტურულ თეორიას განმარტებითი ძალა მიენიჭოს. ამგვარია სისტემური თეორიის ლოგიკა, როგორც უოლციდან, ისე ბევრ სხვა ნაშრომში, რომლებშიც ნავარაუდევია, რომ როგორც საერთაშორისო, ისე საშინაო სტრუქტურები განსაზღვრავენ სახელმწიფოთა ქმედებას და სახელმწიფოთაშორის ურთიერთქმედებას. ეს დაშინების თეორიის ლოგიკაცაა, მათ შორის

რიჩარდსონის (Richardson 1960) გამაღებელი შეიარაღების თეორიისა და ესკალაციისა თუ დესკალაციის სხვა თეორიების.

ამას გარდა, მენტალურ ფენომენს დიდი მნიშვნელობა ენიჭება საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისა და მოლაპარაკების პროცესის კვლევაში. კერძოდ, ბევრი რამ გამოქვეყნდა პერცეფციებისა და კოგნიტიური პროცესების შესახებ. საერთაშორისო ურთიერთობებისადმი ფსიქოლოგიური მიდგომა კარგად არის ჩამოყალიბებული. მაშ საიდან მომდინარეობს იმის შეგრძნება, რომ სუბიექტური მხარე გაუმართლებლად გამორჩენილია?

ამის ერთ-ერთი მიზეზია არაიდური თეორიის განმარტებითი ძალით უკმაყოფილება. ამტკიცებენ, რომ სტრუქტურული ხასიათი, მაგალითად, უოლცისა, ცოტას თუ ახსნის მანამ, ვიდრე არ იქნება გათვალისწინებული აქტორთა მხრიდან მნიშვნელობის აღქმა (Wendt 1992) და რომ საგარეო პოლიტიკაში ბევრი ვერაფერი აიხსნება იდეების მოშველიების გარეშე (Goldstein and Keohane 1993). როგორც ვხედავთ, ცივი ომის დასასრული განიხილება იმის დამატკიცებელ საბუთად, რომ საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზისას აუცილებელია იდეების გათვალისწინება.

აქცენტის გადატანა სტრუქტურიდან იდეაზე სინამდვილეში შეიძლება საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლაში ასახავდეს სურვილს, რომ „ახსნას“ „გაგება“ ჩაენაცვლოს. ზოგადად მიჩნეულია, რომ „ახსნა“ ეხება მიზეზებს, მიზეზები კი ასევე ზოგადად ითვლება და იმ აქტორის „გარეთაა“, ვისი ქცევაც უნდა აიხსნას. „გაგებასთან“ დაკავშირებით კი პირიქით, ითვლება, რომ მას საქმე აქვს მნიშვნელობასთან, ხოლო მნიშვნელობა მხოლოდ „შიგნიდან“ შეიძლება იქნას გაგებული. ჰოლისისა და სმიტის თანახმად, „ამბავს ისე, რომ მონათხრობი სარწმუნო იყოს, შეიძლება მოყვეთ ორგვარად – გარედან, ბუნებრივი სამყაროს ადამიანური ნაწილის შესახებ და კონკრეტული სოციალური სივრცის შიგნიდან. პირველი მოწოდებულია ახსნას, მეორე – გაიგოს... [და] ამ ორი ამბის შეთავსება არც ისე იოლია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს“ (Hollis and Smith 1990: 6-7).

მიუხედავად ამისა, ბევრი კომბინირებას გვირჩევს. არსებობს აზრთა სხვადასხვაობა იმის თაობაზე, თუ სინამდვილეში რამდენად სწორადაა „გაგებული“ საგარეო პოლიტიკური ქმედებანი, როცა ეგზოგენური ცვლადები გაუთვალისწინებელი რჩება. როგორც ჩანს,

ზოგიერთს აკმაყოფილებს აქტორთა პრიორიტეტებისა და აღქმის კუთხით გადმოცემული ინტერპრეტაცია მაშინ, როცა სხვები დაჟინებით მოითხოვენ შემდგომ ქმედებას იმის დასადგენად, თუ რატომ არის პრიორიტეტი და აღქმა ისეთი, როგორც არის. აზრთა სხვადასხვაობა არსებობს იმასთან დაკავშირებითაც, საჭიროა თუ არა მიზეზშედეგობრივი ჯაჭვის ყოველი რგოლის გამოკვლევა იმისათვის, რომ ახსნა დამაჯერებელი იყოს. არც ერთი კლიშე არ არის იმდენად ფესვგადგმული საერთაშორისო ურთიერთობებში, როგორც მტკიცება, რომ აუცილებელია, გაიხნას გადაწყვეტილებათა მიღების „შავი ყუთი“, რათა შესაძლებელი გახდეს უფრო სწორი ახსნა. ამდენად დისციპლინის ერთ-ერთი განხრა, ხშირად აღრეული დანარჩენ ნაირსახეობებთან, სწავლობს იმას, თუ რა ქმნის დამაკმაყოფილებელ ანალიზს, კერძოდ, შეიძლება თუ არა „შინაგანისა“ და „გარეს“ შეერთება ანალიზში და თუ შეიძლება, როგორ. 90-იანი წლების შუა პერიოდში ყურადღება „გარეგანიდან“ „შინაგანზე“ იყო გადატანილი.

მეორე მიზეზად, რომელმაც საერთაშორისო ურთიერთობებში ბიძგი მისცა მიზანზე მიმართულ ანალიზს, შეიძლება დასახელდეს ის, თუ როგორ მოხდა პოლიტიკის შინაარსის მარგინალიზება. ანალიზის წამყვანი მიმართულება უფრო იმას იკვლევს, არის თუ არა საგარეო პოლიტიკები „ადაპტირებადი“ (Rosenau 1970) და რატომ „გადაჯგუფდებიან“ სახელმწიფოები (Holsti 1982) და არა ადაპტაციებისა და გარდაქმნების არსებითი შინაარსი. ბევრი ჩვენგანი ცდილობდა დაედგინა, თუ რა აიძულებს მთავრობებს დაადგინენ „თანამშრომლობის“ ან (თანამშრომლობის) „დარღვევის“ გზას, ნაცვლად იმისა, რომ გამოგვეკვლია, სინამდვილეში რას აკეთებენ ხოლმე მთავრობები, როცა ისინი ამყარებენ ან „არღვევენ“ კავშირებს. წამყვანი თეორიის ასახსნელი ობიექტია აგრეთვე სტრუქტურები (საერთაშორისო, ორგანიზაციული, კოგნიტიური) და პროცესები მიზნების ნაცვლად.<sup>5</sup> საგარეო პოლიტიკის მიზნები იმ ფარგლებში, რომლებ-

---

<sup>5</sup> განვიხილოთ, მაგალითად, უმთავრესი კრებული *საგარეო პოლიტიკის შესწავლის ახალი მიმართულებები* (Hermann, Kegley and Rodenau 1987): ის შეიცავს არაერთ სტატიას იმგვარი ძირითადი საკითხების შესახებ, როგორცაა „კოგნიტიური პროცესი“, „გადაწყვეტილების მიღება“, „ინფორმაციის დამუშავება“ და „ეროვნული ატრიბუტები“, თუმცა არ შეიცავს „მიზნის“ ან „პროგრამის“ დახასიათებას და გვთავაზობს მხოლოდ თითო დამოწმებას

შიც ისინი საერთოდ განიხილებიან, უფრო ნავარაუდევია, ვიდრე გამოკვლეული („ძალა“, „უსაფრთხოება“ და ა.შ.). ასეთ მიდგომას უპირისპირდება ჰოლსტის 1991 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი, რომელიც ანალიზებს რა სახელმწიფოთა მხრიდან ომის წარმოების არსებით მოტივებს, რომლებიც ჰქონდათ სახელმწიფოებს სხვადასხვა ეპოქაში და მათ დამოკიდებულებას ომისადმი; ეს, სხვა მრავალს შორის, საგარეო პოლიტიკის თეორიულ ანალიზში უფრო მეტი პოლიტიკური ანალიზის შეტანის მცდელობას წარმოადგენს.

თუმცა, სასწორზე მეტიც შეიძლება იყოს დადებული. იმის მტკიცება, რომ ჩვენ აქტორების არსებით ზრახვებსა და რეალობის მათეულ ინტერპრეტაციას ანგარიში უნდა გავუწიოთ, განსხვავდება იმის უარყოფისაგან, რომ რეალური გარემო აქტორთა აღქმისაგან დამოუკიდებლად არსებობს. საერთაშორისო ურთიერთობათა დარგი ადასტურებს მენტალიზმის გამოჩენას იმ ვიწრო გაგებით, რომ ის, რაც შესწავლილ უნდა იქნეს, არის ის, თუ რა წარმოდგენისა არიან აქტორები ამა თუ იმ მოვლენაზე ან როგორ ახასიათებენ მას. ასეთი ხედვიდან გამომდინარე, აქტორთა გარემო მხოლოდ მათ წარმოდგენებში და გამონათქვამებში არსებობს. ჩარჩოები, რომელშიც ის არის მოქცეული, არც სტრუქტურულია და არც მატერიალური, არამედ აღქმითია ან ტექსტური. ამგვარი პრობლემები შესამჩნევი გახდა უკანასკნელ „დებატებში“ და სულ უფრო და უფრო წამყვანი ხდება, განსაკუთრებით, II ტიპის თვალსაზრისით.

## **ბ. საერთაშორისო ურთიერთობები, როგორც ინსტიტუტები**

ინსტიტუტები შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც განზოგადებული მიზნები და მნიშვნელობები. საერთაშორისო ურთიერთობები შეიძლება განვიხილოთ, როგორც ინსტიტუციონალიზებულნი იმ გაგებით, რომ „ხშირად საქციელი ასახავს მათ ჩამდენთა ჩამოყალიბებულ წესებს, ნორმებსა და შეთანხმებებს“ (Keohane 1989: 1). ამდენად, მიზნებისა და მნიშვნელობის ხაზგასმა მოქმედების ანალიზისას და ანალიზის სისტემაში ინსტიტუტებზე ყურადღების ფოკუს-

---

„ნაციონალური ინტერესის“ და „იდეოლოგიის“ შესახებ (ორივე გაკვრიოთაა მოხსენიებული სტატიაში პოლიტიკური ეკონომიის შესახებ).

სირება, მედლის ორი მხარეა. აქცენტი ორივე შემთხვევაში გადატანილია მოვლენათა სუბიექტურ, „შინაგან“ ხედვაზე.

როცა „ახალი ინსტიტუციონალიზმი“ პოლიტიკურ მეცნიერებაში ახალი წამოწყება იყო, სხვა დანარჩენთან ერთად, მისი მიზნებს წარმოადგენდა: 1) საზოგადოებაში პოლიტიკის ავტონომიური როლის წარმოჩენა; 2) ყურადღების ფოკუსირება იმაზე, თუ „როგორ არის აგებული პოლიტიკური ცხოვრება სიმბოლოების, რიტუალებისა და ცერემონიების მეშვეობით მნიშვნელობის ჩამოყალიბების გარშემო“ და არა გადაწყვეტილებების მიღებასა და რესურსების გადანაწილებაზე; 3) განხილვა პოლიტიკური აქტორებისა, როგორც მოქმედი პირებისა, რომლებიც პასუხობენ ვალდებულებებსა და მოვალეობებს და არა წინასწარ გათვლილ პირად ინტერესებს (March and Olsen 1984: 735). როგორც ჩანს, არც პირველმა და არც მეორე პუნქტმა არ მოახდინა შთაბეჭდილება საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევრებზე, აი მესამე კი ყველაზე მნიშვნელოვანი გახდა.

რაც შეეხება პოლიტიკის ავტონომიურობას საერთაშორისო დონეზე, ისტორიულად ამ საკითხში ტონის მიმცემი იყო მორგენტაუ, რომელიც პოლიტიკას „ძალის განზომილებებით განსაზღვრული ინტერესების კონცეფციიდან გამომდინარე“ განიხილავდა. ეს მოსაზრება, წერდა მორგენტაუ, „გამოარჩევს პოლიტიკას, როგორც მოქმედებისა და გაგების ავტონომიურ სფეროს, როგორცაა ეკონომიკა...; ეთიკა, ესთეტიკა თუ რელიგია“. მხოლოდ ამის წყალობით ხდება პოლიტიკური თეორია ქმედითუნარიანი, „რადგანაც მის გარეშე ვერ განვასხვავებდით ერთმანეთისგან პოლიტიკურ და აპოლიტიკურ ფაქტებს“ (Morgenthau 1985: 5). როდესაც 80-იანი წლების შუა პერიოდში ინსტიტუციონალიზმმა გარდატეხა მოახდინა საერთაშორისო ურთიერთობებში, ის მაინც მოუწოდებდა იმის კრიტიკისაკენ, რასაც რეალისტურ ორთოდოქსიად მოიაზრებოდა. მორგენტაუს მხარდაჭერა, პოლიტიკის ავტონომიურობის წარმოჩენის თვალსაზრისით, ანათემას უდრიდა. საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევრები, მორგენტაუს და, ალბათ, უოლცის გარდა, გულგრილნი ჩანდნენ პოლიტიკურისა და აპოლიტიკურის გამიჯვნის მიმართ. ამაზე მეტყველებს მათი მიდრეკილება საკუთარ ნაშრომებში ეკონომიკური, ფსიქოლოგიური და სხვა არაპოლიტიკური ერთეულების ჩართვისაკენ.

რაც შეეხება მეორე საკითხს, საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევრებს ნამდვილად გაცნობიერებული ჰქონდათ „სიმბოლოების, რიტუალებისა და ცერემონიების“ როლი სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში, დიპლომატიური მოლაპარაკების ფორმალობებით დაწყებული და დაუწერელი კანონების ძალის დემონსტრირებით დამთავრებული. თუმცა ისინი ამ ფენომენებს განიხილავდნენ ინსტრუმენტული თვალსაზრისით, კერძოდ, აქტორების მიერ მიზნის მისაღწევად გამოყენებულ მეთოდებად (აიძულოს სხვები აღიარონ მათივე მოთხოვნები ლეგიტიმურად გამოხატონ თავიანთი განზრახვები და ვალდებულებები. მზარდი დაინტერესება არ უნდა გულისხმობდეს პოლიტიკის არაინსტრუმენტული მხარით დაინტერესებასაც.

დარჩენილი პუნქტი პოლიტიკური ქმედების მამოძრავებელ ძალად განიხილავს ვალდებულებებსა და მოვალეობებს და არა წინასწარ გათვლილ პირად ინტერესს. მაშინაც კი, როცა ჭირდა იმის ზუსტად განსაზღვრა, თუ რის შესახებ მიმდინარეობდა „დებატები“, პირადი ინტერესების როლი ხშირად ყველაზე რთულ საკითხად განიხილებოდა. „ლიბერალური ინსტიტუციონალიზმი“ (Keohane 1989), ალბათ, ყველაზე მთავარია იმ მოსაზრების უარსაყოფად, რომ „ძალის განზომილებებით განსაზღვრული ინტერესები“ საერთაშორისო პოლიტიკის არსს წარმოადგენს.

ინსტიტუციონალიზმი შეიძლება მიმზიდველი იყოს საერთაშორისო ურთიერთობების შემსწავლელთათვის მეოთხე თვალსაზრისითაც. ინსტიტუტების ერთ-ერთი უპირატესობა ის არის, რომ მათ შეუძლიათ ცვლილებების გამოწვევა. არარეალისტების თანახმად, რეალიზმის მკაცრ სამყაროს სტატიკური აუცილებლობა მართავს. ინსტიტუციონალიზმი, პირიქით, ვარაუდობს, რომ მოქმედება განსაზღვრულია ადამიანის ხელით შექმნილი ინსტიტუტების მიერ და არა ბუნების კანონებით. მეტიც, ინსტიტუტები ინტერესების ტრანსფორმირებას ახდენს (Wendt 1992). ინსტიტუტების შექმნა, შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, მშვიდობის დამყარების პროექტების ჩვეული შემადგენელი ნაწილია, ხოლო თანამედროვე ინსტიტუციონალიზმი გვიჩვენებს, რომ ეს უფრო რეალისტური შეხედულებაა, ვიდრე იდეალისტური.

განახლებულმა ინტერესმა ინსტიტუტების მიმართ, ნაწილობრივ, შეიძინა საერთაშორისო რეჟიმების კვლევის ფორმა, რომელიც

კონსტრუირებულია „დაწერილი თუ დაუწერელი პრინციპების, წესებისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურების სახით, რომლებზედაც იმედებს ამყარებენ აქტორები საერთაშორისო ურთიერთობების მოცემულ არეალში“ (Krasner 1983: 186). რეჟიმები ზოგადად ინსტიტუტებისგან იმით განსხვავდება, რომ ისინი უფრო მეტად სპეციალიზირებული ინსტრუმენტებია, რომლებიც შეეფერება მკაფიოდ განსაზღვრულ ქმედებებს, რესურსებს ან გეოგრაფიულ არეალს“ (Young 1989: 13). არსებობს დიდძალი ლიტერატურა რეჟიმების ჩამოყალიბებისა და რეჟიმების ცვლილების შესახებ, რაც, თავის მხრივ, „მთავრობის გარეშე მმართველობის“ ფენომენის ერთ-ერთი განზომილებაა (Rosenau and Czempiel 1992). ამით საერთაშორისო ურთიერთობების მრავალი მკვლევარი ინტერესდებოდა.

ინსტიტუციური მიდგომის არსი კარგად არის ცნობილი. მან უნდა აჩვენოს როგორც წესების დაცვა, ისე ცვლილება. მეტიც, მან თანადროულად უნდა ახსნას ორივე.

## 1. თანხმობა

ქეოჰეინი გვთავაზობს განვასხვავოთ ინსტიტუტები, ერთი მხრივ, როგორც „ქმედების ზოგადი მოდელი ან მისი კატეგორიზაცია“ და, მეორე მხრივ, როგორც „ადამიანის მიერ კონსტრუირებული, ფორმალურად ან არაფორმალურად ორგანიზებული საგანგებო ინსტრუმენტი“ (Keohane 1988: 383). სუვერენული სახელმწიფოებრიობა პირველის ნიმუშია, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია – მეორესი. წესების დაცვა უფრო პრობლემატურია უკანასკნელ შემთხვევაში, ვიდრე პირველში. რამდენადაც პრობლემატური არ უნდა იყოს განსაკუთრებულ ინსტიტუტებზე დაყრდნობა, რომელთა დანიშნულებაცაა ქმედებათა განსაზღვრა, საერთაშორისო ურთიერთობების შემსწავლელთა მხოლოდ მცირე ნაწილი თუ უარყოფს, რომ სუვერენული სახელმწიფოებრიობის ინსტიტუტს გავლენა აქვს საერთაშორისო პოლიტიკაზე. მართლაც, აუცილებლობები, რომლებიც მიღებულია რეალისტურ თეორიაში ანარქიული პოლიტიკის შესახებ, შეიძლება განვიხილოთ, როგორც ინსტიტუტები, ძირითადი მოდელების გაგებით, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩამოყალიბდნენ (Wendt 1992). როგორც არ უნდა იყოს უთანხმოება რეალისტებსა და სხვებს შორის, ეს არ მდგომარეობს შემდეგში: მნიშვნელოვანია თუ არა მსგავსი მოდელები.

როდესაც საქმე ეხება წესების დაცვის წყაროს, ჩვენ შეგვიძლია განვასხვავოთ „რაციონალისტური“ და „რეფლექტიური“ მიდგომა. პირველ შემთხვევაში ნავარაუდევია, რომ ინსტიტუტები ზემოქმედებას ახდენენ აქტორთა მიერ დანახარჯების გათვლებზე (Keohane 1988: 166). ეს ლოგიკა სტრუქტურული თეორიის ლოგიკის იდენტურია. ინსტიტუტები აქტორთა გარემოს ნიშან-თვისებებია, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ რა არის რაციონალური და, აქედან გამომდინარე, სავარაუდოდ რა არის მოსალოდნელი. რეფლექტიური მიდგომის განმასხვავებელი თვისებებია ვარაუდი, რომ აქტორების პრიორიტეტები და აღქმები არ არის ფიქსირებული, არამედ მათზე გავლენას ახდენენ ინსტიტუტები. ფიქსირებული პრიორიტეტებისა და აღქმების ვარაუდი, როგორც ამტკიცებენ, გვაშორებს იმის გაგებისგან, თუ „როგორ იცვლება ინტერესები წარმოდგენათა სისტემაში მომხდარი ცვლილებების შედეგად“. ეს ნათელს კი არ ფენს, არამედ ბუნდოვანს ხდის „სახელმწიფოთა პრიორიტეტული პოლიტიკური კურსის წყაროებს“ (Keohane 1988: 390-1). ლოგიკურად, ესეც სტრუქტურალიზმის ზოგიერთი ფორმის ანალოგიურია: ნავარაუდევია, რომ გარემოს ნიშან-თვისებები (ამ შემთხვევაში, ინსტიტუტები) გავლენას ახდენს აქტორთა პრიორიტეტებსა და აღქმაზე, აქედან გამომდინარე, მათ მოსაზრებაზე რაციონალურობის შესახებ, შესაბამისად კი, მათ ქმედებებზე. ამ გადმოსახედიდან ინსტიტუტებისა და სტრუქტურების გამიჯვნა შეუძლებელია. უფრო სწორედ, ინსტიტუტები სოციალური სტრუქტურებია იმ ნიმუშების გაგებით, რომლებიც ცალკეული აქტორებისა და მოქმედებათა მიუხედავად არსებობენ.

საით მივყავართ ამ გზას? როგორია ინსტიტუციონალური კვლევის პროგრამა? ერთი შესაძლებლობაა, მიზნად დავისახოთ განზოგადებული ცოდნის მიღება იმ ფაქტორების შესახებ, რომლებიც განსაზღვრავენ აქტორთა პრიორიტეტებზე და აღქმებზე ინსტიტუტების სხვადასხვა სახის ზემოქმედებას განსხვავებულ პირობებში. ეს სინამდვილეში ვენდტის (Wendt 1992) წინადადება იყო, რომლის შესრულებაც იანგმა (Young 1979) იტვირთა. მეორე შესაძლებლობაა „ცნობიერებაში მიმდინარე ცვლილებების ამოუცნობი ბუნების წარმოჩენა“ (Keohane 1988: 391) და ყურადღების ფოკუსირება ცალკეულ შემთხვევებში აღქმებსა და პრიორიტეტებზე ინსტიტუტების ზემოქმედების პოსტგამოკვლევაზე.

პირველი შესაძლებლობა უნდა იზიდავდეს I ტიპის მკვლევართ, ვინც დაინახავდა, რომ რაც მეტი ვიცით წესების დაცვის პირობებზე, მით უფრო მეტი გამოსადეგი მონაცემი არსებობს ინსტიტუტების შესახებ მომავალზე ორიენტირებული მიზნებისათვის. მეორე მიმზიდველი უნდა იყოს II ტიპის კვლევის თვალთახედვიდან, რომლისთვისაც ინსტიტუციონალისტური თვალსაზრისი ამდიდრებს იმის გაგებას, თუ რას შეიძლება ეწოდოს პოლიტიკური კულტურის როლი საერთაშორისო ურთიერთობებში. კონკრეტული ამოცანა პოლიტიკურ კულტურათა შორის ურთიერთქმედების ახსნაა ინტერნაციონალურ, ნაციონალურ და სუბნაციონალურ დონეებზე.

## 2. ინსტიტუციური ცვლილებები

თუკი წესების დაცვა პრობლემატურია სახელდობრ ინსტიტუტების თვალსაზრისით, ზოგადი ინსტიტუტები პრობლემატურია ცვლილების თვალსაზრისით. თუკი საგანგებო ინსტიტუტები შეიძლება შეიცვალოს შეთანხმების საფუძველზე მათ შორის, ვისაც ეს ეხება, ზოგადი ინსტიტუტები მრავალმხრივ არის დამოკიდებული ინდივიდუალური აქტორების შესაძლო საქმიანობაზე და ამ შემთხვევაში წესების დაცვა ნიშნავს, რომ ისინი უცვლელობის ტენდენციას ავლენენ. ინსტიტუციონალისტები ამტკიცებენ, რომ არაინსტიტუციონალისტებს არ შესწევთ ცვლილების გამოთვლის უნარი, მაგრამ ამ თვალსაზრისით, ისინი თვითონ დგანან პრობლემების წინაშე.

სალი აზრიდან გამომდინარე, პრობლემის გადაწყვეტა იმის დაშვებაა, რომ ქმედებები და წესები ურთიერთდამოკიდებულია. წესი ქმედებაზე გავლენას ახდენს, მაგრამ არ განსაზღვრავს მას. მოქმედება განამტკიცებს ან ასუსტებს წესებს იმისდა მიხედვით, თუ რამდენად იცავს წესს. ეს აზრი, შემუშავებული დესლერის (Dessler 1989) მიერ „სუბიექტი-სტრუქტურის“ დებატებთან მიმართებაში იმ ფორმით, რასაც ის „ტრანსფორმაციულ მოდელს“ უწოდებს, სინამდვილეში ბევრით არაფრით განსხვავდება ძველი იდეისგან, რომ საერთაშორისო სამართალი თანადროულად სახელმწიფო საქმიანობაზეც ახდენს გავლენას და მის ფუნქციასაც წარმოადგენს. ეს აზრი, თავის მხრივ, შეიძლება განვიხილოთ, როგორც იმ თვალსაზრისის ნიმუში, რომ მოქმედება ხდება წინამორბედი მოქმედების შედეგად და გავლენას ახდენს შემდეგი მოქმედების პირობებზე, სხვა

სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორც მოსაზრება უკუკავშირისა და გაკვეთილის შესახებ. კონსტრუქტივისტული ორიენტაციის უახლეს გამოკვლევებში სიახლე შემდეგში მდგომარეობს: ყურადღების ფოკუსირება ურთიერთქმედების როლზე იდენტობებისა და ინტერესების „კონსტრუირებაში“ (Wendt 1994). ეს ხშირად იგულისხმებოდა, მაგრამ გამოუთქმელი რჩებოდა საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზში.

რამდენადაც საქმე ეხება ცალკეულ ინსტიტუტებს, ცხადია, დგას წესების ქმედებაზე და ქმედების წესებზე ზეგავლენის ხარისხის საკითხი. ინსტიტუტები შეიძლება იყოს ძლიერი იმ გაგებით, რომ მნიშვნელოვან გავლენას ახდენდეს აქტორზე და იყოს მდგრადი საპირისპირო ქმედების მიმართ. ზოგიერთი ინსტიტუტი შეიძლება იყოს როგორც გავლენიანი, ისე მდგრადი (სახელმწიფოს სუვერენიტეტის ინსტიტუტი), სხვები – გავლენიანი, მაგრამ მგრძობიარე (ახლად შექმნილი საერთაშორისო რეჟიმი), ან მდგრადი, მაგრამ გავლენის არმქონე (გაეროს წესდების აკრძალვები ძალის გამოყენების თაობაზე). სხვები შეიძლება სუსტი იყოს ორივე თვალსაზრისით. ამ ენაზე თარგმნილი რეალისტური პოზიცია ასე იკითხება: ზოგიერთი ინსტიტუტი (სახელმწიფო სუვერენიტეტი, „ძალის პოლიტიკის“ წესები) იმდენად ძლიერია როგორც გავლენის, ისე მდგრადობის თვალსაზრისით, რომ „რეალისტურია“ მიუდგე მათ, როგორც საერთაშორისო ცხოვრების ფაქტებს. რადიკალური ინტერნაციონალიზმი წარმოჩნდება როგორც თვალსაზრისი, რომელიც გულისხმობს, რომ სახელმწიფო სუვერენიტეტისა და „ძალის პოლიტიკის“ ინსტიტუტები ნამდვილად სახიფათოდ გავლენიანია, მაგრამ ამავე დროს – მგრძობიარე წინააღმდეგობრივი ქმედების მიერ გამოწვეული ცვლილების მიმართ. ზომიერი ინტერნაციონალიზმი გულისხმობს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როცა სახელმწიფო სუვერენიტეტისა და „ძალის პოლიტიკის“ ინსტიტუტები გავლენიანი და მდგრადია, სხვა ინსტიტუტები შეიძლება დასახელდეს, როგორც მათი საპირწონე, რომელთაც დროთა განმავლობაში ემატება გავლენა და მდგრადობა (Goldmann 1994).

საერთაშორისო ინსტიტუტების სიძლიერე, ორივე თვალსაზრისით, როგორც გავლენის, ისე მდგრადობის მხრივ, იმსახურებს, იყოს კვლევის ყურადღების ცენტრში. თუ რას ნიშნავს ეს, დამოკიდებულია გაკეთებულ არჩევანზე I და II ტიპის მიზნებს შორის. უკ-

ანასკნელ შემთხვევაში, ამოცანაა წესებისა და ქმედებების ურთიერთქმედების საკმარისად დეტალური გამოკვლევა ახსნისა და გაგებისათვის. კარლსნესი, რომელმაც ჩამოაყალიბა ამგვარი გამოკვლევის პროგრამა, ამბობს, რომ მცდელობა „გულმოდგინებას“ მოითხოვს, „მაგრამ ის უდავოდ მოგვცემს რთული, დინამიკური და განმსაზღვრელი ემპირიული მექანიზმებისა და პროცესების უფრო „ჭეშმარიტ“ და უფრო „რეალისტურ“ სურათს, რომელიც წინ წარუძღვება და საფუძველს გაუმაგრებს მოცემულ საგარეო პოლიტიკურ გადაწყვეტილებას.“ ეს, მოკლედ რომ ვთქვათ, კარლსნესის ვარაუდით, გამაღვლენს, „თუ რას მოვიგებთ და რას წავაგებთ, თუკი საგარეო პოლიტიკის ანალიზში ჩავრთავთ საკითხს – სუბიექტი-სტრუქტურა“ (Carlsness 1992: 226). I ტიპის გადმოსახედიდან, საჭიროა, მეტად ვიკვლიოთ ინსტიტუტების შესახებ ამგვარი ინფორმაციის წინასწარგანჭვრეტის გამოსადეგობა. ამას ნაკლები ძალისხმევა სჭირდება: საერთაშორისო რეჟიმების წესები, საგარეო პოლიტიკური დოქტრინების არსებითი შინაარსი, გააზრებული ქმედებით გამოწვეული ინსტიტუციური ცვლილების პირობები და სხვა.

თუმცა ამგვარად ჩვენ ვუბრუნდებით კითხვას – როგორ გავაანალიზოთ ქმედება. განურჩევლად იმისა, ვფიქრობთ, რომ დამაკმაყოფილებელი ანალიზი მოითხოვს აქტორთა აღქმებისა და პრიორიტეტების გამოკვლევას ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, თუ ვჯერდებით მათ პოსტულირებას, ინსტიტუტების სათანადო ანალიზი ჩვენგან სუბიექტურობის ორ დონეზე ოპერირებას მოითხოვს: ინსტიტუტების გაზიარებული სუბიექტურობისა და აქტორთა ინდივიდუალური სუბიექტურობის დონეზე. ის, რაც იწვევს ქმედებას, როგორც ვარაუდობენ, აქტორთა სუბიექტური პრიორიტეტებია სხვების სუბიექტური აღქმებისა და პრიორიტეტების მისეულ სუბიექტურ აღქმასთან ერთად. ასევე მიჩნეულია, რომ ყოველივეზე დაკვირვება შეიძლება იმ ფორმით, რომელიც, ყოველ შემთხვევაში, კვაზიობიექტურია. ვეჭვობ, რომ ეს პარადოქსული პოზიცია ფართოდაა გაზიარებული საერთაშორისო ურთიერთობების დარგში, ფაქტი, რომელიც გადაიფარებოდა ხოლმე სხვადასხვა სახის დებატებში ჩართვისკენ ჩვენი მიდრეკილების გამო.

## IV თეორია: ვარაუდი თუ დისკურსი?

როდესაც სტენლი ჰოფმანმა გამოაქვეყნა ნაშრომი სახელწოდებით *საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე თეორია* (Hoffmann 1960), მან განასხვავა „თეორია, როგორც პასუხების ნაკრები“ და „თეორია, როგორც შეკითხვების ნაკრები“. პირველ შემთხვევაში ის გულისხმობდა „ჰიპოთეზების ნაკრებს, რომელიც თითქოსდა ააშკარავებს და ხსნის საერთაშორისო პოლიტიკის თამაშის წესებს“, მეორე შემთხვევაში კი – „მსოფლიო პროცესების ფენომენის შესწავლის სწორი გზის აღმოჩენის მცდელობას“ ყურადღების გამახვილებით „განსაკუთრებული მნიშვნელობის ცვლადებზე, ცვლადების ქცევის მარეგულირებელი კანონების წინასწარი წარმოდგენის მცდელობის გარეშე“. მოთხოვნა უბრალოდ „კვლევისათვის საჭირო ადეკვატური იარაღით მეცნიერთა აღჭურვაა“ (Hoffmann 1960: 29).

უკანასკნელ ხანებში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა ამგვარი გამოიკვანა თეორეტიკოსების მოთხოვნებისა ფუნქციებისაგან, რომლებსაც თეორიები ასრულებენ. საერთაშორისო ურთიერთობების დარგის წარმომადგენლები, როგორც ჩანს, ვერ თანხმდებიან იმის თაობაზე, თუ რას წარმოადგენს თეორია. ის, რაც ზოგიერთისთვის ვარაუდების ნაკრებია, ისე, როგორც ეს პოპერს ესმის (ე.ი. ვარაუდები მიღებულია დროებით, მათი უარყოფის ახალ მცდელობამდე), სხვებისათვის დისკურსია, რომელიც დესპოტურად გვაიძულებს მივიღოთ აზროვნების კონკრეტული წესი. ამის მსგავსად, ის რაც ზოგიერთისათვის იდეალური ტიპია, რომლის მეშვეობითაც შეიძლება გაიზომოს ემპირიული დაკვირვება საინტერესო გადახრების იდენტიფიცირების მიზნით, სხვებისათვის არის ის, რასაც ჭეშმარიტება მოითხოვს. თეორიის რაობის შესახებ რამდენიმე ასეთი განსხვავებული მოსაზრების პოსტულირებით თუ შევძლებთ დარგის წამყვან მიმდინარეობაზე „ემიგრანტი დისიდენტების“ (Ashley and Walker 1990) შეტევების ინტენსივობის გაგებას.

აზრთა სხვადასხვაობა კარგად ჩანს დებატებში უოლცის ნაშრომის *საერთაშორისო პოლიტიკის თეორიის* თაობაზე. უოლცის ნაშრომი, ზოგიერთი თვალსაზრისით, გვეხმარება გავიგოთ, თუ რა ხდება პოლიტიკის სამყაროში. ის, ვინც საერთაშორისო პოლიტიკის რამდენიმე ნიშან-თვისების უოლცისეულ შეფასებას საკუთარ ამოსავალ წერტილად მიიჩნევს, აღმოაჩენს, რომ შეზღუდულია თავის

შესაძლებლობებში. მაგალითად, ჭირს, ზუსტად განვსაზღვროთ, თუ რამდენად უნდა შესწევდეს თეორიას ახსნის უნარი. ისინი ასევე მიუთითებენ იმ ემპირიული საბუთების არსებობაზე, რომლებიც ძნელად თუ შეესაბამებიან ამ თეორიას. თუკი ამ თეორიულ თამაშებს სახელად ვარაუდები და უარყოფა ჰქვია, მაშინ თამამი ვარაუდები, როგორც უოლცისაა, სწორედ ისაა, რაც ჩვენ გვჭირდება. მათ გარეშე უარსაყოფიც ნაკლები იქნებოდა.

*საერთაშორისო პოლიტიკის თეორიის* კრიტიკოსთა ნაწილი დაკმაყოფილდა ამხსნელი ცვლადების განსაზღვრით, რომლებსაც ადგილი არ მოეძებნათ უოლცის სისტემური თეორიის კონცეფციაში, სხვები კი უფრო შორს წავიდნენ. ამჯერად უოლცი გააკრიტიკეს იმის გამო, რომ თითქოსდა მან დაწერა წიგნი მდგრადი მოდელის ახსნაზე არსებულ საერთაშორისო სისტემაში და სხვა რამის შესახებ, კერძოდ, ამ სისტემის ისტორიაზე (Ruggie 1986; Cox 1986). იმას, თუ რა არის სასწორზე დადებული, კიდევ უფრო ნათლად ამტკიცებს ეშლის (Ashley 1986: 258) დაჟინებული მტკიცება, რომ ის, რაც უოლცის წიგნიდან გამომდინარეობს, „იდეოლოგიაა, რომელიც გზას უკვლევს გლობალური პროპორციების ტოტალიტარულ პროექტს, კერძოდ, გლობალური პოლიტიკის რაციონალიზაციას, ახდენს მის ლეგიტიმირებას და ორიენტირებას“. ეშლიმ (Ashley 1986: 255) თავის კრიტიკას მრავალმნიშვნელოვნად წარუმძღვარა ბურდიეს ციტატა, პრეტენზიით იმაზე, რომ „რეალობის კონსტრუქციის პრინციპების თავს მოხვევის განსაკუთრებული სიმბოლური ძალა... პოლიტიკური ძალის მთავარი განზომილებაა.“ *საერთაშორისო პოლიტიკის თეორიაზე* მიტანილი იერიშის მთელი სიმძაფრე მიმართულია იქითკენ, რომ ამ თეორიას შევხედოთ უფრო ფართოდ, როგორც დისკურსიული ძალის გამოვლინებას და არა როგორც უარყოფის საგნად დროებით ქცეულ მტკიცებას.

თეორიის რაობის გამო არსებული განხეთქილების კიდევ ერთი ინდიკატორია დისკუსია საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზში თამაშის თეორიის გამოყენების თაობაზე. კრიტიკოსებმა გვერდი აუარეს შეკითხვებს, არსებობს თუ არა საკმარისი მსგავსება საერთაშორისო ურთიერთობებსა და სტანდარტულ თამაშებს შორის, როგორცაა, ვთქვათ „ტუსალების დილემა“, იმისათვის, რომ უკანასკნელი თეორიის მეშვეობით გავაუმჯობესოთ ჩვენი ცოდნა პირველის შესახებ. ასევე მიჩნეულია, რომ თამაშის თეორიის ანალ-

იზიც არასწორად ირჩევს პრობლემას, რადგან ის დაკავებულია მოცემული პრიორიტეტებისა და აღქმების განხორციელებით ისე, რომ არ სვამს კითხვას, თუ როგორ ყალიბდება პრიორიტეტები და აღქმები (Jervis 1988: 322-9). უფრო საფუძვლიანად თუ განვიხილავთ, „ადამიანის ქმედებათა მოდელირება ინდივიდუალურად ორიენტირებული, ინსტრუმენტულად რაციონალური ქმედებების სახით“, „მიკროეკონომიკური იმპერიალიზმის“ ფორმაა, რომლის „იდეოლოგიური ხასიათიც“ კი არ უნდა მიიჩქმალოს, არამედ გამოაშკარავდეს. როგორც ამტკიცებენ, თამაშის თეორიის გამოყენება ხდება იმ განზრახვით, რომ კონფლიქტი უნდა განიხილებოდეს, როგორც ინტერესთა და არა ვნებათა მიერ მართული, რომ ადამიანები არ იღებენ „გამჭრიახ, საკუთარი ინტერესებით მოტივირებულ გადაწყვეტილების მიმღებ პირთა“ მოდელს, როგორც იმის განსახიერებას, თუ „როგორ უნდა მოიქცნენ ისინი ნებისმიერ ვითარებაში“ (Hurwitz 1989: 115-16).

თეორიის რაობის თაობაზე უთანხმოების მესამე ინდიკატორად შეიძლება დასახელდეს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის ფემინისტური კრიტიკა, რომელსაც განიხილავს ენ ტიკნერი თავის სტატიაში ამ წიგნისათვის (Tickner, იხ ქვემოთ: თავი 18). აქ მხოლოდ იმას არ უჩივიან, რომ წამყვანი თეორია მოძველებულია და ნაკლებად ხსნის იმას, რისი ახსნაც უნდა. გამოთქმულია წუხილი იმის გამოც, რომ წამყვანი თეორია აქტიურად გასცემს მამაკაცზე ორიენტირებული კვლევის სავალდებულო ინსტრუქციებს. და კვლავაც, თეორია განიხილება, როგორც დამთრგუნველად ნორმატიული და არა როგორც ჰიპოთეტური და ანალიტიკური.

უოლკერისათვის (Walker 1992: 5-6) ცხადია, თუ რა მოსდევს თეორიის ნორმატიულ ხედვას. საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები, მისი მტკიცებით, საინტერესოა საკუთრივ როგორც „თანამედროვე პოლიტიკური წარმოსახვის უნარის საზღვრების გამოხატულება“. „პოლიტიკურ შესაძლებლობებზე სხვაგვარად ფიქრს გვაიძულებს ვარაუდები და კატეგორიები, რომ თანამედროვე პოლიტიკურ ანალიზს ზურგს უმაგრებს მისი დამტკიცებულად აღიარება“. საერთაშორისო ურთიერთობების თეორია შეიძლება წავიკითხოთ, როგორც „განსაზღვრული საქმიანობა, რომლის შედეგებიც შეიძლება აღმოვაჩინოთ ყოველდღიური ცხოვრების ყველაზე შორეულ კუთხე-კუნჭულში“.

შესაძლოა, არ ღირს ვივარაუდოთ, რომ ვთქვათ, ზოგიერთი მეცნიერის მიერ თამაშის თეორიის გამოყენებას ასეთი ღრმა ჩანაფიქრი აქვს. ასეა თუ ისე, გავრცელებული აზრით, ჩამოყალიბებული თეორია ნორმატიულია იმ თვალსაზრისით, რომ ის განსაზღვრავს საკითხთა ცენტრალურ კვანძს და დარგის გამართლებულ ინტერესებს და ეს არ არის მოკლებული პოლიტიკურ ქვეტექსტს. აქ ვაწყდებით დილემას, რადგან საერთაშორისო ურთიერთობების ბევრი მკვლევრისათვის, უმრავლესობისათვის თუ არა, თავისთავად ცხადია, რომ „თეორია, როგორც შეკითხვების ნაკრები“, აუცილებელია კვლევისათვის. დილემა აშკარაა ყველასთვის და არ საჭიროებს განხილვას. პრობლემაა ის, თუ როგორ მოვიქცეთ, გავამახვილოთ თუ არა ყურადღება თეორიების უარყოფაზე ემპირიული დაკვირვებისა და კონცეპტუალური ასახვის გზით ან ვაჩვენოთ, როგორ ეთანხმება მათი აზრი ჩვენს პრიორიტეტებს. პირდაპირ რომ ვთქვათ, რაში მდგომარეობს ჩვენი, როგორც ჭეშმარიტების მამიებლისა თუ იდეოლოგის, პროფესიული როლი. ეს დარგში მიმდინარე დებატების ერთ-ერთი საგანია.

## V დასკვნა

საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევრები ვერ თანხმდებიან იმაზე, თუ რა უნდა იყოს მათი ინტერესის მთავარი საგანი (მშვიდობა და უსაფრთხოება, პოლიტიკური ეკონომია, ქალების მდგომარეობა და ა.შ). ისინი ვერ თანხმდებიან იმაზეც, ამჯობინონ სახელმწიფოთა და პოლიტიკის ინტეგრაცია, ინტერნაციონალიზაცია და ტრანსნაციონალიზაცია თუ ეროვნული დამოუკიდებლობისა და იდენტურობის შენარჩუნება. ამას გარდა, მათი აზრი იყოფა იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი როლი უფრო გამართლებულია მათთვის – აქტივისტის, ანალიტიკოსის თუ კრიტიკოსის. არსებობს მოსაზრებები, როგორც ჩანს, სოციალურ სამეცნიერო მწერლობაში პოლიტიკური მრწამსის გამართლებულ როლთან დაკავშირებითაც. ამდენად, საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარნი, სხვა მეცნიერთა მსგავსად, დავობენ იმ საკითხებზე, რომლებიც უფრო პოლიტიკურია, ვიდრე აკადემიური.

კამათობენ და, გაცილებით უფრო საფუძვლიანადაც, ასევე შინაარსთან, სახელმწიფოთა სისტემასთან და პოლიტიკურ ინსტიტუ-

ტებთან დაკავშირებით (იგულისხმება მათი გავლენა ქმედებაზე, მათი დაუცველობა ცვლილებების წინაშე), ასევე სხვადასხვა დონეზე სხვადასხვა ფაქტორის რელატიურ მნიშვნელობის თაობაზე საგარეო პოლიტიკური კურსის გასათვლელად, რაც სახელდობრ იდეების ავტონომიურ როლსაც მოიცავს. აზრთა სხვადასხვაობა შინაარსთან დაკავშირებით ხელს უწყობს კვლევას, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს თანხმობა მეთოდის ძირითად პრინციპებთან დაკავშირებით. თუ დისციპლინაში მიღწეული იქნება საგრძნობი კონსენსუსი ამ საკითხების თვალსაზრისით, მას სამ პრობლემაზე მოუხდება პასუხის მოძებნა: ა) როგორია ქმედების სწორი ანალიზი; ბ) არის თუ არა ცოდნა „თვითნებური კულტურული კონსტრუქცია“; გ) რას წარმოადგენს თეორია – კვლევის კონსტრუქციული მეგზურს თუ აზროვნებაზე დამთრგუნველ ზეწოლას. დღეს საერთაშორისო ურთიერთობებს ფრაგმენტულ დისციპლინად აქცევს სწორედ ეს პრობლემები და არა კამათი ღირებულებებსა და შინაარსზე.

### შენიშვნები:

საერთაშორისო ურთიერთობებში სამეცნიერო ტრადიციათა მრავალფეროვნება განხილულია ტ. ნარდინისა და დ. მ. მაპელის რედაქტორობით გამოცემულ ნაშრომში *საერთაშორისო ეთიკის ტრადიციები* (Nardin and Mapel, eds., *Traditions of International Ethics*, 1992). თანამედროვე სამეცნიერო კვლევის უახლეს მიმოხილვას, რომელიც მთელ წიგნს გასდევს და არ შეიცავს მხოლოდ ინგლისურენოვან ნაშრომებს, წარმოადგენს ა. ჯ. რ. გრუმისა და მ. ლაითის რედაქტორობით გამოსული *თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები: თეორიის ცნობარი* (Groom and Light, eds., *Contemporary International Relations: A Guide to Theory*, 1992). ხშირად ციტირებული ნაშრომი საერთაშორისო წესრიგის შესახებ *ანარქიული საზოგადოება* ეკუთვნის ჰ. ბულს (Bull, *The Anarchical Society*, 1977). ნაშრომებს, რომლებმაც გავლენა მოახდინა დებატებზე ნეორეალიზმის შესახებ და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ კამათში, იხილავთ რ. ო. ქეოჰანის მიერ გამოცემულ წიგნში *ნეორეალიზმი და მისი კრიტიკა* (Keohane, ed., *Neo-realism and its Critics*, 1986). წიგნში შესულია უოლცის *საერთაშორისო პოლიტიკის თეორიის დიდი ნაწილი*. იხ. ასევე ბ. ბუზანის, კ. ჯონსისა და რ. ლიტლის *ანარქიის ლოგიკა: ნეორეალ-*

იზმი სტრუქტურული რეალიზმის შესახებ (Buzan, Jones, Little, *The Logic of Anarchy: Neo-realism to Structural Realism*, 1993). ომისა და შშვიდობის შესახებ ზღვა სამეცნიერო ლიტერატურას შეიცავს, მაგალითად, ბ. ბუენო დე მესკიტას ომის ხაფანგი (Bueno de Mesquita, *The War Trap*, 1981) და ჯ. ა. ვასკესის ომის რებუსი (Vasquez, *The War Puzzle*, 1993). პოლიტიკურ ეკონომიაზე ორიენტაციის მაგალითად იხ. დ. ბოლდუინის ეკონომიკური სახელმწიფოს მართვის ხელოვნება (Baldwin, *Economic Statecraft*, 1985).

თავი 2

## დევიდ სენდერსი. საერთაშორისო ურთიერთობები: ნეორეალიზმი და ნეოლიბერალიზმი

უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული განსჯის მრავალფეროვნება და ინტერესთა სფერო შთამბეჭდავად გაიზარდა. არა მხოლოდ „ორთოდოქსული“ თეორიული მიდგომების ანალიტიკური სიმკაცრე განმტკიცდა, არამედ დამატებითი თვალთახედვების წარმოდგენამ მოიტანა ახალი თეორიები, ეპისტემოლოგიები და ონტოლოგიებიც კი შიდა და საგარეო არენაზე სახელმწიფოს ქცევის ტრადიციული საკითხების საკვლევად. ამ თავში ყურადღება კონცენტრირებულია „ორთოდოქსის“ ორ ძირითად მიდგომაზე: ნეორეალიზმსა და ნეოლიბერალიზმზე. კერძოდ, თავი მიზნად ისახავს შეაფასოს, თუ რამდენად წაადგა გლობალურ სისტემაში სახელმწიფოებრივი და არასახელმწიფოებრივი აქტორების ქცევის „ახსნისა“ და „გაგების“ ჩვენს უნარს გაზრდილი ანალიტიკური სიმკაცრე, რომელიც თამაშის თეორიამ შეიტანა ნეორეალისტებსა და ნეოლიბერალებს შორის გამართულ დებატებში.

პირველ რიგში, მიმოვიხილავ იმ ლოგიკას, რომელმაც მკვლევარებს საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზში თამაშის თეორიის ენისა და მოდელების შემოტანა აფიქრებინა. შემდეგ გამოვყოფ ამ შემოტანის შედეგად წარმოქმნილი ანალიტიკური სისუსტეების შეზღუდულ რაოდენობას, ბოლოს კი ჩავატარებ „აზროვნების ექსპე-

რიმენტს“, რომლის მიზანიცაა დაადგინოს, რა სახე ექნებოდა ნეორეალიზმსა და ნეოლიბერალიზმს, თუკი არსებითად დაქვეითდებოდა რაციონალური არჩევანის თეორიის ვერსიების შექმნის მათეული მცდელობები. მე ვახასიათებ კომბინირებულ შედეგს, როგორც „დამთმობ რეალიზმს“<sup>6</sup>, თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში ერი-სახელმწიფოს ქცევის შესახებ წინადადებების მარტივ, მაგრამ მოქნილ ნაკრებს. „დამთმობი რეალიზმის“ კვლევის პროგრამა გარკვეულწილად განსხვავდება მოძველებული პროგრამისგან, რომელსაც ნეორეალიზმსა და ნეოლიბერალიზმს შორის გამართული არაერთი დისკუსია გვთავაზობდა. ჩვენ ვაპირებთ, გაცილებით მეტი ყურადღება დავუთმოთ უშუალოდ ნაციონალური და ტრანსნაციონალური „ინტერესების“ კატეგორიზაციისა და იდენტიფიკაციის პრობლემებს. ასევე განზრახული გვაქვს, გაცილებით ძლიერი აქცენტი გავაკეთოთ ორ პრობლემაზე – „ჰობსისეული შიშის“ საკითხზე (Butterfield 1958) და თეორიის მიხედვით წარმართულ ემპირიულ კვლევაზე, რომელიც ანალიზებს საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების „რეალური“ შემთხვევების უფრო ფართო არეალს.

## I სათავეებთან: ტრადიციული რეალიზმი, ნეორეალიზმი და ნეოლიბერალიზმი

ნეორეალისტ და ნეოლიბერალ მკვლევართა არაერთგზის დაინტერესება თამაშთა თეორიის ფორმულირებებით ნაწილობრივ სათავეს იღებს უოლცის (Waltz 1979) მცდელობიდან, „ტრადიციული რეალიზმი“ „ნეორეალიზმად“ ან „სტრუქტურულ“ თეორიად ექცია. ტრადიციულ რეალიზმს შეადგენდა როგორც „გადაწყვეტილებების მიღების“ თეორია, ასევე პროტოსტრუქტურული თეორია შედეგების შესახებ საერთაშორისო სისტემაში (Morgenthau 1967; Carr 1946). გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით, მან მოგვცა საგარეო პოლიტიკური კურსის გაანგარიშების არაორაზროვანი, თუმცა გამარტივებული ანალიზი. სახელმწიფო სტრატეგია ძირეულად იყო მიმართული სახელმწიფო ინტერესების მაქსიმალიზებაზე და განმტკიცებული იყო სამი „ჰობსისეული“ მოტივით: სახელმწიფოს უს-

---

<sup>6</sup> ეს დახასიათება გადმოღებულია შპეგელესაგან (Spegele 1983).

აფრთხოების მიღწევა და შენარჩუნება, ადგილობრივი მოსახლეობის პოლიტიკურად მნიშვნელოვანი ნაწილის ეკონომიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და სახელმწიფოს საერთაშორისო პრესტიჟის ამაღლება. უსაფრთხოების მიღწევის საუკეთესო ვარიანტი სახელმწიფოს ძალაუფლების შესაძლებლობების მაქსიმალური გაზრდაა. ტრადიციულმა რეალიზმმა პროტოსტრუქტურული თეორიის ხასიათი მიიღო ორი თვალსაზრისით: 1) საერთაშორისო ანარქიის მდგომარეობა (წარმოქმნილი ლევიათანის მსგავსი მსოფლიო მთავრობის არარსებობის გამო), განიხილებოდა, როგორც განმსაზღვრელი სტრუქტურული ფაქტორი, რომელიც აიძულებს გადაწყვეტილების მიმღებთ მიიღონ „რეალპოლიტიკის“ სტრატეგია – „უსაფრთხოება უპირველეს ყოვლისა“, იმ მიზნით, რომ დაიცვან და გაზარდონ შესაბამისი ერი-სახელმწიფოს ინტერესები; 2) სხვადასხვა სახელმწიფოს შორის ურთიერთქმედების ხასიათი და შედეგები განისაზღვრებოდა ეროვნული ინტერესების ზოგადი მოდელის მიხედვით. მათ მიაჩნდათ, რომ სახელმწიფოთა შორის მეგობრობა და თანამშრომლობა შესაბამისი ეროვნული ინტერესების თანხვედრიდან მომდინარეობს, ხოლო მტრობა და კონფრონტაცია – ინტერესთა დაპირისპირებიდან.

უოლცის მთავარი პრეტენზია მდგომარეობდა იმაში, რომ საერთაშორისო პოლიტიკის ანალიზი, მიჯაჭვული მხოლოდ ერთეულების (ერი-სახელმწიფოს) ატრიბუტებზე ან ერთეულთა შორის ურთიერთქმედებებზე, ძირეულად „რედუქციონისტული“ და, ამდენად, არაადეკვატური იყო (Waltz 1979: 18-37). პირიქით, მისთვის მისასაღებელი იყო საერთაშორისო სტრუქტურებისა და შედეგების უკომპრომისო ანალიზი როგორც ერი-სახელმწიფოს ქცევის, ისე ერი-სახელმწიფოთა ურთიერთქმედების შედეგების დასადგენად. თუმცა უოლცი აკრიტიკებდა ჰობსონ-ლენინის თეზისს. რის ჩამოყალიბებასაც ის ცდილობდა, ზუსტად იგივე იყო, რის განხორციელებაზეც ყოველთვის ჰქონდა პრეტენზია მარქსიზმს: სახელმწიფოს ქცევის სტრუქტურული ახსნა.

სტრუქტურული ახსნის იდეას უოლცი ორი მიმართულებით ავითარებდა. პირველ რიგში, ძალთა ბალანსის თეორიაში, უოლცი (Waltz, 1979: 126) ცდილობს სტრუქტურულად ახსნას სახელმწიფოთა დომინანტური ალიანსის სტრატეგია (ძალის უპირატესობის თავიდან აცილება). ისევე, როგორც ტრადიციულ რეალიზმში, მთავარი

როლი ენიჭება იმ იდეას, რომ ანარქიის პირობებში გამარჯვებული კოალიციაში არ არსებობს უმცროსი პარტნიორის (პარტნიორების) უსაფრთხოება. სხვა მხრივ, უოლცმა განავითარა სისტემიდან გამომდინარე შედეგების სტრუქტურული ახსნა. განსაზღვრა რა სტრუქტურა როგორც შემაკავებელი ფაქტორების ნაკრები, რომელიც წინააღმდეგობას წარმოშობს ჩანაფიქრსა და შედეგს შორის, უოლცმა (Waltz, 1979: 89-93, 119-122) მოიყვანა ძალთა ბალანსისა და იდეალური კონკურენციის თეორიებს შორის ანალოგია. იდეალური კონკურენციის პირობებში, ბაზრის სტრუქტურა, სადაც არ არსებობს ბარიერი ბაზარზე შეღწევისა და სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად, მოსალოდნელია შემდეგი: ფირმები, რომლებიც მიზნად ისახავენ მოგების მაქსიმალურ ზრდას, ამთავრებენ მისი მინიმუმამდე შემცირებით (ანუ იღებენ ნორმალურ მოგებას). ეს იმიტომ ხდება, რომ თუკი არის ნორმალურზე მეტი მოგების მიღების შესაძლებლობა, ბაზარზე მეტი ფირმა გადის. უოლცი ამტკიცებს, რომ სტრუქტურა მსგავს კომპლექსურ გავლენას ახდენს საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაზე, სადაც ძალთა ბალანსი (შედეგი) წარმოიქმნება „შემთხვევით“, როგორც შედეგი იმისა, რომ ყოველი სახელმწიფო დამოუკიდებლად ანხორციელებს საკუთარი ინტერესებს (განზრახვებს).

მოსაზრება, რომ ვიღებთ შედეგებს, რომლებიც არც ერთ აქტორს არც განუზრახავს და არც უსურვია, 50-იანი წლებიდან მოყოლებული, რა თქმა უნდა, ჩვეული თემა იყო თამაშთა თეორიაში. მართლაც, ტუსადის დილემა დიდი ხნის მანძილზე აღიარებული იყო ჰობსისეული უსაფრთხოების პრობლემის შესაძლო პერიფრაზად, რომელიც ცენტრალური იყო ტრადიციული რეალიზმისათვის (Axelrod 1970; Snyder 1971). ამიტომ, სავსებით ბუნებრივია, „გაუთვალისწინებელი და არასასურველი შედეგების“ პრინციპი უნდა შეეთვისებინა ნეორეალისტების ახალ თაობას, რომელიც ფიქრობდა შემდეგში მის განვითარებას როგორც სხვა თამაშების, ისე განმეორებული თამაშების კუთხით. შესაძლებელი იყო, რომ საერთაშორისო აქტორებს არჩევანი თანამშრომლობის სასარგებლოდ გაეკეთებინათ, მაგრამ სიტუაციის სტრუქტურა, რომელშიც ისინი აღმოჩნდებოდნენ, ორმხრივ ურთიერთგანდგომას განაპირობებდა. ასევე ბუნებრივია, რომ ნეორეალიზმის ნეოლიბერალმა ოპონენტებმა იმავე საკმიანობას მიჰყვეს ხელი. თუმცა მათი მიზანი იყო, ეჩვენებინათ, რომ

სტრუქტურების მიერ თანამშრომლობის შეზღუდვები, რასაც ეს თამაშები ითვალისწინებდა, გაცილებით სუსტი იყო, ვიდრე ამას ნეორეალისტები ვარაუდობდნენ. არსებითად, უოლცის მცდელობამ ექცია რეალიზმი მეცნიერულ, სტრუქტურულ თეორიად, უშუალოდ გამოიწვია ის, რომ საერთაშორისო ურთიერთობების თეორეტიკოსები გაცილებით მეტ ყურადღებას აქცევენ თამაშთა თეორიას. ლოგიკა მარტივი იყო: საერთაშორისო ურთიერთობების თეორია უნდა ესწრაფოდეს სტრუქტურული თეორიის სტატუსის მოპოვებას; თამაშის თეორიული მოდელები აღწერდნენ იმ სიტუაციის სტრუქტურას, რომელშიც ხდება ერი-სახელმწიფოს მიერ გადაწყვეტილების მიღება: ცხადი იყო, რომ ეს ორი რამ უნდა შერწყმულიყო ახალი და უფრო მოქნილი თეორიული აპარატის შესაქმნელად. ამ ამოცანის გადაჭრა იტვირთეს როგორც ნეორეალისტებმა, ისე ნეოლიბერალებმა შთამბეჭდავი ენერგიითა და დიდი ოსტატობით.

## II საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიის- ადმი თამაშთა თეორიის მიდგომის შეზღუ- დულობა

ნეორეალისტებსა და ნეოლიბერალებს შორის გამართული დებატები გააკრიტიკეს სხვადასხვა პოზიციასზე მდგომმა მეცნიერებმა, პოსტმარქსისტული კრიტიკული თეორიის მიმდევრებით დაწყებული, ფემინიზმის მომხრეებით დამთავრებული. კრიტიკა დიდწილად ეპისტემოლოგიური ხასიათის იყო. ნეორეალისტებსა და ნეოლიბერალებს სხვადასხვა ფორმით ადანაშაულებდნენ, თითქოს მათ არ ესმოდათ, რომ თეორიები უშუალოდ ემსახურებოდა არსებული ძალაუფლების სტრუქტურის გამართლებას (Peterson 1992). საყვედურობდნენ ასევე მიზეზობრივი კავშირის კონცეფციის მატერიალიზაციას (Ashley 1986); პოლიტიკური დისკურსების მნიშვნელობის სათანადოდ ვერშეფასებას (Enloe 1994; Campbell 1992) და სუბიექტური აზრების, წესებისა და შესაბამისი ქცევის ცენტრალურობის ვერ გაგებას (Hollis and Smith 1990). მე არ ვაპირებ ამგვარ კრიტიკაზე ყურადღების შეჩერებას. უფრო მეტად მინდა წარმოვადგინო კრიტიკული მაგალითები, რომელიც იზიარებს ნეორეალისტებისა

და ნეოლიბერალების ძირითად „ნეოპოზიტივისტურ“ ეპისტემოლოგიას“ (Keohane 1993: 297).

რადგან აქ შეუძლებელია მთელი სისრულით ვაჩვენოთ სახელმწიფოთა ქცევის გაგების თვალსაზრისით თამაშთა თეორიის მიდგომის შეზღუდულობა, ყურადღებას შევაჩერებთ ორ საკვანძო პრობლემაზე: ამ მიდგომის უუნარობაზე, მოგვცეს „ინტერესების“ ცნების დამაჯერებელი ანალიზი და ახსნას „სტრუქტურული შეზღუდვების“ ცნება.

## ა. ეროვნული ინტერესების როლთან დაკავშირებული პრობლემები

ტრადიციულ რეალისტურ თეორიაში სახელმწიფო ინტერესები ცენტრალურ როლს თამაშობდნენ. საგარეო პოლიტიკური კურსზე მსჯელობისას, „ეროვნული ინტერესების“ ცნება, თვით საერთაშორისო ინსტიტუტებისა და რეჟიმების ფართოდ გავრცელების ხანაშიც კი, კვლავ დომინირებს სახელმწიფო ლიდერების კერძო გათვლებსა და საჯარო განცხადებებში. იმას, რომ ინტერესები კვლავინდებურად ცენტრალურ ადგილს იკავებს (თუმცა ეს ღიად არ ეხება ეროვნულ ინტერესებს), ასევე აღიარებენ აქსელროდი და ქეოჰენი (Axelrod and Keohane 1993: 88): „აქემები განსაზღვრავენ ინტერესებს... იმისათვის, რომ გავიგოთ ინტერესების თანხვედრის ხარისხი (ან რომ გავაძლიეროთ ეს თანხვედრა), ჩვენ უნდა გვესმოდეს პროცესები, რომელთა დროსაც ხდება ინტერესების გაცნობიერება და პრიორიტეტების განსაზღვრა“. აქსელროდი და ქეოჰენი (Axelrod and Keohane 1993: 88) ცდილობენ დააზუსტონ, თუ როგორ უდგებიან რაციონალური არჩევანის თეორიის მიმდევრები ამ პრობლემას: „ამ პროცესის გასაგებად, ერთის მხრივ, უნდა დაინახო ის, როგორც საბოლოო შედეგებში ცვლილების შემტანი. ასე რომ, ტუსადის დილემის მსგავსი თამაში მეტ-ნაკლებად კონფლიქტური ხდება...“

არაფერი მაქვს საწინააღმდეგო აქსელროდისა და ქეოჰენის მტკიცებისა, რომ „ჩვენ უნდა გავიგოთ პროცესი, რომლის დროსაც ხდება ინტერესების გაცნობიერება“. ჩემი აზრით, თამაშთა თეორია მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს „ინტერესები“ მაქსიმალურად კმაყოფილდება, თუკი მიიღწევა მაქსიმალური სარგებელი გარკვეული დანახარჯების დროს (Axelrod and Keohane 1993: 88-91) მაშინ, როდესაც

მისი სარგებელი შეიძლება განვიხილოთ, როგორც „პოტენციალის გაზრდა“ (Baldwin 1993b: 16-17). ამ თვალსაზრისით, „პროცესების გაგება, რომელთა ფარგლებშიც ხდება ინტერესების გაცნობიერება“, როგორც ჩანს, გულისხმობს იმის ჩვენებას, თუ რამდენად შეიძლება განისაზღვროს პრიორიტეტები და რამდენად ეხმიანებიან ისინი საბოლოო შედეგის სტრუქტურის სხვადასხვა ვარიანტებს. მიჩნეულია, რომ ცალკეული აქტორის ინტერესები განსხვავდება იმ კონკრეტული თამაშის ხასიათის შესაბამისად, რომელსაც ის თამაშობს დროის მოცემულ მონაკვეთში. სამწუხაროდ, ეს უფრო ინტერესების განსაზღვრებაა, განმარტებული საბოლოო შედეგის სტრუქტურის კუთხით, ვიდრე „პროცესის“ შეფასება, რომლის დროსაც ხდება ინტერესების გააზრება და განსაზღვრა.

ინტერესების თეორია, რომელსაც ექომაგებიან აქსელროდი და ქეოჰენი<sup>7</sup>, არ შეიძლება დაეფუძნოს იმ აზრს, რომ მოგების გაზრდის პრინციპებთან ერთად ჩვენ ისიც გავიაზრეთ, თუ როგორ იღვწიან ერი-სახელმწიფოები, პირველ რიგში, საკუთარი ინტერესების განსასაზღვრად, შემდეგ კი მათ დასაცავად და გასატარებლად. მოხარულები ვიქნებოდით გვევარაუდა, რომ სახელმწიფოს სარგებლის მაქსიმალიზება „სახელმწიფო ინტერესებში შედის“, მაგრამ ეს არ არის იმ მტკიცების ეკვივალენტური, რომლის თანახმადაც სარგებლის გაზრდის პრინციპი ააშკარავებს ყოველივეს, რისი ცოდნაცაა საჭირო ინტერესთა დაცვისა და გატარების შესახებ.

ინტერესები უნდა განვიხილოთ მათ ისტორიულ კონტექსტში. ვიდრე შევძლებთ, განყენებულად ვიმსჯელოთ ინტერესების ფორმირებასა თუ სახელმწიფოთა ინტერესების შეჯახების ან დამთხვევის შედეგებზე, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, თუ როგორ ესახებათ სახელმწიფოთა ლიდერებს საკუთარი სახელმწიფო ინტერესები. ამის მიღწევა მხოლოდ ფართო, შრომატევადი და რთული გამოკვლევით შეიძლება. უფრო ზუსტად, ზოგიერთი სახის „ინტერესთა ტიპოლოგია“ შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს ამ კონტექსტში. არ უნდა იყოს აზრს მოკლებული, მაგალითად, ერი-სახელმწიფოთა ეკონომიკურ-ეკოლოგიური (ვთქვათ, მოსახლეობის ეკონომიკური და ეკოლოგიური კეთილდღეობის ხანგრძლივი დროით გაზრდა) და პოლი-

---

<sup>7</sup> მართლაც, ქეოჰენი პირდაპირ აცხადებს, რომ „ინტერესთა თეორიის გა-რეშე... შეუძლებელია სავრთაშორისო ურთიერთობების თეორიის არსებობა.“ (Keohane, 1993: 294)

ტიკურ-უსაფრთხოების ინტერესების (მაგალითად, სახელმწიფოს უნარის გაზრდა, უპასუხოს სწრაფად და ეფექტურად გარედან მომდინარე ყოველ სამომავლო საფრთხეს ან პრობლემას<sup>8</sup>) დიფერენცირება. მე აქ, რა თქმა უნდა, არ შემოდლია ჩამოვაცალიბო ერი-სახელმწიფოს (ან სუბსახელმწიფოს, ან კიდევ ზესახელმწიფოს) ინტერესების თეორია. თუმცა ასეთი თეორია, როგორც ერი-სახელმწიფოს კვლევის, ისე სახელმწიფოთა ურთიერთქმედების დამაკმაყოფილებელი ახსნის მთავარი წინაპირობაა. ასევე სავარაუდოა, რომ სახელმწიფო ინტერესების დამაკმაყოფილებელი თეორიის შემუშავება ასე ვთქვათ, მხოლოდ „ქვემოდან ზემოთა“ შესაძლებელი, ანუ ემპირიული საბუთების ჯერჯერობით შეუგროვებელი ფართომასშტაბიანი ანალიზის საფუძველზე. ეს ის ემპირიული მასალაა, რომელიც ეხება პოლიტიკის შემოქმედთა მიერ ინტერესების აღქმას. ის, რაც საერთაშორისო ურთიერთობების თეორიას მართლაც სჭირდება, ახალი ქუინსი რაითია: ვინმე, ვინც უხელმძღვანელებს ინტერესთა შესახებ დიდი რაოდენობით კონკრეტული შემთხვევების კვლევას და ვისაც შესწევს თეორიული წვდომის უნარი, რათა მოგვცეს ამ კვლევათა გამარტივებული, ერთობლივი სურათი. მე ნამდვილად არ ვარ საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზისადმი წმინდა ინდუქციური მიდგომის დამცველი, რომელსაც უაზრო ემპირიზმამდე მივყავართ. აგრეთვე, როგორც ჰანსონმა (Hanson, 1958) შენიშნა, სისტემური ანალიზის პროცესში შესაძლებელია როგორც ინდუქციური, ასევე დედუქციური თეორეტიკება. ერი-სახელმწიფოს ინტერესების ანალიზში, ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპზე, ჩვენ უკიდურესად გვესაჭიროება ნაკლებად თეორიული დედუქცია და ცოტა უფრო მეტი ემპირიული ინდუქცია.

## **ბ. „სტრუქტურული შეზღვევების“ არადამაკმაყოფილებელი განსაზღვრება**

როგორც უკვე აღინიშნა, უოლცი განმარტავს სტრუქტურებს შემზღვეველი პირობების ნაკრების სახით, რომელიც წარმოშობს სხვაობას ჩანაფიქრსა და შედეგს შორის. შემდეგ ის გამოთქვამს ვა-

---

<sup>8</sup> მე ვუშვებ, რომ ეს იყო ის, რაც მორგენტაუმი (Morgenthau 1967: 5-6) იგულისხმავს, როცა დაწერა, რომ სახელმწიფო მოღვაწეები „ფიქრობენ და მოქმედებენ ინტერესებიდან გამომდინარე, რომელიც აღქმულია ძალაუფლებად“.

რაუდს, რომ საერთაშორისო სისტემის ორი უმთავრესი სტრუქტურული მახასიათებელია მის მიერ გამოძევავენებული შესაძლებლობების ცალკეული გამოვლინებები და მოწესრიგების (ანარქიული) პრინციპები, რომელთაც ის ეფუძნება.<sup>9</sup> ამ განმარტების გაზიარების შემთხვევაში, სამართლიანად ისმის კითხვა: რამდენად შესაძლებელია თამაშის თეორეტიკოსების მიერ არჩეული მეთოდების მეშვეობით ჩაწვდე იმას, თუ როგორ უნდა მოიაზრებოდეს საერთაშორისო სტრუქტურა, როგორც სახელმწიფოთა ურთიერთქმედების შედეგების შეზღუდვა.

შესაძლებლობების გამოვლინებათა მნიშვნელობის კვლევის თვალსაზრისით, ამგვარი მეთოდები საკმაოდ მომრავლდა. სნაიდოლის უკანასკნელი ნაშრომი (Snidal 1993), მიძღვნილი სისტემის პოლარულობის სხვადასხვა პირობებში შეფარდებითი მოგებების საკითხისადმი, აჩვენებს, რომ შეფარდებითი მოგებების ზეგავლენა მცირდება აქტორთა რიცხვის ზრდასთან ერთად. ეს გამოკვლევა აგრძელებს იმ ნაშრომთა სიას, რომლებშიც ძალზე შედეგიანად გაანალიზდა კავშირი პოლარულობას, ძირითად აქტორთა მიერ გადაწყვეტილების გაანგარიშებასა და სისტემის შედეგებს შორის.

თუმცა ნაკლებად დამაჯერებლად გამოიყურება მონაცემები თამაშთა თეორეტიკოსთა მცდელობებთან მიმართებაში, გაანალიზონ საერთაშორისო სისტემის ანარქიული ბუნების სტრუქტურული შედეგები. ამ კონტექსტში მთავარ სირთულეს წარმოადგენს იმის გადაწყვეტა, უნდა განვიხილოთ თუ არა მატრიცის სტრუქტურა საერთაშორისო სისტემის (ანარქიული) სტრუქტურის ანალოგიად. იმის გამო, რომ შემოთავაზებული ვარიანტები, თვით მრავალგანზომილებიანი, საბოლოო შედეგების დიდი არჩევანის შემცველი მატრიცებით განსაზღვრულიც კი, ძალიან ჰგავს გადაწყვეტილებების მიძღებ „რეალურ“ პირთა „რეალურ“ არჩევანს, ეს შეკითხვა განსაკუთრებით პრობლემატურია გაურკვევლობის გამო. გაურკვევლობა ანარქიული სტრუქტურის ერთ-ერთი კრიტიკული ნიშან-თვისებაა, რომლის დაფიქსირებასაც ცდილობს საკითხისადმი მომგებიანობის

---

<sup>9</sup> უოლცის (Waltz 1979: 93-7) სტრუქტურის მესამე ელემენტი, რომელიც გამოიყენება საშინაო პოლიტიკურ კონტექსტში, ერთეულების ფუნქციური დიფერენცირება, მოკლებულია მნიშვნელობას საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემებში: ერი-სახელმწიფოები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან შესაძლებლობებით და არა ფუნქციებით, ისინი „ერთეულების მსგავსნი“ არიან.

მატრიცა. ამ მხრივ, მთავარი პრობლემა ის, რომ მომგებიანობის მატრიცა რადიკალურად ჩქმალავს გაურკვეველობის ხარისხს, რომელსაც პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიმღები პირები სინამდვილეში აწყდებიან საერთაშორისო სისტემაში.  $Kxk$  მატრიცა ადგენს გაურკვეველობას ოპონენტისათვის ხელმისაწვდომი  $k$  ალტერნატიული სტრატეგიების თვალსაზრისით.<sup>10</sup> თუმცა „რეალურ სამყაროში“, თვით  $k$ -აქტორის სიტუაციაშიც კი, გაურკვეველობები გაცილებით ძლიერია, ვიდრე ეს  $k$ -არჩევანის პოზიციამ შეიძლება ივარაუდოს. პოლიტიკური კურსის სხვადასხვა ვარიანტს შორის არჩევისას გადაწყვეტილების მიმღები პირები „რეალურ“ სიტუაციაში, როგორც წესი, აწყდებიან შემდეგ გაურკვეველობებს:

- როგორი იქნება მოწინააღმდეგე ქვეყნის შიგნით სხვადასხვა ფრაქციის რეაგირება?
- გააძლიერებს მსგავსი მოქმედებები მოწინააღმდეგე ქვეყანაში მეტ-ნაკლებად მეგობრულად განწყობილ ფრაქციათა პოზიციებს?
- როგორ განიხილება ქმედებათა ამგვარი მსვლელობა, როგორც სამომავლოდ გასათვალისწინებელი პრეცედენტი, თუ როგორც *sui generis* (უნიკალური)?
- როგორი იქნება საზოგადოებრივი აზრის რეაგირება მოწინააღმდეგე ქვეყანაში?
- გაზრდის თუ არა ამგვარი ქმედება მოწინააღმდეგე მხარის გადაწყვეტილების მიმღებთა შეურიგებლობას, თუ ხელს შეუწყობს მომავალში კომპრომისისათვის მათ მზადყოფნას ?
- როგორი იქნება საზოგადოებრივი აზრის რეაგირება შინ?
- როგორი იქნება საკუთარ ქვეყანაში პოლიტიკური პარტიების ან ჯგუფების რეაქცია?
- რა რეაგირებას მოახდენს საკუთარი პარტია? ამასთან ვისი პოზიცია გაძლიერდება – პარტიის ხელმძღვანელობის თუ ოპოზიციური ფრაქციების?

---

<sup>10</sup> გაურკვეველობის მაღალ ხარისხთან, რა თქმა უნდა, მაშინ გვაქვს საქმე, როცა აქტორმა არ იცის, რა წარმატებას მიაღწევს, გამომდინარე, როგორც საკუთარი, ისე ოპონენტის ქმედებიდან, ან ორივე ქმედებიდან ერთად. ამ სიტუაციას დაწვრილებით განიხილავენ თამაშთა თეორეტიკოსები. იხ. მაგ., Rasmussen 1989.

- იქონიებს თუ არა ეს არჩევანი გავლენას მესამე ქვეყნებზე?
- თუკი ექნება, მაშინ როგორ იმოქმედებს ეს გავლენა ქვეყნის მომავალ ურთიერთობაზე მესამე მხარესთან?
- რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, რამდენად მოჰყვება ამგვარ მოქმედებას სასურველი შედეგები?

ამ შეკითხვათაგან უმეტესობაზე ძალიან იშვიათად მოეძებნებათ პასუხი საერთაშორისო პოლიტიკის „რეალურ სამყაროში“. თუმცა გაურკვეველობა ყველა ამ შეკითხვასთან დაკავშირებით, საგარეო პოლიტიკური კურსის შემოქმედთა გადაწყვეტილების გაანგარიშების გადამწყვეტი ელემენტია, რაც ცალსახად უნდა გავითვალისწინოთ, თუკი ვაპირებთ „რეალური“ არჩევანისა და, შესაბამისად, „რეალური“ შედეგების ახსნას. მომგებიანობის მატრიცები და „მომგებიანი ნაკრების“ ტიპის მოდელები, მაგალითად ისეთი, როგორც შემოგვთავაზა პატნემმა (Putnam 1988) თამაშების ორდონიან თეორიაში, ვერ ახერხებს მოიცვას „რეალური“ გაურკვეველობა, რომლის წინაშეც დგას „რეალური“ პოლიტიკური კურსის შემოქმედი. მიუხედავად ამისა, ეს ზუსტად ის „რეალური“ გაურკვეველობებია, რომელთა საფუძველზეც ყალიბდება როგორც „რეალურ სამყაროში“ გაკეთებული არჩევანი, ასევე აქედან მიღებული შედეგების სტრუქტურული ჩარჩოები. ამდენად, თუკი საქმე ეხება თამაშთა თეორიულ მიდგომაში ანარქიული საერთაშორისო სტრუქტურის იმ ცენტრალური ასპექტების ადეკვატურ ასახვას, რომელთა გამოკვეთასაც ისინი საგანგებოდ აპირებდნენ, შეკითხვა ღიად უნდა დარჩეს.

### III თამაშის თეორიისაგან თავისუფალი დამთმობი რეალიზმის საკითხისათვის

ეს მსჯელობა არავითარ შემთხვევაში არ ისახავდა მიზნად საერთაშორისო ურთიერთობებისადმი თამაშის თეორიული მიდგომის რადიკალურ კრიტიკას. თუმცა, გარკვეულწილად, ის მაინც მოიცავს საკითხს, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს დებატები ნეორეალისტებსა და ნეოლიბერალებს შორის. თამაშთა თეორიული მიდგომის წარუმატებლობა ინტერესებისა თუ გაურკვეველობის ადეკვატური გაანგარიშების საქმეში, გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა ღირდეს, განვიხილოთ, თუ როგორი იქნებოდა ნეორეალიზმი და

ნეოლიბერალიზმი, თუკი ის გათავისუფლდებოდა თამაშთა თეორიის სუპერსტრუქტურისაგან. ქვემოთ წარმოდგენილი „აზრობრივი ექსპერიმენტი“ სწორედ ამ სურათს გვიხატავს. ანგარიშს უწევს რა მზარდ შეგნებას იმისა, რომ ის, რასაც ნეორეალისტები და ნეოლიბერალები გვთავაზობენ, უფრო აშკარა ემპირიულ შემოწმებას საჭიროებს (Keohane 1993), „ექსპერიმენტი“ ხაზს უსვამს უშუალო ემპირიული შემოწმების მნიშვნელობას. ექსპერიმენტი ასევე მიზნად ისახავს, მხარი დაუჭიროს დიპლომატიის მკვლევარი ისტორიკოსების მიერ აღიარებულ თვალსაზრისს, რომ რეალიზმი წარმოადგენს როგორც გადაწყვეტილების მიღების თეორიას, ისე მარტივ სტრუქტურულ თეორიას ერი-სახელმწიფოს ქცევის გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების შესახებ.

17A და 17B დანართებში მოტანილია ნეორეალისტებისა და ნეოლიბერალების მტკიცებების გადასინჯვა. ამგვარად, მე ვემხრობი ლაკატოსის (Lakatos 1970) მოსაზრებას, რომ ყველა თეორია არის: 1) „ბირთვი“, რომელიც განსჯასა და შეცვლას არ ექვემდებარება; 2) წინადადებათა ნაკრები, რომელიც მეტ-ნაკლებად „ბირთვიდან“ მომდინარეობს და შემოწმებას ექვემდებარება გადასინჯვადი დებულების გაგებით. ამგვარ დებულებებს შორის მე განვასხვავებ: I) მტკიცებას, რომელიც შეიძლება ჩამოყალიბდეს პოლიტიკური კურსის ცალკეულ შემოქმედთა გადაწყვეტილების ინდივიდუალური გაანგარიშების დეტალური შემოწმებით („გადაწყვეტილების მიღების“ დონე); II) მტკიცებებს, რომლებიც ემპირიულ შემოწმებას მოითხოვენ ინტერესების ტრანსნაციონალური მოდელისა თუ კოოპერაციის კონტექსტში („სტრუქტურული დონე“).

მკითხველი უდავოდ თავად შეაფასებს A17.A და A17.B დანართებში გამოყოფილი თეორიული მტკიცებების ინდივიდუალურ და კოლექტიურ ადეკვატურობას. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ქცევის ოთხი მახასიათებელი.

ცხადია, ტაბულების შინაარსს ვერ უწოდებ დახვეწილს (მე თვითკრიტიკული ვიქნებოდი და ამას „ნედლი მასალას“ ვუწოდებდი). ქეოჰენის, სნაიდოლის, გრეკოს, პაუელის, ბოლდუინის და ბევრი სხვა ავტორის უკანასკნელ ნაშრომებთან შედარებით, აქ აბსტრაქციისა და თეორიული სიმკაცრის დიდი ნაკლებობაა. შესაძლო კრიტიკაზე საპაუხოდ, როგორც საკუთარ თავს, ისე მკითხველს ვკითხავდი: აქვს კი რეალურად ამ ნაკლებობას გადამწყვეტი მნიშ-

ვნელობა? A17.A და A17.B ტაბულებში ჩამოყალიბებული გეგმიდან ნამდვილად ცოტას თუ შევიტყობთ თეორიული სამყაროს შესახებ. თუმცა არ ვარ დარწმუნებული, რომ ამ გეგმით მუშაობა სამყაროზე, რომლის გაგება თუ ახსნა, ასეა თუ ისე, გვსურს, გვეტყვის უფრო ნაკლებს, ვიდრე დახვეწილი, მკაცრი და აბსტრაქტული ანალიზი. A17.A და A17.B ტაბულებში მოცემული დებულებების სიძლიერე, ნაწილობრივ, მდგომარეობს მათ ლაკონიურობაში, ნაწილობრივ კი, ემპირიული კვლევის არაორაზროვან გეგმაში, რომელსაც ისინი შეიცავენ. ეს გულისხმობს არაერთ ჰიპოთეზას, რომელთა გასინჯვაც შეიძლება ინდივიდუალურად და უშუალოდ ისტორიული შემთხვევების გამოკვლევათა ფართო სპექტრის შემოწმებით.

ტაბულების მეორე ძირითადი შემადგენელი ნაწილი მოიცავს ინტერესების ცნებას. ზომიერი რეალიზმის მტკიცებებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნაციონალური ინტერესების აღქმას. მიუხედავად ამისა, ცხადია, რომ ჩასატარებელია დიდი ემპირიული სამუშაო იმის დასადგენად, თუ როგორ წარმოუდგენიათ საკუთარი სახელმწიფო ინტერესები გადაწყვეტილების მიმღებ პირებს.<sup>11</sup> ეს გამოკვლევა ასევე გულისხმობს, რომ უნდა გაანალიზდეს, თუ როგორ ზემოქმედებს ინტერესების აღქმაზე ქვეყნის სპეციფიკური ისტორიული ძალები და ინსტიტუტების საქმიანობა თუ ვალდებულებები, როგორც ნაციონალურ, ისე საერთაშორისო დონეზე. ეს, თავის მხრივ, მოითხოვს იმ საშინაო პოლიტიკური სტრუქტურებისა და პროცესების წარმოჩენას, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ნეორეალისტურ თეორიაში. თუმცა, ეს არის აქცენტი, რომლის მნიშვნელობასაც ნამდვილად ცნობენ ნეოლიბერალები და ინსტიტუციონალისტები.<sup>12</sup> საგარეო პოლიტიკის შესწავლაში საშინაო გათვლების აშკარა მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად გვეჩვენება, რომ საერთაშორისო ურთიერთობების სავარაუდო თეორიამ სათანადოდ გაითვალისწინოს საშინაო ფაქტორების შესაძლო მოქმედება ერი-სახელმწიფოს ქცევის გენეზისში.

A17.A და A17.B ტაბულების მესამე შემადგენელი ნაწილი, რომელიც ყურადღებას იმსახურებს, შეეხება სტრუქტურის ცნებას. შე-

---

<sup>11</sup> თანამედროვე საერთაშორისო ინსტიტუტების მზარდი როლიდან გამომდინარე, „გადაწყვეტილების მიმღებ პირთა აღქმის“ ცნება, ალბათ, უნდა შეიცავდეს წამყვან ტრანსნაციონალურ ინსტიტუტებსაც.

<sup>12</sup> მაგალითისათვის იხ.: Axelrod and Keohane 1993: 101-2; Elman 1995.

იძლება ითქვას, რომ დებულებები იმ სახით, რა სახითაც მოგვეწოდება, მნიშვნელოვნად ამცირებს საერთაშორისო სტრუქტურის როლს და უოლცისეული გაგებით, გვხვდება მხოლოდ მინიშნება სტრუქტურული შედეგების ანალიზზე რეალიზმის შეუცვლელ ბირთვში (ტაბულა A17.A ბრალდება 26). ამას ვერც კი შევადარებთ სტრუქტურული ზემოქმედების იმ სახეობას, რომელსაც ახასიათებს უოლცი, როდესაც მსჯელობს იდეალური კონკურენციისა და ძალთა ბალანსის თეორიებს შორის ანალოგიის შესახებ. ამ კრიტიკის საპასუხოდ, მე განვაცხადებდი, რომ გაცნობიერებული ინტერესების საყოველთაო მოდელი, რომლის ჩამოყალიბებაც ჯერ მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან საკუთარი ინტერესების აღქმის გააზრებით არის შესაძლებელი, ზუსტად იმდენადვეა სტრუქტურული მახასიათებელი, როგორც უოლცისეული „შესაძლებლობების განაწილება“. ამ თვალსაზრისით, ინტერესების ნაწილობრივ თანმხვედრ და დაპირისპირებულ მოდელებთან მიმართებაში A17.A ტაბულაში გამოყოფილი მოდელი გარკვეულწილად ითვალისწინებს სტრუქტურულ ზემოქმედებებს. უოლცისეული თვალსაზრისით, თუკი ეს სუსტ ანალიზს წარმოადგენს, მაშინ დაე ასე იყოს. შემიძლია მხოლოდ შემამსუბუქებელი გარემოების სახით შევნიშნო, რომ რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ვერავინ (უოლცის ჩათვლით) ვერ შეძლო საერთაშორისო სტრუქტურის ზემოქმედებათა გაანგარიშება, რომელიც შეედრებოდა იმას, თუ როგორ მოქმედებს სტრუქტურული ზეგავლენა იდეალური კონკურენციის პირობებში.

ჩემი უკანასკნელი კომენტარები გადასინჯულ თეორიულ განცხადებებზე, რომლებიც მოცემული A17.A და A17.B ტაბულებში, ეხება ყბადაღებულ დამაბულობას ნეორეალიზმსა და ნეოლიბერალიზმს შორის. რომ ნეორეალიზმი და ნეოლიბერალიზმი იზიარებენ რამდენიმე ერთსა და იმავე წინასწარ ვარაუდს (კერძოდ, რომ საერთაშორისო სისტემა ანარქიულია და შედგება თვითუზრუნველყოფი, მაქსიმალური ინტერესების მქონე სახელმწიფოებისგან). მიუხედავად ამისა, ძირითადად მიჩნეულია, რომ ორივე თეორიას განსხვავებული მოლოდინი აქვს ერ-სახელმწიფოთა თანამშრომლობის პერსპექტივასთან დაკავშირებით და ნეოლიბერალური პოზიცია აშკარად უფრო ოპტიმისტურია. ასევე ფართოდაა აღიარებული, რომ ნეორეალიზმი, როგორც ჩანს, გვთავაზობს უკეთეს მოდელს სახელმწიფოთა დამაპირისპირებელი სამხედრო და უსაფრთხოების პრობ-

ლემების ანალიზისათვის. სამაგიეროდ, ნეოლიბერალიზმის გაანგარიშება სახელმწიფოთა ურთიერთობის შესახებ პოლიტიკურ-ეკონომიკურ სფეროში უფრო გამოსადეგია (Grieco 1993a: 131).

ასეთ კონტექსტში აუცილებლად დგება კითხვა: რატომ უნდა განვიხილოთ სხვადასხვა წარმატების ეს ნიმუში? გრეკო სხვებზე მეტად მიუახლოვდა პასუხს, როდესაც მსჯელობდა  $k$  კოეფიციენტის შესახებ. ამ კოეფიციენტით იზომება სახელმწიფოთა “მგრძობელობა” ”დანახარჯებსა და სარგებელს შორის სხვაობისადმი” სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთქმედების დროს. გრეკო (Grieco 1993a: 323) ვარაუდობს, რომ „ძირითადად მოსალოდნელია  $k$ -ის გაზრდა, როცა სახელმწიფო, კარლ დოიჩის თქმით, გადადის „პლურალისტური უსაფრთხოების თანამეგობრობის“ ფორმის ურთიერთობებიდან ისეთზე, რომელიც უახლოვდება საომარ მდგომარეობას. მაგალითად,  $k$ -ის დონე, უფრო დაბალია მაშინ, როცა სახელმწიფოს პარტნიორი მისი დიდი ხნის მოკავშირეა, და არა ამწუთიერი მოწინააღმდეგე.“

გრეკო ამით გულისხმობს, რომ სახელმწიფოთა ნებისმიერ წყვილს შორის ურთიერთობის ხასიათი დამოკიდებულია სპეციფიკურ ისტორიულ გარემოებებზე. თუ სახელმწიფოებმა მიაღწიეს ურთიერთთავაგების და ნდობის რაციონალურ ხარისხს თანამშრომლობის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ისინი სავარაუდოდ ნაკლებად უნდა წუხდნენ შეფარდებით მოგებაზე (ისინი მგრძობიარედ არ აღიქვამენ „საბოლოო შედეგებში ჩავარდნებს“). ამდენად, უფრო მოსალოდნელია, რომ სამომავლოდ ისინი უფრო ითანამშრომლებენ, ვიდრე ერები, რომლებიც ამა თუ იმ ისტორიული მიზეზის გამო ეჭვის თვალით უყურებენ ერთმანეთს. ისტორიკოსებისთვის, რა თქმა უნდა, ეს თავისთავად ცხადია, მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობების თეორეტიკოსები, როგორც ჩანს, სათანადოდ ვერ აფასებენ ამ გარემოებას. როგორც ფორმალისტი თეორეტიკოსი, გრეკო სავსებით სწორად ნერგავს თავის  $k$  კოეფიციენტს ანარქიის პირობებში სახელმწიფოს გადაწყვეტილების გათვლის მისეულ ფორმალურ მოდელში. თუმცა ამით ის სათანადოდ ვერ აფასებს ისტორიული გარემოებების ამხსნელ მნიშვნელობას. სავსებით შესაძლებელია, რომ სახელმწიფოებს ნაკლებად ადარდებდეთ შეფარდებითი მოგება, როცა საქმე აქვთ დიდი ხნის მეგობრებთან და მოკავშირეებთან. მიუხედავად ამისა, გადაწყვეტია შემდეგი: თუკი „რეალური“ სა-

ხელმწიფოები საქმეს აწარმოებენ დიდი ხნის მეგობრებთან და მოკავშირეებთან, ურთიერთქმედების ხასიათი ფუნდამენტურად განსხვავებულია. სხვა ტიპის ურთიერთქმედება ვლინდება, როცა მათ საქმე აქვთ სახელმწიფოებთან, რომელთა მიმართაც, ჰობსისეული გაგებით, შიშის გრძნობა შერჩენიათ. გრეკოს  $k$  კოეფიციენტი, რომელიც უაღრესად გონივრულადაა მოფიქრებული, უბრალოდ შორს არ მიდის. ის სათანადოდ ვერ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ სახელმწიფოებს განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ ერთმანეთისადმი. ისევე, როგორც განსხვავდება ინდივიდის დამოკიდებულება თითოეული მეგობრისა და ნაცნობის მიმართ, სახელმწიფოც სხვადასხვაგვარად მოქმედებს იმ სახელმწიფოებთან მიმართებაში, რომლებთანაც აქვს კონტაქტი. სახელმწიფოსაც შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული გათვლები თითოეული მათგანის მიმართ. ზუსტად იმიტომ, რომ სახელმწიფოები განსხვავდებიან ერთმანეთისგან, განსხვავებულია თანამშრომლობის საფასურისა და სარგებლის გათვლა იმისდა მიხედვით, თუ ვისთან იჭერენ საქმეს. პრობლემების წინაშე მდგომი ერი-სახელმწიფოები შეიძლება იყვნენ ან არ იყვნენ ერთმანეთის მსგავსნი საიმისოდ, რომ დაიმსახურონ უოლცისეული შეფასება – საერთაშორისო სისტემის „ერთეულისა“. „რეალური“ – განსხვავებული – გადაწყვეტილების მიმღები პირები, ნამდვილად არ განიხილავენ სხვა სახელმწიფოს, როგორც „ერთეულის მსგავსს“. ისინი, გამონაკლისის გარეშე, მიიჩნევენ ზოგიერთ აქტორს მეგობრად, სხვებს კი – რეალურ ან პოტენციურ მტრად.

ყოველივე ეს მეტყველებს იმაზე, რომ ნაკლებად სავარაუდოა, ერი-სახელმწიფოების გადაწყვეტილების გასაანალიზებლად ცალკეული (აბსოლუტურ ან შეფარდებით მოგებაზე დაფუძნებული) გადაწყვეტილების გაანგარიშების მექანიზმის შექმნის მცდელობა ჩასწვდეს „რეალურ“ სამყაროში გადაწყვეტილების მიღების სრულ შეუსაბამობას. სულ ცოტა, ჩვენ გვჭირდება, ჩამოვაცალობოთ ერი-სახელმწიფოს მიერ გადაწყვეტილების მიღების ორი განსხვავებული მოდელი მაინც: ერთი იმ სიტუაციისათვის, როცა ისტორიული გარემოებები მიგვანიშნებენ, რომ ჰობსისეული შიშის მდგომარეობა კვლავინდებურად არსებობს ჩაბმულ მხარეთა შორის და მეორე – სიტუაციისათვის, როცა ჰობსისეული შიში ამა თუ იმ ისტორიული მიზეზის გამო გადალახულია. თუ დავაკვირდებით, ეს ზუსტად ის არის, რითაც ალგვჰურვეს ნეორეალიზმმა და ნეოლიბერალიზმმა,

თითოეულმა მათგანმა თავისებურად. იქ, სადაც არსებობს ჰობსისეული შიში, დომინირებს სამხედრო უსაფრთხოების ამოცანები და ნეორეალისტური მოდელი საკვებით დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდება. თუკი ჰობსისეული შიში დაძლეულია, ჭარბობს პოლიტიკურ-ეკონომიკური ამოცანები და ნეოლიბერალური მოდელი თავისუფლად მუშაობს. ეს განმარტება არ ხსნის, თუ რატომ არის ზოგჯერ ჰობსისეული შიში დაძლეული, ზოგჯერ კი არა. ეს უფრო ისტორიული შემთხვევითობაა, ვიდრე თეორიული მსჯელობის საგანი.<sup>13</sup>

ამ არგუმენტის დამაჯერებლობის გაზიარების შემთხვევაში, ნათელია, თუ როგორი იქნება A17.A და A17.B ტაბულებში ჩამოყალიბებული დებულებების შესაძლო შედეგები. A17.A ტაბულის მე-8 დებულება გულისხმობს:

ანარქიის ბარიერები და ჰობსისეული შიში შეიძლება შეიცვალოს (ალიანსებისა და ბლოკის წევრობის შეცვლით), მაგრამ ვერასდროს დაიძლევა ლევიათანის გარეშე. სადაც სახელმწიფოთა შორის ჰობსისეული შიშის საზღვრები დაიძლევა, იქ უფრო ადვილად მიიღწევა მათ შორის პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობა.

---

<sup>13</sup> განვიხილოთ, მაგალითად, ომის შემდგომი ინგლისურ-ამერიკული ურთიერთობების შემთხვევა. სასაცილოა დაუშვა, რომ აბსტრაქტულ თეორიას შეუძლია ახსნას, თუ რატომ ჰქონდათ აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს 60-იან წლებში იმდენად ახლო ურთიერთობა, რომ ამერიკელებს შეეძლოთ, საკმარისი ნდობა ჰქონოდათ ბრიტანელების მიმართ იმისათვის, რომ მათთვის ბირთვული იარაღი მიეყიდათ (მართლაც, უოლცი (Waltz 1979: 121) არ გვირჩევს, მოველოდეთ თეორიისგან, „რომ ის გვეტყვის, თუ რატომ გადადგა X სახელმწიფომ გარკვეულ ნაბიჯი გასულ სამშაბათს“). აშშ-ისთვის დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკა ფართო კონტექსტში საკმაოდ ბუნდოვანი ჩანდა. თუმცა ნათელი იყო: 1) დიდი ბრიტანეთი არასოდეს გამოიყენებდა ბირთვულ იარაღს აშშ-ის წინააღმდეგ; 2) ბრიტანელებს საკმარისი პასუხისმგებლობის გრძნობა ჰქონდათ იმისათვის, რომ არ გამოეყენებინათ ეს იარაღი ვაშინგტონთან წინასწარი კონსულტაციების გარეშე. აშშ-ის გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, შეიძლება გავანალიზოთ შეფარდებითი ან აბსოლუტური სარგებლის პოზიციიდან, მაგრამ ეს არ ხსნის, თუ როგორ დამყარდა ოცდახუთი წლის მანძილზე ესოდენ გამორჩეულ ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობები. არსებითად, შეერთებული შტატების მთავრობის გათვლები დამოკიდებული იყო ვაშინგტონსა და ლონდონს შორის არსებული ურთიერთობების ხასიათზე, რაც, თავის მხრივ, განპირობებული იყო შემთხვევითი ისტორიული გარემოებებით.

ნეოლიბერალური თეორიის განსჯისას შეიძლება, გავიხილოთ ის, როგორც მე-8 დებულების ფარგლებში მოქცეული სუბჰიპოთეზების კომპლექტი. სადაც დაძლეული იქნება ჰობსისეული შიში, იქ ამოქმედდება A17.B ტაბულაში შეჯამებული ნეოლიბერალური დებულებები, სადაც არა – ისევე რეალიზმი იბატონებს.<sup>14</sup> მიღებული კომბინაცია შეიძლება დახასიათდეს, როგორც „დამთმობი რეალისტური“ მოდელი. რეალიზმი ნეორეალიზმად გარდაქმნისას პოზიტვიზმის მიმართ ეპისტემოლოგიურ „დათმობაზე“ წავიდა (Spegele 1983). ასევე, ნეოლიბერალიზმთან მიმართებაში, ნეორეალიზმს მართებს, აღიაროს, რომ განსაკუთრებულ ვითარებაში ნეოლიბერალები უფრო დამაჯერებლად გადმოსცემენ ამბებს. ასევე ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ნეოლიბერალიზმისგან, როგორც დამთმობი რეალიზმის განსაკუთრებული შემთხვევისაგან, მოსალოდნელია არა ნეოლიბერალიზმის „დაქვეითება“, არამედ მისთვის შესაბამისი ადგილის მიჩენა. ნეოლიბერალები დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ ამგვარი ადგილი არ გულისხმობს მათი ანალიზის თეორიული ძალის შეზღუდვას. ჰობსისეული შიშის გადალახვა არ ნიშნავს ანარქიის დასასრულს. ეს უბრალოდ გულისხმობს, რომ ანარქიული სტრუქტურა, რომელშიც სახელმწიფოებმა უნდა „იმოქმედონ“, არ არის „უმწიფარი“ (Buzan 1991). კვლავინდებურად არ არსებობს ლევიათანი, რომელიც პატიოსნად ითამაშებდა და კვლავინდებურად არსებობს მნიშვნელოვანი გაურკვევლობა, როგორც სხვა აქტორების მიზნებისა და სამომავლო გეგმების თაობაზე, ისე თანამშრომლობის ან კონფრონტაციის შესაძლო შედეგებთან დაკავშირებით. ნეორეალისტური და ნეოლიბერალური აზროვნების შერწყმის ეს წინადადება, ალბათ, არც ერთ მათგანს არ მოეწონება. ვნახოთ.

## **დანართი 17A**

### **დამთმობი რეალიზმი**

#### **ტაბულა A17.A დამთმობი რეალიზმის შემაჯამებელი დებულებები**

##### **A. დამთმობი რეალიზმის ურყევი ბირთვი**

<sup>14</sup> ის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ნეოლიბერალური რეკომენდაციები ჰობსისეული შიშის პირობებში, კვლავინდებურად ემპირიულად შეიძლება ვიკვლიოთ.

1. საერთაშორისო სისტემა ანარქიულია და თვითდამხმარე. ერთი ეფექტური ცენტრალური ხელისუფლების არარსებობის პირობებში, თავისი მოქალაქეების ეკონომიკური და უსაფრთხოების ინტერესების დასაცავად ერი-სახელმწიფო იმულებულია (თუმცა ეს არ არის აუცილებელი), პირველ რიგში, დაეყრდნოს საკუთარ ძალებს
2. ჰობსისეული ბუნებრივი მდგომარეობის მოდელი გარკვეული მოდიფიკაციით საერთაშორისო სისტემის ანალოგს წარმოადგენს. კერძოდ:

ა) სახელმწიფოს საგარეო ქცევა არ განისაზღვრება მისი საშინაო მახასიათებლებით, თუმცა ამ მახასიათებლებმა შეიძლება იმოქმედოს ქვეყნის ლიდერების მიერ ეროვნული ინტერესების განსაზღვრის წესზე. საგარეო ქცევის განმსაზღვრელი გადაწყვეტი ფაქტორია ის საგარეო გარემო, რომელშიც სახელმწიფო აღმოჩნდება. ეს გარემო ბადებს გაურკვეველობის მაღალ ხარისხს და „ჰობსისეული შიშის“ გრძნობას სახელმწიფოში გადაწყვეტილების მიმღებ პირთა შორის.

ბ) თუ ერთი სახელმწიფო მუდმივად აგრესიულად იქცევა ანარქიულ სისტემაში, მაშინ პოტენციურად მუქარის ქვეშ მყოფმა სახელმწიფოებმა საპასუხოდ რეალპოლიტიკურ სტრატეგიას უნდა მიმართონ ან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოიპოვონ დაცვის გარანტია სხვა სახელმწიფოს მხრიდან, რომელიც ამ სტრატეგიას მისდევს. რეალპოლიტიკური სტრატეგია შემდეგნაირად შეიძლება განისაზღვროს: A გაზრდის თავის (როგორც წესი, სამხედრო) ძალას და შესაძლებლობებს იმ მიზნით, რომ (I) გაზარდოს ძალის (ან მუქარის) გამოყენების უნარი B-ის წინააღმდეგ და (II) შეამციროს შანსი, რომ B გამოიყენებს ძალას (ან მუქარას) A-ის წინააღმდეგ.

გ) გამომდინარე ა) და ბ) პუნქტებიდან, სახელმწიფოები მუდმივად იმყოფებიან ძალის გამოყენებისათვის მზადყოფნის მდგომარეობაში თავდასხმისა თუ თავდაცვის მიზნით.

დ) სხვადასხვა ისტორიული მიზეზის გამო, სახელმწიფოებმა შეიძლება გააფართოვონ ჰობსისეული შიშის საზღვრები და გაერთიანდნენ მეტ-ნაკლებად შეკრულ ბლოკებად. უსაფრთხოების თვალსაზრისით, ამ ბლოკების

გათვლები და ქცევა სახელმწიფოს გათვლებისა და ქცევის ანალოგიური იქნება.

- ე) სახელმწიფოების ან ბლოკების საგარეო პოლიტიკური კურსები მართულია სამი ძირითადი მოტივით: უსაფრთხოებით („დაცულობით“), სარგებლით („მადის დაკმაყოფილებით“), დიდებითა და პრესტიჟით („რეპუტაციით“).
3. ანარქიის პირობებში სახელმწიფოს ქცევის უპირატესი სტრატეგიაა: საკუთარი ძალის შესაძლებლობათა გაზრდა (Bull 1977), ძალთა ბალანსის დარღვევის თავიდან აცილება (Waltz), ისეთი ურთიერთობის თავიდან აცილება, რომლის დროსაც სახელმწიფო იძულებულია, დაქვემდებარებული როლი ითამაშოს (Galtung 1964) ან არ დაუშვას, რომ სხვებმა მიაღწიონ უპირატესობას მათ რელატიურ შესაძლებლობებში.
4. ანარქიის პირობებში ამ დომინანტური სტრატეგიის განხორციელება წარმოქმნის პრევენციულ ექსპანსიონიზმს ან პოლიტიკურ იმპერიალიზმს იმ სახელმწიფოთა შორის, ვისაც ამის განხორციელების ფიზიკური საშუალება აქვს. ამ იმპერიალიზმის სახე ვარიანტებს ისტორიული კონტექსტის შესაბამისად. ერი-სახელმწიფოები გამოიყენებენ ყველა მათთვის ხელმისაწვდომ პოლიტიკურ და/ან ეკონომიკურ მექანიზმს საერთაშორისო სისტემაში მათი პოზიციის შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად. ზოგჯერ იმპერიალიზმი გამოიხატება საერთაშორისო ინსტიტუტების განვითარებაში, რომლებიც არაპროპორციულად მოქმედებენ მათი სპონსორი სახელმწიფოს (სახელმწიფოების) ინტერესების შესაბამისად.

**B. დამთმობი რეალიზმის დებულებები, რომელთა შემოწმებაც შესაძლებელია ინდივიდუალურ, გადაწყვეტილების მიღების დონეზე**

5. მუდმივი საფრთხიდან გამომდინარე, რომელიც სახელმწიფოსა თუ ბლოკს გარედან ემუქრება, ყველაზე მნიშვნელოვანი მოტივი, რომელსაც საგარეო პოლიტიკური კურსი ეფუძნება, ეროვნული (ან ბლოკის) უსაფრთხოების უზრუნ-

ველყოფა. ეკონომიკური სარგებლის გათვლები ყოველთვის დაქვემდებარებული იქნება უსაფრთხოების გათვლებზე, თუკი არსებობს რაიმე წინააღმდეგობა ამ ორს შორის.

6. ანარქიის პირობებში პოტენციური მოწინააღმდეგის განზრახვებთან დაკავშირებით დასკვნა გამოაქვთ მათი შესაძლებლობიდან და არა მათი განცხადებებიდან თუ დაპირებებიდან. მოწინააღმდეგის შესაძლებლობების მონიტორინგი საერთაშორისო პოლიტიკის მუდმივი ნიშან-თვისებაა.
7. გრეკოს სავალდებულო თეზისი: „თუ სახელმწიფოებს გააჩნიათ საერთო ინტერესი და აწარმოებენ მოლაპარაკებას წესების თაობაზე, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს შეთანხმებას თანამშრომლობის შესახებ, მაშინ უფრო სუსტი, მაგრამ ჯერ კიდევ გავლენიანი პარტნიორები შეეცდებიან მიიღონ იმის გარანტია, რომ ამგვარად ჩამოყალიბებული წესები უზრუნველყოფენ მათ ძალის მქონე ხმის უფლებით, რითაც შესაძლებელი გახდება უფრო ძლიერი პარტნიორების დომინირების პრევენცია ან შესუსტება მაინც“ (Grieco 1993b: 331).
8. ლევიათანის გარეშე ანარქიისა და ჰობსისეული შიშის საზღვრები შეიძლება შეიცვალოს (ალიანსებისა და ბლოკების წევრობის შეცვლის მეშვეობით), მაგრამ ვერასდროს მოისპობა. სადაც სახელმწიფოთა შორის ჰობსისეული შიშის საზღვარი გადალახულია, იქ უფრო ადვილად მიიღწევა პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობა.
9. საერთაშორისო პოლიტიკაში მორალურ პრინციპებს არა აქვს რეალური ძალა, როცა საქმე ეხება ერის სასიცოცხლო ინტერესებს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხდება უკვე ჩადენილ ქმედებათა გამართლება, რომლებიც ინტერესების გაზრდის სხვა გათვლებს ეფუძნება.
10. საერთაშორისო სამართალს არა აქვს რეალური იძულების ძალა საერთაშორისო პოლიტიკაში, როცა ერებს ჰგონიათ, რომ საქმე ეხება მათ სასიცოცხლო ინტერესებს. სამართლებრივ პრინციპებს, მორალურის მსგავსად, იშველიებენ უბრალოდ ინტერესების დაკმაყოფილების მაქსიმიზირე-

ბის კრიტერიუმის საფუძველზე უკვე მიღებული გადაწყვეტილებების გასამართლებლად.

**C. დამთმობი რეალიზმის დებულებები, რომელთა შემოწმებაც შეიძლება სტრუქტურულ დონეზე**

11. ორ ან რამდენიმე ერ-სახელმწიფოს შორის თანამშრომლობა გამომდინარეობს იქედან, რომ გადაწყვეტილების მიმღებნი ხვდებიან: არსებობს ეკონომიკური და/ან უსაფრთხოების ინტერესების თანხვედრა ორ ან რამდენიმე სახელმწიფოს შორის. კონფრონტაცია ან უთანხმოება ერ-სახელმწიფოთა შორის, განსაკუთრებით, ძალისმიერი ღია კონფლიქტი, შედეგია იმისა, რომ გადაწყვეტილების მიმღებთ ესმით: არსებობს ინტერესთა სერიოზული სხვაობა მონაწილე სახელმწიფოთა შორის.
12. თუ გადაწყვეტილების მიმღებ მეტოქე სახელმწიფოებს ესმით, რომ მათი სახელმწიფოების უსაფრთხოების ინტერესები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან, თანამშრომლობის ვერავითარი ხარისხი ვერ გამოასწორებს ურთიერთობას მონაწილე სახელმწიფოებს შორის. თანამშრომლობა „მნიშვნელობას მოკლებულ სფეროებში“ ხელს ვერ შეუწყობს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობათა ტრანსფორმაციას: თანამშრომლობას არ გააჩნია ავტონომია აღიარებული ინტერესების ამა თუ იმ ნიმუშის ლოგიკიდან დამოუკიდებლად.
13. თუკი ძალის პოტენციალი უსაფრთხოების სფეროში მეტნაკლებად თანაბრადაა განაწილებული ორ ან რამდენიმე შესაძლო მოწინააღმდეგეს შორის, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ არსებობს ძალთა ბალანსი მათ შორის. ეს ბალანსი, თავის მხრივ, წარმოშობს ურთიერთშეკავებას, რომლის პირობებშიც ყოველ მხარეს, სათანადო გათვლებიდან გამომდინარე, მიაჩნია, რომ აგრესიაში მისი ჩართვის შემთხვევაში, უფრო დაზარალდება, ვიდრე მოიგებს. თუკი ასეთი ბალანსი არ არსებობს, მაშინ ან ამოქმედდება იძულების დიპლომატია, ან დაიწყება ომი (ან მოხდება ორივე ერთად).

14. საერთაშორისო პოლიტიკის შედეგები მთლიანად განპირობებულია ძალთა პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების ნიმუშით. მხარე, რომელსაც აქვს მნიშვნელოვანი შესაძლებლობების უფრო ძლიერი არსენალი, ყოველთვის გაიმარჯვებს ნებისმიერ კონფლიქტსა თუ მოლაპარაკებაში.

## **დანართი 17A**

### **ნეოლიბერალიზმი**

#### **ტაბულა A17.B ნეოლიბერალიზმის შემაჯამებელი დებულებები**

#### **ბები**

##### **A. ნეოლიბერალიზმის ურყევი ბირთვი**

1. საერთაშორისო სისტემა ანარქიული და თვითდამხმარეა. მისი შემადგენელი სახელმწიფოები ორიენტირებულია საკუთარი ინტერესების მაქსიმიზებაზე.
2. ანარქიის გავლენა თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში მნიშვნელოვნად შესუსტებულია ურთიერთდამოკიდებულების საკმაოდ მაღალი დონით, რომელიც ეხება ბევრ, თუ არა ყველა, ერ-სახელმწიფოს. ურთიერთდამოკიდებულება მდგომარეობს: ა) ეკონომიკურ ურთიერთშეღწევაში საერთაშორისო ვაჭრობისა და ფინანსური გადინების თვალსაზრისით; ბ) ერ-სახელმწიფოთა საერთო ინტერესში, თავიდან აიცილონ დიდი ბირთვული ომი; გ) ერ-სახელმწიფოთა საერთო დაინტერესებაში, თავიდან აიცილონ ეკოლოგიური კატასტროფა.
3. სახელმწიფოები თანამშრომლობენ ერთმანეთთან მაშინ, როცა ხვდებიან, რომ ერთნაირად დაინტერესებულნი არიან ამ პროცესში მონაწილეობით და როცა ესმით, რომ ურთიერთქმედება მოგვებს მოუტანს თითოეულ მათგანს.
4. სახელმწიფოებს ზოგჯერ ესმით, რომ სხვა სახელმწიფოსთან ან სახელმწიფოთა ჯგუფთან ხანგრძლივი კონფრონტაციით მიყენებული ზარალი იმდენად დიდია, რომ სჯობს ამ სახელმწიფოსთან ან სახელმწიფოთა ჯგუფთან თანამშრომლობის გზების მოძებნა. შეიძლება, ეს მათ დაეხმას

როს, აღმოფხვრან ურთიერთუნდობლობა, რომელიც არსებობს სახელმწიფოების ხელისუფალთა შორის.

**B. ნეოლიბერალური დებულებები, რომელთა შემოწმებაც შეიძლება ინდივიდუალურ, გადაწყვეტილების მიღების დონეზე**

5. სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთქმედებაში სახელმწიფოს ფუნდამენტური მიზანია მისი აბსოლუტური მოგების მაქსიმიზირება.
6. სახელმწიფოთა შორის პროდუქტიული თანამშრომლობის მიღწევა უფრო ადვილია, თუკი თანამშრომლობის პროცესში ნაკლები რაოდენობით სახელმწიფოა ჩართული.
7. თანამშრომლობის შანსების გაზრდის მიზნით აქტორები ცდილობენ იმ გარემოს (კონტექსტის) შეცვლას, რომელშიც ურთიერთქმედებენ – ცდილობენ შეასუსტონ ჰობსისეული შიშის გრძნობა და უნდობლობა, რომელსაც ისინი განიცდიან სხვა აქტორების მიმართ. ეს იწვევს საერთაშორისო ინსტიტუტებისა და რეჟიმების შექმნას და აიძულებს სახელმწიფოებს მიაღწიონ საერთაშორისო ქცევის ახალი ნორმების აღიარებას.
8. დროთა განმავლობაში საერთაშორისო ინსტიტუტებმა შეიძლება გავლენა მოახდინონ ერ-სახელმწიფოებში გადაწყვეტილების მიმღებთა მიერ ეროვნული ინტერესების გატარების წესზე. კერძოდ, ინსტიტუტებს შეუძლიათ, გააადვილონ სახელმწიფოთა ინტერესებზე დაფუძნებული თანამშრომლობა გაურკვევლობის შემცირებით, ინფორმაციის ხარისხისა და მოცულობის გაზრდით, მისი გავრცელების დონის გათანაბრებით და სახელმწიფოსთვის სანდოობის რეკუტაციის შექმნითა და განმტკიცებით.
9. სახელმწიფოთა ხელმძღვანელობისაგან, რომელიც სარგებლობს ტრანსნაციონალური კავშირების ფართო ქსელით, უფრო მეტადაა მოსალოდნელი საერთო აღქმისა და მოლოდინების ჩამოყალიბება, რაც, თავის მხრივ, გააადვილებს შემდგომ თანამშრომლობას. ამ პროცესს სავარაუდოდ ასევე ხელს უწყობს „სამეცნიერო გაერთიანებების“ ზრდა.

10. საერთაშორისო რეჟიმები („ნავარაუდები ან მკაფიოდ ჩამოყალიბებული პრინციპების, ნორმების, წესებისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურების ნაკრები, რომელთა გარშემოც ერთიანდება საერთაშორისო ურთიერთობათა მოცემულ სფეროში აქტორთა მოლოდინები“) აადვილებს თანამშრომლობას და ამტკიცებს ურთიერთკავშირს „თანამშრომლობაზე უარის თქმის დელეგატიმიზაციით“ (Krasner 1983: 3).

### C. ნეოლიბერალური დებულებები, რომელთა შემოწმება შეიძლება სტრუქტურულ დონეზე

11. საერთაშორისო ინსტიტუტებს შეუძლია საკმარისი პოლიტიკური რესურსების მობილიზება, მათი ამოქმედება ზენაციონალური იძულების განსახორციელებლად და ანარქიის შემზღუდავი ზემოქმედებისგან თავის დაღწევა. ასევე, სახელმწიფოები ყოველთვის როდი აღასრულებენ განუხრელად საერთაშორისო ვალდებულებებს.

12. ინსტიტუციური ინერციის ძალით საერთაშორისო ინსტიტუტებს შეუძლიათ, შეინარჩუნონ არსებობა მას შემდეგ, რაც გაქრება ინტერესთა თანხვედრა, რის საფუძველზეც ისინი თავის დროზე შეიქმნა.

## ჯ. ენ ტიკნერი. საერთაშორისო ურთიერთობები: პოსტპოზიტივისტური და ფემინისტური შეხედულებები

რიჩარდ სმოუკი, პოლიტიკური მეცნიერების სახელმძღვანელოში, რომელიც 1975 წელს გამოქვეყნდა, ამტკიცებდა, რომ „დარგში არსებული თეორია... ალბათ უნარს მოკლებულია, ასახოს მსოფლიო, რომელიც ესოდენ სწრაფად და სახიფათოდ იცვლება, როგორც სამხედრო ტექნოლოგიების, ისე საერთაშორისო ურთიერთობების მოდელის თვალსაზრისით“ (Greenstein and Polsby 1975: 339). ამ წინასწარმეტყველური გაფრთხილების მიუხედავად, საეჭვოა,

რომ სახელმძღვანელოს „საერთაშორისო პოლიტიკის“ ნაწილის რომელიმე ავტორს წინასწარ განეჭვრიტა იმ ცვლილებათა მასშტაბი, რომლებიც მოხდა მისი როგორც საერთაშორისო სისტემაში, ისე საერთაშორისო ურთიერთობათა დისციპლინაში.<sup>15</sup> ბუნდოვანი და ცვალებადი მსოფლიოს უკეთესად გაგებისაკენ გზის გაკვლევის პროცესში დიდწილად გაქარწყლდა ის ოპტიმიზმი თეორიის პროგრესის შესახებ, რომელსაც მრავალი ავტორი გამოხატავდა. სახელმძღვანელოს შინაარსის მოკლე მიმოხილვის შემდეგ, მინდა შევეხო ამ თეორიული კონსენსუსის მოსპობის საკითხს. ფუძემდებლური თეორიის ზოგიერთი პოზიტივისტური კრიტიკის განხილვის შემდეგ, შემოგთავაზებთ ეპისტემოლოგიური და თეორიული უთანხმოებების შესახებ საუბრის გაადვილების რამდენიმე გზას. დასკვნაში გამოვიკვლევ, თუ რა წვლილი შეიტანა ზოგიერთმა უახლესმა ფემინისტურმა მიდგომამ საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიის რეკონსტრუირების პროექტში. წარმოდგენილი სტატიის მიზანი უფრო მეტად კრიტიკული და ფემინისტური მიდგომებისთვის ნათლის მოფენაა, ვიდრე მოცემული სფეროს სრულად და გასაგებად გადმოცემა.

## I საერთაშორისო ურთიერთობათა თეორია სახელმძღვანელოში

გარდა ორი თავისა, რომელთაგან ერთი შეეხება საერთაშორისო სამართალს (Lipson), ხოლო მეორე ურთიერთდამოკიდებულებასა და ინტეგრაციას (Keohane and Nye), სახელმძღვანელოს ყველა ავტორი იყენებს რეალისტურ, სახელმწიფოცენტრისტულ მიდგომებს და ყურადღების კონცენტრირებას ახდენს ომისა და მშვიდობის ტრადიციულ პრობლემებზე, რაც მეტწილად გადმოცემულია ზესახელმწიფოებს შორის კონფლიქტური ურთიერთობების ტერმინოლოგიით. იმის ხაზგასმით, რომ „აგონიის გამომწვევემა ვიეტნამის მაგალითმა ჩრდილი მიაყენა მთლიანად შეზღუდული ომის ცნებას და გაუქრო მკვლევრებს მისი შემდგომი შესწავლის ინტერესი“, რი-

---

<sup>15</sup> ამ ნაწილისათვის შერჩეული სახელწოდება – „საერთაშორისო პოლიტიკა“ – უფრო მეტის მოქმედია, ვიდრე საერთაშორისო ურთიერთობები და ესაა იმის ნიშანი, რომ შესაძლებელია პოლიტიკური თეორიის აგება საერთაშორისო ურთიერთობების ასახსნელად.

ჩარდ სმოუკის მიერ დაწერილი თავი ეროვნული უსაფრთხოების შესახებ ფოკუსირებულია ზესახელმწიფოების ბირთვული სტრატეგიის ევოლუციაზე (Greenstein and Polsby 1975: 321). ჯორჯ კვესტერი აღიარებს: ჩვენ „შემოთვალულნი უნდა ვიყოთ შემოსავლების დიდი შეუსაბამობით“ მსოფლიოში. მიუხედავად ამისა, მის მიერ დაწერილი თავი შეეხება ეკონომიკურ შედეგებს მხოლოდ იმ კუთხით, თუ რა გავლენას ახდენს ეს შედეგები საომარი კონფლიქტის პოტენციალზე (Greenstein and Polsby 1975: 237). თავისთავად ის, რომ *სახელმძღვანელო* დაწერილია მხოლოდ ამერიკელი ავტორების მიერ, მეტყველებს ამერიკულ ჰეგემონიაზე როგორც საერთაშორისო სისტემაში, ისე დისციპლინაში, რომელიც მას აღწერს.

*სახელმძღვანელოს* ავტორები უმეტესწილად დადებითად აფასებენ თეორიაში პროგრესის შესაძლებლობას. ნეორეალისტი კენეტ უოლცი იმედიანად უყურებს შესაძლებლობას, რომ სისტემების დონეზე ჩამოყალიბდეს თეორია, რომელსაც ექნება ჰიპოთეზების გამომუშავების უნარი და ექვემდებარება შემოწმებას (Greenstein and Polsby 1975: 15). სახელმწიფოს ქცევის მისეული სტრუქტურული ახსნა აგებულია ძალთა ბალანსის თეორიის საფუძველზე, რომელიც მოდელირებულია მიკროეკონომიკის მაგალითის მიხედვით (Waltz 1979). *სახელმძღვანელოს* მის მიერ დაწერილ თავში დინა ზინესი ასევე გამოთქვამს იმედს, რომ დისციპლინას აქვს უნარი, თავი მოუყაროს დაგროვილ ცოდნას, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო პოლიტიკის მეცნიერულ შესწავლას. უოლცის აბსტრაქტული სტრუქტურული ანალიზის საპირისპიროდ, ზინესი უშვებდა ემპირიული კვლევის შესაძლებლობას. მისი მიდგომა ემყარებოდა მონაცემთა სისტემატურ შეკრებას, ცვლადთა ტიპების ძიებას და მათ შორის ურთიერთმიმართების კვლევას შემდგომ, საგარეო კონფლიქტების დროს სახელმწიფოთა ქცევის შესახებ ჰიპოთეზების ტესტირებით (Greenstein and Polsby 1975: 92-99).

## II კონსენსუსი რღვევის პროცესში

დისციპლინის შემდგომი განვითარება მიუთითებს, რომ ოპტიმიზმს საერთაშორისო პოლიტიკის „სამეცნიერო“ თეორიების პოტენციალის შესახებ ხანგრძლივი სიცოცხლე არ უწყერია. *სახელმძღვანელოს* გამოსვლიდან სულ ათიოდე წლის შემდეგ კ. ჯ. ჰოლსტი, ისტორიაზე და ემპირიულ ცოდნაზე ორიენტირებული მკვლე-

ვარი, ამტკიცებდა, რომ საერთაშორისო თეორია გაურკვეველობაში იყო: ირღვეოდა ის, რაც მკვლევარს სამსაუკუნოვან ინტელექტუალურ კონსენსუსად მიაჩნდა და რაც საერთაშორისო პოლიტიკის სფეროში ძირითად კითხვებზე ჰიპოთეტური პასუხების გამომუშავებაში გვეხმარებოდა (Holsti 1985: 1). დისციპლინაში ახალი მიმართულებებისა და აქტორების ჩართვამ ეჭვქვეშ დააყენა სახელმწიფოცენტრისტული ანალიზის უპირატესობა და გამოიწვია მისი ფოკუსირება ომისა და მშვიდობის თემატიკაზე. ამას ნათლად ამოიკითხავთ *სახელმძღვანელოს* თავების უმრავლესობაში. ჰოლსტის თანახმად, სუბიექტისა და კვლევის ობიექტის ირგვლივ არარსებულმა ერთსულოვნებამ, ასევე შეუთანხმებლობამ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აიგოს თეორიული მსჯელობა არსებული საკითხების შესახებ, ამ სფეროში ერთგვარი დაბნეულობა გამოიწვია.

ჰოლსტის პესიმისტური ანალიზი საერთაშორისო თეორიის მდგომარეობის შესახებ ნაწილობრივ დადასტურდა სხვა ავტორების მიერ 1970-იან წლებში და 80-იანი წლების დასაწყისში. თუმცა, ზოგიერთი მკვლევარი ტრადიციაში არსებულ ბზარებს უფრო პოზიტურად უყურებდა. ნაშრომში *ანარქიული საზოგადოება* ჰედლი ბული, ბრიტანულ-ავსტრალიური სკოლის წამყვანი თეორეტიკოსი, განიხილავს საერთაშორისო ურთიერთობების გროციუსისეულ, ჰობსისეულ და კანტისეულ ტრადიციებს. სწორედ ამ ტრადიციების ზომიერი შერწყმა იყო შთაგონების წყარო ბულისთვის, როდესაც ის ქმნიდა საკვანძო კონცეფციას ანარქიული, მაგრამ სოციალური წესრიგის არსებობის შესახებ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში (Bull 1977). მსგავსი ტრიქოტომიზაცია დამახასიათებელია ჰეიარდ ელკერისა და თომას ბიერსტეკერისთვის, როდესაც ისინი წარმოაჩენენ, რომ საერთაშორისო თეორიაში თანაარსებობენ რეალისტები და იდეალისტები, სციენტისტები და ტრადიციონალისტები, ისევე როგორც ცივი ომის პერიოდის რეალური ალიანსებისა და ორიენტაციების ასახვა. ისინი იმედს ამყარებდნენ ერთობლივ ცოდნაზე, რომელიც გაჩნდებოდა ამ მიმდინარეობების დიალიგის გზით (Alker and Biersteker 1984).

ცვლილებები საერთაშორისო სისტემაში, რაც ნაწილობრივ განაპირობებდა დისციპლინაში თანხმობის არარსებობას, თვალშისაცემი გახდა XX საუკუნის 70-იან წლებში. ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების საქმიანობამ, საერთაშორისო სავალუტო სისტემის არაერ-

თმა შოკმა და გლობალური ეკონომიკური დაცემის ადრეულმა ნიშნებმა, შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის დამაბულობის შენელებასთან ერთად, ეკონომიკური საკითხები საერთაშორისო ურთიერთობათა დღის წესრიგის სათავეში მოაქცია. ლიბერალური ურთიერთდამოკიდებულების საეჭვო სარგებელთან ერთად, 70-იანმა წლებმა ასევე წარმოშვა საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის ნეორეალიზმი და ააღორძინა ნაციონალისტური მიდგომები (Gilpin 1987). დაიწყო რა რეალისტური დებულებების ლიბერალურ განწყობებთან კომბინირება, ზოგიერთი მკვლევარი შეუდგა სახელმწიფოთა შორის ეკონომიკური ურთიერთობების ანალიზს არა მხოლოდ კონფლიქტის კუთხით, არამედ ასევე იმ თვალსაზრისით, თუ რა პოტენციალი აქვს ამ ურთიერთობებს საერთაშორისო ინსტიტუტების ან რეჟიმების ჩამოსაყალიბებლად (Krasner 1982; Keohane 1984). ეს მკვლევრები იყენებდნენ რაციონალური არჩევანის თეორიას და მიკროეკონომიკურ მოდელებს იმისათვის, რომ აეხსნათ სახელმწიფოთა საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა.

სამხრეთის მძიმე მდგომარეობის გაცნობიერებამ ამ ბოზოქარ გლობალურ ეკონომიკაში, ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის დამყარების მოთხოვნებთან ერთად, მოიტანა სხვა დასავლელი მკვლევრების მიერ ლათინოამერიკული დამოკიდებულების თეორიის და მსოფლიო სისტემის თეორიის გარკვეული აღიარება. ამ სწავლულებმა ყურადღება გაამახვილეს არა ავტონომიურ სახელმწიფო-აქტორების მსოფლიოზე, არამედ კლასების არსებობაზე დამყარებულ მსოფლიო ეკონომიკაზე, უთანასწორობის საზღვრებით ცენტრსა და პერიფერიას შორის, რომელიც შექმნილია და არსებობს არათანაბარი პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული პირობების საფუძველზე (Galtung 1980; Wallerstein 1976).

პრობლემას. „დაბალი ინტენსიურობის“ კონფლიქტი და ინტერვენციის ტიპის ომები სისტემის ცენტრში მყოფი ძლიერი სახელმწიფოების კონფლიქტისაგან განსხვავებულ ანალიზს მოითხოვს (Klare 1992). ამ ომებიდან, სახელმწიფო საზღვრების გადალახვის თვალსაზრისით, სულ რამდენიმე თუ ატარებდა საერთაშორისო ხასიათს. მკვლევრებმა მათი სათავეების ძიება დაიწყეს არა საერთაშორისო სისტემის სტრუქტურაში, არამედ ეთნიკურ და რელიგიურ იდენტურობაში ან სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის წარუმატებ-

ლობაში, რასაც აძლიერებდა ინტერვენცია გარედან (Jackson and Rosberg 1982).

ცივი ომის დასასრულმა, სამხედრო მეტოქეობის არარსებობამ უმთავრეს სახელმწიფოებს შორის და კონფლიქტის გაგრძელებამ პერიფერიაში სტიმული მისცა ცხოველ დებატებს მსოფლიო სისტემის ფორმირებადი სტრუქტურის შესახებ. რჩებოდა რა სტრუქტურული ანალიზის ადრინდელ პოზიციაზე, კენეტ უოლცმა (Waltz 1993) იწინასწარმეტყველა გადასვლა მრავალპოლუსიან მსოფლიოზე, რომელშიც გერმანია და იაპონია შეიარაღდებიან ბირთვული იარაღით. ხედავს რა კონკურენტი სახელმწიფოების ანარქიულ სამყაროში კონფლიქტის მარადიულ სისტემას, უოლცი აგრძელებს საკუთარი ადრეული დებულებების ჭეშმარიტების მტკიცებას: ის არ იზიარებს ამჟამინდელ ოპტიმიზმს სისტემის ცენტრში მშვიდობის მოქცევის შესაძლებლობის შესახებ და, ნაცვლად ამისა, ვარაუდობს მულტიპოლარული კონკურენტული ძალთა ბალანსის წარმოქმნას.

ვიდრე უოლცი ძალთა სტრუქტურული ბალანსის საკუთარი მოდელის ერთგული რჩებოდა, ქვეყნდებოდა საკმაოდ განსხვავებული სულისკვეთების ნეოკანტიანური ნაშრომები, რომელთა თანახმადაც ომი სისტემის ცენტრში არაა სავარაუდო, ვინაიდან დემოკრატიული ქვეყნები იშვიათად ომობენ ერთმანეთთან. ბრიუს რასეტმა (Russett 1993), რომელიც ამოწმებდა როგორც ნორმატიული, ისე სტრუქტურული მოდელების ამხსნელ ძალას, შეამჩნია ძლიერი კორელაცია დემოკრატიულ მთავრობებსა და მათ შორის ომის არარსებობაში. მსგავსად ამისა, მაქს ზინგერმა და აარონ ვილდავსკიმ ე.წ. „მშვიდობის ზონაში“ დაინახეს ფუნდამენტურად განსხვავებული მსოფლიო წესრიგი, რომელშიც კონფლიქტი საერთაშორისო სისტემის პერიფერიაში შემოიფარგლება. მართალია, ისინი აღიარებენ, რომ „მღელვარების ზონები“ მსოფლიოს მოსახლეობის 85 პროცენტს მოიცავს, მაგრამ ზინგერს და ვილდავსკის სწამთ, რომ ამგვარი მღელვარებები განვითარების გარდაუვალ სტადიას წარმოადგენს, რომელიც ამ ხალხებმა უნდა გაიარონ, სანამ კეთილდღეობას და დემოკრატიას მიაღწევენ. ამ სახის ლიტერატურაში ჩამოყალიბების პროცესში მყოფი დიქტომია ჩრდილოეთი/სამხრეთი თანდათან ცვლის დიქტომიას დასავლეთი/აღმოსავლეთი. საზღვრები თანაბარი ძალისა და შესაძლებლობების მქონე სახელმწიფოებს შორის,

შეცვალა საზღვრებმა მდიდარსა და ღარიბს, სუსტსა და ძლიერს შორის.

### III საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის ამჟამინდელი მდგომარეობა

იელ ფერგიუსონი და რიჩარდ მენსბახი აღიარებენ, რომ ცივი ომის დასრულებასთან დაკავშირებულმა რევოლუციურმა ცვლილებებმა თავდაყირა დააყენა მსოფლიო და ამტკიცებენ, რომ „შეიძლება დღეს უფრო ნაკლები ანარქიაა მსოფლიო პოლიტიკაში, ვიდრე მის შესახებ არსებულ თეორიებში” (Ferguson and Mansbach 1991; 363). საერთაშორისო სისტემაში მომხდარი უახლესი ძვრების პირობებში, მრავალი თეორეტიკოსი მიიჩნევს, რომ თეორიული განვითარების პოტენციალი, რომელსაც *სახელმძღვანელოს* ავტორები წინასწარმეტყველებდნენ, უფრო მეტადაც კი დაქვეითდა, ვიდრე ჰოლსტი წერდა ამის შესახებ 80-იანი წლების შუა ხანებში. დისციპლინისათვის მკაცრი ბრალდების წაყენებისას ჯონ ლიუის გედისი ამტკიცებს: რამდენადაც საერთაშორისო ურთიერთობების არც ერთ ძირითად თეორიას, ბიჰევიორისტულს, სტრუქტურულს და ევოლუციონისტურს, არ გააჩნდა უნარი ეწინასწარმეტყველა ცივი ომის დასასრული, ეს თეორიები ან ცივი ომის არტეფაქტებია, ამ შემთხვევაში ისინი, მიუხედავად ამგვარი პრეტენზიისა, ნაკლებად უნივერსალურია, ანდა, სხვაგვარად, უბრალოდ მცდარია (Gaddis 1992: 53). იმის მტკიცებით, რომ მომავლის განჭვრეტა საერთაშორისო ურთიერთობათა ყველა წამყვანი თეორიის უმთავრესი მიზანია, გედისი ამ მარცხს მიაწერს თეორეტიკოსთა უსაფუძვლო მცდელობებს, მოეპოვებინათ „სამეცნიერო“ ლეგიტიმურობა. ობიექტურობისა და პროგნოზირებადობის ძიებისას (იოზეფ ლაპიდი ამას „საბუნებისმეტყველო მეცნიერების ამაო თავყანისცემას“ უწოდებს, იხ. Lapid 1989: 246), საერთაშორისო ურთიერთობების თეორეტიკოსები, გედისის თანახმად, იყენებენ ფიზიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერების ტრადიციულ მეთოდებს. არადა, საბუნებისმეტყველო სფეროს მეცნიერები შემოტრიალდნენ ახალი თეორიებისაკენ, რომელთაც შეუძლიათ გაითვალისწინონ გაურკვეველობა, არარეგულარულობა და წინასწარ განჭვრეტის შეუძლებლობა.

გედისის სკეპტიციზმს საერთაშორისო ურთიერთობებიდან ობიექტური და მომავლის განმჭვრეტი მეცნიერების ჩამოყალიბების შესაძლებლობის შესახებ მრავალი თანამედროვე მკვლევარი იზიარებს. უთანხმოება სულ უფრო ფართო მასშტაბებს იღებს. ახალი საკითხებისა და აქტორების წინ წამოწევით ზოგიერთმა მკვლევარმა ეჭვქვეშ დააყენა დისციპლინის ეპისტემოლოგიური საფუძვლები.<sup>16</sup> „მესამე ტალღის დებატების“ გამოცხადებაში, რომელიც 1970-იანი წლების დასაწყისის პოზიტივისტურ კონსენსუსს დაუპირისპირდა, იოსეფ ლაპიდი „ემპირიული, პოზიტივისტური დაპირების“ უარყოფას ხედავს (1989: 236).<sup>17</sup> „სამეცნიერო“ პრეტენზიები „ჭეშმარიტებაზე“, „რაციონალურობაზე“, „ობიექტურობაზე“, „რეალობაზე“, განახლებული კრიტიკის ობიექტი ხდება, რაც მექანიკური, მიზეზშედეგობრივი განმარტებებიდან ისტორიულად ჩამოყალიბებული ინტერპრეტაციული თეორიებისათვის უპირატესობის მინიჭების შედეგია.“<sup>18</sup> პოსტპოზიტივისტები როდესაც შეეჯახნენ იმას, რასაც მსოფლიოს მრავალგვარ რეალიებს უწოდებდნენ, შეეცადნენ ტრადიციული დისციპლინისა და არსებული კავშირების „დეკონსტრუირებას“ დისციპლინის ფუნდამენტური დებულებების გადასინჯვის საფუძველზე. მრავალი მათგანი მიიჩნევს, რომ დისციპლინა ზედმეტად გადატვირთულია შეერთებული შტატების უსაფრთხოების ინტერესებით და მას გლობალური პოლიტიკური ცხოვრების გააზრება უჭირს. ჯიმ ჯორჯი (George 1994) უარყოფს პოზიტივისტურ მტკიცებას, რომ შესაძლებელია ლაპარაკი ნეიტრალური დამკვირვებლის პოზიციიდან ობიექტურად აღქმულ სამყაროზე და გვთავაზობს რეალისტურ თეორიას, როგორც პოლიტიკური პრაქტიკას, რომელიც ქმნის და გარდაქმნის სამყაროს საკუთარი წარმოდგენის მიხედვით.

<sup>16</sup> ამ მკვლევართაგან მრავალი დასახელებულია ამ თავის ბოლოს წარმოდგენილ ბიბლიოგრაფიულ დანართში.

<sup>17</sup> ლაპიდი რეალიზმსა და იდეალიზმს შორის დებატებს “პირველი ტალღის” უწოდებს, ხოლო მეორე ტალღას უკავშირებდა დებატებს – ისტორიულ და მეცნიერულ მიდგომებს შორის XX ს-ის 50-იან და 60-იან წლებში.

<sup>18</sup> ამ თეორიული მიმართულებების შედარებითი ანალიზის შესახებ იხ. Hollis and Smith 1991. რობერტ კეოჰანი (Keohane 1988) აღიარებს ამ ორი ტრადიციის არსებობას და მათ საერთაშორისო კვლევების ასოციაციისადმი საპრეზიდენტო მიმართვაში რაციონალისტურად და რეფლექტურად ნათლავს.

რობ უოლკერის (Walker 1993) თანახმად, სათუთა, რომ შიქ-მნას უფრო მისაღები განმარტებები, თუკი არ გადაისინჯება ის ფუძემდებლური თეორიული და ფილოსოფიური დებულებები, რომელთა ზეგავლენითაც ჩამოყალიბდა საერთაშორისო ურთიერთობების ტრადიციული მიმდინარეობები. ბინარული ოპოზიციები, მაგალითად, საშინაო/საგარეო, იდენტურობა/სხვაობა, დრო/სივრცე, ასახული სახელმწიფო სუვერენიტეტში და ფიქსირებული ტერიტორიული საზღვრებით, შესაძლებლობას არ იძლევა, განვსაზღვროთ მსოფლიო პოლიტიკა, რომელიც მოიცავს ლოკალური თუ გლობალური სივრცისა და იდენტობების მრავალსახეობას და რომელშიც მიედინება ჩვენი ცხოვრება.

ზოგიერთი პოსტპოზიტივისტი მიესალმება საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში ამ თვალსაზრისებისა და მიდგომების გავრცელებას. ისინი, ლაპიდის სიტყვებით, ქმნიან „საზეიმო პასუხს“, საეჭვოდ მიიჩნევენ მოსაზრებას, რომ აზრთა თანხვედრა აუცილებელია მეცნიერების სიმწიფისათვის და შეისწავლიან, რამდენად მიესადაგება თვალსაზრისთა სიმრავლე სამეცნიერო რაციონალურობასა და ობიექტურობას. ლაპიდი დარწმუნებულია, რომ ჩვენ არ უნდა ვეცადოთ უნივერსალური სამეცნიერო მეთოდის აღმოჩენას ან ობიექტურად ღირებული ჭეშმარიტების მიღწევას მსოფლიო პოლიტიკის შესახებ, პირიქით, ჩვენ “ხელი უნდა შევუწყოთ უფრო რეფლექსური ინტელექტუალური გარემოს ჩამოყალიბებას, რომელშიც დამკვიდრდება დებატების, კრიტიკისა და ნოვაციების თავისუფლება” (Lapid 1989: 250). თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კონსტრუქციული დებატების შესაძლებლობა საეჭვოდ მიიჩნევა. დიდია განსხვავება მათ შორის, ვინც დარწმუნებულია, რომ პოზიტივისტური სოციალური მეცნიერების მთლიანი პროექტი ფუნდამენტურად საეჭვოა და ვინც ამტკიცებს, რომ მეთოდოლოგიური პლურალიზმი ხელს უშლის ზოგადად მეცნიერულად დასაბუთებული ცოდნის დაგროვებას. განვიხილოთ ამ დაპირისპირების გადალახვის ზოგიერთი უახლესი მცდელობა.

## IV პერსპექტივები?

1970-იან წლების ოპტიმიზმი საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიის ჩამოყალიბების შესახებ ილუზორული აღმოჩნდა. რა

მიმართულება უნდა ავირჩიოთ, რათა უკეთ შევიმეცნოთ ჩვენი რთული სამყარო? იმის მტკიცებით, რომ „დღეს ერთმანეთს საერთაშორისო თეორიის მრავალი სკოლა უპირისპირდება, მაგრამ მხოლოდ მცირედნი ამყარებენ ერთმანეთთან რეალურ კავშირს“, იელ ფერგიუსონი და რიჩარდ მენსბახი (Ferguson and Mansbach 1991: 365) ვარაუდობენ, რომ სადღეისო ამოცანას წარმოადგენს თანმიხვევი წერტილების პოვნა გაბატონებულ და დისიდენტურ ლიტერატურას შორის და კვლევის იმგვარად წარმართვა, რომ ემპირიული ანალიზი მთლიანად არ იყოს დავიწყებული. ისინი დაჟინებით მოითხოვენ სოციალურ მეცნიერებათა წარმომადგენლებისგან აღიარონ, რომ მათ დისციპლინებში საბოლოო ჭეშმარიტების დადგენა მიუღწეველია. „თეორია ასახავს გარკვეულ დროსა და ადგილას გაბატონებულ პოლიტიკურ და სოციალურ ნორმებს, ხოლო საერთაშორისო ურთიერთობების კვლევა გარდაუვლად ასახავს იმ აკადემიური წრეების ნორმებს, რომლებშიც კვლევა მიმდინარეობს“ (Ferguson and Mansbach 1991: 366).

ფერგიუსონი და მენსბახი აღიარებენ საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიის სუბიექტურ განზომილებას და ფიქრობენ, რომ მასში ჯერ კიდევ რჩება ადგილი ნაკლებად მკაცრი ემპირიზმისათვის, ვიდრე ეს დასაშვებია პოზიტივისტებისთვის და ეფუძნება უფრო მეტ თვითშემეცნებას. აკრიტიკებენ რა „სამეცნიერო“ მიდგომას იმის გამო, რომ ის, ამხსნელი ძალის მოპოვების ინტერესიდან გამომდინარე, ძუნწია გამოხატვაში, ისინი ამტკიცებენ, რომ ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ „განვამტკიცოთ გაგების მცდელობა ჩვენი სურათების უფრო დეტალურად გამოსახვით“, ასევე ტრადიციული თეორიის არაისტორიულობისა და ეთნოცენტრიზმის გადალახვით (Ferguson and Mansbach 1991: 369). ემპირიზმმა უნდა გაითვალისწინოს ადამიანური მისწრაფებები, ის უნდა ეფუძნებოდეს გაგებას, რომ ადამიანების მამოძრავებელი ძალაა მათი იდენტურობა და ფასეულობები.

რადგან „შიდა“ და „საერთაშორისო“ პოლიტიკური არენები განუყრელადაა დაკავშირებული, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები უნდა შეეცადნონ, გაარღვიონ ტრადიციული თეორიის ჩარჩოები, რომელიც ამ ორ სფეროს ურთიერთგანცალკევებულად განიხილავდა. თუ ადამიანური ფაქტორი შემოტანილი იქნება საერთაშორისო თეორიაში, როგორც ამას მოითხოვენ სტრუქტურული

მიდგომების კრიტიკოსები, ის წაშლის ინტელექტუალურ საზღვარს მიკრო და მაკრო დონეებს, საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკას შორის, რაც ნეორეალისტური თეორიის ქვაკუთხედს წარმოადგენს. ამ პრობლემის გადაწყვეტა მოითხოვს სახელმწიფოს უფრო დეტალურ ანალიზს. მას შემდეგ, რაც ინდივიდები და არა სახელმწიფოები არიან აქტორები, „ჩვენ უნდა დავინახოთ ნორმატიულ/სამართლებრივი ფასადის უკანა მხარე, რათა გავიგოთ, თუ ვინ ან რა არის ფაქტობრივად „არსებული“ და ჩავწვდეთ იმ ფაქტორების მნიშვნელობას, რომლებიც გავლენას ახდენენ ქცევაზე“ (Ferguson and Mansbach 1991: 370). თუ მიზანი ჩვენი რთული სამყაროს უკეთ გაგებაა, უნდა გვსურდეს ისეთი თეორიების ჩამოყალიბება, რომლებიც თავისუფლად გადალახავს საზღვრებს და გადაადგილდება ერთი დონიდან მეორეზე. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ აქტორთა მრავალგვარობა, რომლებიც დღეს მონაწილეობენ საერთაშორისო პოლიტიკაში.

## V ფემინისტური მიდგომა

თომას ბიერსტეკერი (Bierstecker 1989: 264), რომელიც გამოეხმაურა ზოგიერთ ამ თემას, ამტკიცებდა, რომ საერთაშორისო თეორიისათვის არსებობს კრიტიკული პლურალიზმის საჭიროება, რომელსაც შეუძლია „გამოიწვიოს დომინირებადი დისკურსების კრიტიკული კვლევა, აზრის გამოთქმის საშუალება მისცეს მარგინალიზებულ ფენებს და შექმნას საფუძველი ალტერნატიული კონცეფციებისთვის.“ ფემინიზმმა, ერთ-ერთმა უახლესმა მიდგომამ საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ მიზნების მისაღწევად. მიუხედავად იმისა, რომ ფემინისტური მიდგომები ვერ შეიმუშავეს გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიესადაგება სფეროს ყველა საჭიროებას, მჯერა, რომ მათ მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ იმ კრიტიკულ და კონსტრუქციულ პლურალიზმში, რომელსაც ეს სწავლულები სახავენ.<sup>19</sup>

ნებისმიერ დისციპლინაში ფემინიზმის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია გააუღეროს ის ხმები, რომლებიც მანამდე არ ისმოდა. რამ-

---

<sup>19</sup> მე დავიმოწმებ არაერთ ფემინისტური მიდგომას, მათ შორის ემპირიულს, პოსტმოდერნულს და მიდგომას „დამკვირვებლის პოზიციიდან“.

დენადაც ქალები საერთაშორისო პოლიტიკის მარგინალიზებული ზონებიდან ლაპარაკობენ, მათ შეუძლიათ შემოგვთავაზონ მსოფლიოს ხედვა ისეთი პოზიციიდან, რომელიც განსხვავდება დასავლური ტიპის საერთაშორისო ურთიერთობების ტრადიციული სახელმწიფოცენტრისტული თვალთახედვისგან. ფემინისტური მიდგომები დამყარებულია იმ ქალების გამოცდილებაზე, რომელთა ცხოვრებაც, როგორც წესი, იგნორირებული იყო თეორიის კონსტრუირებისას. ამიტომაც მათ შეუძლიათ, წვლილი შეიტანონ იმ ემპირიული ბაზისის გაფართოებაში, რომელზე დაყრდნობითაც ჩვენ ვაგებთ საკუთარ თეორიებს. ფემინისტური პერსპექტივები საერთაშორისო ურთიერთობებში გულისხმობს დასავლეთის გარეთ იმ ნაშრომთა რაოდენობის ზრდას, რომლებიც დაგვეხმარებოდა დისციპლინის ეთნოცენტრიზმის გადალახვაში (Sen and Grown 1987; *Alternatives*: 1993).

## ა. ახალი ფაქტები

მესამე ტალღის დებატების თეორიული პლურალიზმის კრიტიკულ შეფასებებში კ. ჯ. ჰოლსტის მოჰყავს არგუმენტები თეორიული პროგრესის სასარგებლოდ, რომელიც ეფუძნება ცოდნის კუმულიატურ და დიალექტიკურ დაგროვებას და რომლის თანახმადაც „ინტელექტუალური პროგრესი დიდწილად ფაქტებიდან გამომდინარეობს“ (Holsti 1989: 257). იმის მტკიცების საფუძველზე, რომ თეორიული მოღვაწეობის მიზანია ჩვენი გაგების გაფართოება საერთაშორისო პოლიტიკის სამყაროს შესახებ, ჰოლსტი წარმოაჩენს, რომ თეორია რეალობაზე დაფუძნებული უნდა დარჩეს. მსგავსი შეფასებებიდან გამომდინარეობს, რომ მრავალი კრიტიკულად განწყობილი თეორეტიკოსი ვერ აღწევს მსგავს სტანდარტებამდე.

მრავალი თანამედროვე ფემინისტი იზიარებს თვალსაზრისს, რომ თეორია სინამდვილეს უნდა დაეფუძნოს. ისინი ასევე მიუთითებენ საერთაშორისო რეალიების სიმრავლესა და მასთან ასოცირებული „ფაქტების“ არსებობაზე. მათ მიერ განხორციელებული ხელახალი კონცეპტუალიზაცია და განმარტებები უფრო ხშირად ფოკუსირებულია გამოცდილების სხვადასხვა ნაკრებზე, რომელიც განსხვავებულია იმათგან, რომლებსაც ეხებიან ძირითადი მიმართულების თეორეტიკოსები. ფემინისტები ამტკიცებენ, რომ ადამიანური ცოდნა ყოველთვის გათანაბრებული იყო ცოდნასთან მამაკაცის შესახებ, რომელსაც ჩვეულებრივ პრივილეგირებული მდგომარეობა

ეკავა გაბატონებულ კულტურებში. ფემინისტები საეჭვოდ მიიჩნევენ ამგვარი ცოდნისა და მასთან დაკავშირებული ფაქტების გამოყენების შესაძლებლობას იმ „რეალიების“ ადეკვატური და გასაგები აღქმისათვის, რომლებსაც ქალი და მამაკაცი ცალ-ცალკე და ერთად განიცდიან.

„ახალი ფაქტების“ შემოტანით, მე შემოგთავაზებთ მსოფლიო პოლიტიკის რამდენიმე განსხვავებულ ხედვას, რომელსაც ახალი თეორიულად ორიენტირებული საკვლევე პრობლემატიკის შემუშავების პოტენციალი გააჩნია. რეალობის უფრო ყოვლისმომცველი სურათის წარმოჩენა, რომელიც მოიცავდა ცოდნას, დაფუძნებულს ქალების ცხოვრებაზე, არა არის ადვილი, რამდენადაც მონაცემები ქალებზე საკმაოდ მწირია. ნათელია, რომ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია იმ მონაცემთა შეკრება, რომელიც ასახავს ქალთა ცხოვრების საშინაო და საერთაშორისო განზომილებებს და არ არის დაფუძნებული ამ ორი სფეროს წინდაწინვე ნავარაუდევ განსხვავებაზე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანური განვითარების მოხსენებაში, რომელიც 1993 წელს გამოვიდა, აღნიშნულია: მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში უკეთესი ვითარებაა, მაინც არსად არაა გათანაბრებული ქალისა და მამაკაცის მდგომარეობა. ინდუსტრიულ ქვეყნებში გენდერული დისკრიმინაცია ვლინდება ძირითადად დასაქმების სფეროში, სადაც ქალების შანსი მამაკაცების შანსის ორ მესამედს შეადგენს. გარდა ამისა, ქალების შრომის ანაზღაურება მამაკაცების შრომის ანაზღაურების ნახევარს შეადგენს. განვითარებად ქვეყნებში ქალები გაცილებით იშვიათად სარგებლობენ ჯანმრთელობის დაცვის სისტემით, ნაკლებად არიან უზრუნველყოფილი საკვებითა და განათლებით, ვიდრე მამაკაცები. ქალები შეადგენენ მსოფლიოს წერა-კითხვის უცოდინარი მოსახლეობის ორ მესამედს (United Nations 1993: 16-17). მინიმალურ ხელფასზე მომუშავე ქალები წარმოადგენენ „მორჩილ“ სამუშაო ძალას მულტინაციონალური კომპანიებისათვის „ექსპორტზე ორიენტირებულ“ ზონებში. შინ მუშაობა და საშინაო მომსახურება, სფერო, სადაც ქალები ხშირად იძულებით მიდიან საკუთარი ოჯახების მხარდასაჭერად, წარმოადგენს დაბალანაზღაურებადი და ხშირად ექსპლუატირებული შრომის წყაროს (Enloe 1990; Peterson and Runyan 1993).

ქალთა ნაციონალური ორგანიზაციის შეფასებით, რომელიც მოცემულია 1990 წლის რეზოლუციაში ქალები ბრძოლებში, II მსოფლიო ომის შემდეგ კონფლიქტების მსხვერპლთა 80-90 პროცენტს სამოქალაქო პირები წარმოადგენდნენ, რომელთა უმრავლესობასაც ქალები და ბავშვები შეადგენდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ემპირიული საფუძვლები ამ შეფასებისათვის შემდგომ დაზუსტებას მოითხოვს, აქ მაინც ვლინდება ქალის დაუცველობის მასშტაბი და მისი გაუმჯობესების შესაძლებლობები მოითხოვს შემდგომ კვლევა-ძიებას. სულ ახლახანს მოხდა იმ ფაქტის აღიარება, რომ ქალები განსაკუთრებით ხშირად ხდებიან ძალადობის მსხვერპლნი ომის დროს. ომის მონაცემები, რომლებსაც აგროვებდნენ საერთაშორისო ურთიერთობათა მკვლევრები, ჩვეულებრივ ეხება ადამიანთა დანაკარგებს აქტიური საბრძოლო მოქმედებების პერიოდში. თუკი ყურადღებას გავამახვილებთ გრძელვადიან შედეგებზე, დავინახავთ, რომ ქალები განსაკუთრებით დაუცველნი არიან არეულობის პირობებში და მათზე ზემოქმედებს ნეგატიური ეკონომიკური შედეგები. ქალები და ბავშვები შეადგენენ ლტოლვილი მოსახლეობის 80 პროცენტს. ეს ფენომენი ხშირად მიჩნეულია ჯგუფთაშორისი ძალადობის ან სამხედრო კონფლიქტის შედეგად (Seager and Olson; 1986: 27). ლტოლვილი ქალები მსოფლიოს ღარიბთა შორის უღარიბესნი არიან. ამგვარი თვალსაჩინო ფაქტები მეტყველებს, რომ ქალი, როგორც ფიზიკური, ისე სტრუქტურული ძალადობის თვალსაზრისით, შეუდარებლად მეტად ზარალდება ნებისმიერ საზოგადოებაში.

ფემინისტებს სწამთ, რომ შესასწავლია ესოდენ არსებითი და ფართოდ გავრცელებული, მაგრამ თავისი ხასიათით განსხვავებული დისპროპორციები კეთილდღეობის გადანაწილებაში. თუმცა, ისინი ასევე ამტკიცებენ, რომ ეს მუდმივი უთანასწორობა არ შეიძლება აიხნას ამ მონაცემების არსებულ თეორიულ სქემებში ჩასმით. თუკი შევხედავთ ამ პრობლემას გენდერული აღქმის პრიზმიდან, რომელიც ითვალისწინებს ეთნიკურ, რასობრივ და კლასობრივი სტრუქტურებს, შესაძლებელი ხდება გენდერული იერარქიის გააზრება, რომელიც ამ საყოველთაოდ გავრცელებულ, მაგრამ ისტორიულად განსხვავებულ უთანასწორობის ფორმებს მუდმივ არსებობას

ანიჭებს.<sup>20</sup> გენდერული ანალიზის შემოტანით, ფემინისტური მიდგომა ხსნის ფართო პერსპექტივებს შემდგომი შედარებითი და საერთაშორისო კვლევისათვის, რომელიც აშკარად შეუმჩნეველი დარჩა წინა თაობის კომპარატივისტებისათვის და საერთაშორისო თეორეტიკოსებისათვის.

ეს „ახალი ფაქტები“ მიუთითებენ, რომ მრავალ ქალს სოციალურ-ეკონომიკური სკალის ყველაზე ქვედა საფეხური უკავია ნებისმიერ საზოგადოებაში და შეუდარებლად მეტად ზარალდება სამხედრო „პროტექტორებისაგან“. მსგავსი „ფაქტები“ ასევე აჩვენებს ქალების თითქმის სრულ არარსებობას საგარეო პოლიტიკის განხორციელების სფეროში. ქალები შეადგენენ მსოფლიოს სახელმწიფო მეთაურთა 5%-ზე ნაკლებს (United Nations 1991: 6). 1987 წელს შეერთებულ შტატებში ქალები შეადგენდნენ საგარეო უწყების მაღალი თანამდებობის პირთა 5%-ზე ნაკლებს. ამავე დროს, ქალებს თავდაცვის დეპარტამენტში აღმასრულებელი პოსტების 4%-ზე ნაკლები ეკავათ (Tickner 1992: 1; McGlen and Sarkees 1993). როდესაც კრიტიკოსები ცდილობენ, ყურადღება გაამახვილონ ისეთ გამონაკლისებზე, როგორებიც არიან ინდირა განდი, გოლდა მეიერი ან მარგარეტ ტეტჩერი, ფემინისტურად ორიენტირებული მკვლევრები აღნიშნავენ იერარქიული გენდერული სტრუქტურების არსებობას, რომლებმაც ხელი შეუწყო ამ „მამაკაცურად გენდერული“ ქალების წინ წამოწევას. ისინი მოითხოვენ კვლევის ფოკუსირებას ამგვარი ძალაუფლების პრობლემებზე და ამ სახის სტრუქტურების ცვლილებათა შესაძლებლობაზე (Peterson and Runyan 1993). ისევე, როგორც პოსტპოზიტივისტები მთლიანობაში, ფემინიზმის მომხრეები მოითხოვენ ცოდნის დაფუძნებას ისტორიასა და კულტურაზე, თვლიან, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ განსხვავებულ გზებს, რომლებითაც გენდერული ურთიერთობები ჩამოყალიბდა და განვითარდა, ძალა-

---

<sup>20</sup> მე გენდერს განვსაზღვრავ, როგორც სოციალურ კონსტრუქციას, რომელიც აღნიშნავს უთანასწორო ურთიერთობებს მამაკაცს და ქალს შორის. მამაკაცურისა და ქალურის მნიშვნელობა იცვლება დროისა და კულტურების მიხედვით. დასავლეთში ზოგიერთი მახასიათებელი, მაგალითად, ძალაუფლება, ავტონომია, რაციონალურობა, საჯაროობა მიჩნეულია მამაკაცურად ნიშან-თვისებად მაშინ, როცა სისუსტე, მიჯაჭვულობა, ემოციურობა და კერძო ცხოვრებით შეზღუდულობა, როგორც სტერეოტიპი, ასოცირდება ქალურობასთან.

უფლებასთან ქალისა და მამაკაცის არათანასწორი მიმართების თვალსაზრისით. მიმართებაში (Enloe 1993; Sylvester 1994).

## ბ. ობიექტურობის ზრდა

ეს ახალი „ფაქტები“ ექვეყნებ აყენებს ტრადიციული თეორეტიკოსების პრეტენზიას უნივერსალობასა და გენდერულ ნეიტრალურობაზე. ფემინისტებიც ასევე ეძებენ ობიექტურობის ახალ ფორმულირებებს. ესაა მათი მცდელობების ნაწილი შექმნან ეპისტემოლოგია, რომელიც აღიარებს ერთი უნივერსალური ჭეშმარიტების მიღწევის შეუძლებლობას, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამან შეიძლება ხელი შეუწყოს სამყაროს უკეთეს, უფრო ფართოდ გაზიარებულ აღქმას.

როგორც სანდრა ჰარდინგი (Harding 1990: 141-3) ამტკიცებს, ქალის არსებობა, როგორც სამეცნიერო კვლევის ამოსავალი, ყოველთვის უგულვებელყოფილი და გაუფასურებული იყო ნებისმიერ კულტურასა თუ საზოგადოებაში. ჰარდინგი მიიჩნევს, რომ აუტსაიდერის ან გარიყულის თვალსაზრისის გათვალისწინება გაცილებით მეტ ობიექტურობას შესძენს ცოდნას, ვიდრე მხოლოდ გაბატონებული ჯგუფების შეხედულებებზე დაყრდნობა, რომელთა აზროვნების წესიც მეტად ახლოს დგას დომინირებად ინსტიტუტებთან და კონცეპტუალურ სქემებთან. ჰარდინგი ასევე ვარაუდობს, რომ რამდენადაც მარგინალიზებული ჯგუფები ნაკლებად დაინტერესებული არიან სტატუს კვოს შენარჩუნებით, მათი ცოდნა, სავარაუდოდ, ნაკლებად იქნება სახეშეცვლილი და დამახინჯებული ძალაუფლების არსებული სტრუქტურების შენარჩუნების სურვილის საფუძველზე. ამ სახეცვლილებას ასევე წარმოაჩენდნენ საერთაშორისო ურთიერთობების რეალისტური თეორიის პოსტპოზიტივისტი კრიტიკოსები. დამახინჯებათა გასწორება და ობიექტურობის გაზრდა მოითხოვს პრივილეგირებული ინდივიდების (ჩვეულებრივ, მამაკაცების) ცხოვრების შესახებ გადაჭარბებული თავდაჯერების გადალახვას სოციალურ სამეცნიერო კვლევაში. ის ასევე მოითხოვს, კრიტიკულად განვიხილოთ მათი პოტენციურად მიუკერძოებელი რწმე-

ნები, ვინც თავს „სამეცნიერო საზოგადოების“ ნაწილად მიიჩნევს.<sup>21</sup> ზემოთ წარმოდგენილი „ახალი ფაქტები“ ამ ფემინისტურ მიდგომას ეყრდნობა.

ფემინისტები აღიარებენ, რომ სამყაროს მრავალფეროვნების გამოხატვა შეუძლებელია ერთი უნივერსალური ჭეშმარიტების ენაზე. მიუხედავად ამისა, ისინი ცდილობენ შექმნან თეორიები, რომლებიც გვთავაზობენ იმას, რაც დონა ჰარავეის (Haraway 1988: 580) თქმით, არის „საგანთა სანდო ჩამონათვალი... მთელი მსოფლიოს მომცველი კავშირების ქსელი, რომელშიც ნაწილობრივ შედის ცოდნის გადაცემის უნარი სრულიად განსხვავებული და დიფერენცირებული ძალის მქონე საზოგადოებებს შორის“. ჰარავეი დარწმუნებულია, რომ ის, რაც უნივერსალურ ან „ობიექტურ“ ცოდნად მიიჩნევა, სინამდვილეში მეტწილად პრივილეგირებული მამაკაცების ცოდნაა. მას მოჰყავს არგუმენტები იმის სასარგებლოდ, რასაც „განხორციელებულ ობიექტურობას“ ან “განპირობებულ ცოდნას” უწოდებს. ჰარავეისთვის სიტუაციური ცოდნა გულისხმობს არა რელატივიზმს, არამედ ყოველდღიურ საუბრებს, რაც „სამყაროს უკეთესად გააზრების“ წინაპირობაა. სიტუაციური ცოდნა „საშუალებას გვაძლევს, გავხედეთ პასუხისმგებელნი იმაზე, რის უკეთ დანახვაც ვისწავლეთ“ (Haraway 1988: 583).

როგორ გვეხმარება ობიექტურობის ამგვარი ფემინისტური კონცეფციები, უკეთ გავიაზროთ საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მიმდინარე მოვლენები? თუკი ქალებისა და სხვა მარგინალიზებული ჯგუფების შეხედულებები და ცხოვრებისეული გამოცდილება არ იქნება სერიოზულად აღქმული, საერთაშორისო თეორიის ფემინისტურმა მიდგომამ ეჭვქვეშ უნდა დააყენოს საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიის პრეტენზია უნივერსალურობაზე. საერთაშორისო ურთიერთობების ტრადიციულმა თეორიამ, ფოკუსირებულმა ეროვნული უსაფრთხოების „მაღალ პოლიტიკაზე“, ყურადღება გაამახვილა საკითხებზე, რომლებიც ასოცირდება პრივილეგირებული მამაკაცების გამოცდილებასთან. ჰარდინგის მტკიცება, რომ გაბატონებული ჯგუფების წევრებს მინიჭებული აქვთ ერთგვარი ლეგიტიმურობა, როდესაც ისინი ლაპარაკობენ ყველას სახელით

---

<sup>21</sup> აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს ინტელექტუალების მსჯელობის ამგვარი ანალიზი, იხ. Cohn (1987).

და გვევლინებიან ისტორიის შემოქმედად (Harding: 1990: 142), განსაკუთრებით მიესადაგება საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიას. ჩვენი საზოგადოების წევრებად ჩამოყალიბება მოხდა იმ რწმენით, რომ ომი და ძალის პოლიტიკა არის მოღვაწეობის ის სფეროები, რომლებშიც მამაკაცები განსაკუთრებით დახელოვნებულნი და გამოცდილნი არიან. ამდენად, მათი სიტყვა გადამწყვეტია და უფრო სარწმუნოც კონფლიქტებისადმი მიდრეკილი მსოფლიოს აღწერისას, განმარტებისას თუ რეკომენდაციების გაცემისას. საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკას შორის მკაცრად გავლელულმა საზღვარმა, რაც თვალსაჩინოდაა ასახული საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში, გამოიწვია მოღვაწეობის იმ სფეროების გამორიცხვა, რომლებთანაც ტრადიციულად ასოცირდება ქალი. ამ სფეროების კვლევამ ისევე, როგორც დიდი პოლიტიკის სფეროს ანალიზმა, აუტსაიდერის თვალთახედვიდან გამომდინარე, შეიძლება ახლებურად გააშუქოს საერთაშორისო ურთიერთობების მდგომარეობა და ის საზღვრები, რომლებშიც მოქცეულია ამ ურთიერთობების ტრადიციული გააზრება.

## გ. ახალი კონცეპტუალური სქემები

მსჯელობა იმაზე, თუ როგორ გამოვიყენოთ ეს ახალი ცოდნა, რათა კრიტიკულად შევაფასოთ, რამდენად ობიექტურად აიხსნება სახელმწიფოთა ქცევა საერთაშორისო სისტემაში, უნდა დავასრულოთ ზოგიერთი ახალი, უფრო კომპლექსური კონცეპტუალური ჩარჩოების მითითებით. ამ ჩარჩოების შიგნით ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ შეიძლება უფრო ადეკვატურად გაერთიანდეს.

ფემინისტები ვარაუდობენ, რომ საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები, რომლებსაც სახელმწიფოს ქცევის ობიექტური და უნივერსალური განმარტების პრეტენზია აქვთ, ეფუძნება მამაკაცთა ქცევის შესწავლას. ტრადიციულად, რეალიზმი სახელმწიფოს ქცევის საკუთარ თეორიებს აყალიბებს ისეთი კლასიკოსი ავტორების მაგალითზე, როგორებიც იყვნენ მაკიაველი, ჰობსი და რუსო, რომლებიც დაუფარავად აღიარებდნენ, მათ ნაშრომებში ადამიანის ქცევა აღწე-

რილია მამაკაცის ქცევის შესწავლაზე დაყრდნობით (Grant 1999).<sup>22</sup> ნეორეალიზმი სახელმწიფოებს აღწერს შედარებით განსხვავებულად, როგორც აბსტრაქტულ ერთეულ აქტორებს, რომელთა მოქმედებაც აიხსნება ადგილისა და დროის მიხედვით განზოგადებული კანონების მეშვეობით. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფოები, როგორც ჩანს, მხოლოდ იმისათვის ყალიბდებიან, რათა იმოქმედონ მეტად რაციონალურად, ადამიანის საქმიანობისგან დამოუკიდებლად. და მაინც, სინამდვილეში სახელმწიფოს ქცევის ამგვარი აღწერა ეფუძნება გენდერულ მოდელებს. რაციონალური არჩევანისა და თამაშის თეორიული მოდელების გამოყენებისას, ამგვარი განმარტებები წარმოაჩენს ინდივიდთა ინსტრუმენტულად რაციონალურ ქცევას საბაზრო ურთიერთობების პირობებში. ქცევის ამგვარი მოდელი თანამედროვე დასავლეთში უფრო ტიპურია მამაკაცისათვის, ვიდრე ქალისათვის. ფემინისტები ვარაუდობენ, რომ ეს მიკერძოებული მოდელებია, რომლებიც უპირატესობას ანიჭებს სახელმწიფოს ქცევის კონფლიქტთან ასოცირებულ კონკრეტულ ასპექტებს და გვერდს უვლის სახელმწიფოთა სხვაგვარ აქტივობებს, მაგალითად, ურთიერთადმოკიდებულ ეკონომიკურ საქმიანობას, ასევე თანამშრომლობასა და კავშირებს სხვა სფეროებში.

დონა ჰარავეი (Haraway 1989: 4) ამტკიცებს, რომ ყველა სამეცნიერო თეორია, საბუნებისმეტყველოც კი, ეფუძნება განსაკუთრებული სახის მასალას, რომლისთვისაც შეიძლება „მეცნიერების გამონაგონი“ გვეწოდებიან. საერთაშორისო ურთიერთობათა ტრადიციული თეორია ასევე „თხზავს“ საზღვრებს „საშინაო“ და საერთაშორისო პოლიტიკას შორის. ამ მიზეზმა, რომლებიც ეფუძნება ჰობსისეული ბუნებრივი მდგომარეობის აღწერას, შექმნა წარმოდგენა სახიფათო „ანარქიული“ სამყაროს შესახებ, რომელშიც აგრესიული ქცევა ქმედითი კანონების არარსებობის გამო დაუსჯელია. სახელმწიფო საზღვრების დაცვა საგარეო ანარქიასა და საშინაო წესრიგს შორის, საჭიროების შემთხვევაში, ძალის საშუალებითაც აუცილებელია.

ფემინისტები ეჭვქვეშ აყენებენ, რამდენად მიზანშეწონილია საერთაშორისო გარემოს ამგვარი აღწერა. ისინი ამტკიცებენ, რომ ბუნებრივ მდგომარეობაში ინდივიდების ჰობსისეული აღწერა საუკეთ-

---

<sup>22</sup> ამ ფუქსიმდებლური ტექსტების რეალისტური ინტერპრეტაციების უფრო ზოგადი კრიტიკა იხ. Walker 1993.

ესო შემთხვევაში ნაწილობრივია. თუკი ცხოვრება უნდა გაგრძელდეს ერთი თაობის არსებობაზე მეტხანს, ქალი ჩართული უნდა იყოს ისეთ საქმიანობაში, როგორცაა კვლავწარმოება და ბავშვების გაზრდა (Tickner 1992: 46). ბუნებრივი მდგომარეობის მითები საერთაშორისო ურთიერთობებში მათ, ვინც „გარეთაა“ დარჩენილი, არასწორ წარმოდგენას უქმნის. ამან შეიძლება გამოიწვიოს რეალიების დამახინჯებული აღქმა და ობიექტივაცია. ფემინისტური ანალიზი გვეხმარება, დავინახოთ, თუ რამდენად აყალიბებს ამ არასასურველ ხატს „ქალურობის“ გაუფასურებასთან დაკავშირებული წარმოდგენები, თუნდაც ის, რომ ირაციონალურობა და ემოციურობა, ხშირად ასოცირდება ქალთან და გამოიყენება იმის დასახასიათებლად, რაც სახელმწიფოს გარეთაა. როგორც დევიდ კემპბელი აღნიშნავს (Campbell 1992: 238), ეს დისკურსი, რომელიც ჩვეულებრივ იცავს მათ იდენტურობას, ვინც შიგნითაა, რამდენადაც ასოცირდება გარეთ მყოფებთან დაკავშირებულ ხიფათთან, ხშირად ეყრდნობა გენდერულ ტერმინოლოგიას.

თუკი ვეცდებით, ჩამოვაცალიბოთ ნაკლებად ეთნოცენტრული სურათები, ვიდრე ეს ჩვეულებრივ გამოიყენება სახელმწიფოს ქცევის ახსნისას, უნდა მივმართოთ „სიტუაციური ცოდნის“ ჰარავეისეულ ცნებას. ჰარავეის აზრით, ეს მიგვიყვანს სამყაროს უფრო სანდო გააზრებამდე კვლევის ობიექტებისათვის მათი დამოუკიდებელი ინტეგრალურობის დაშვებით. ჰარავეისთვის (Haraway 1988: 592) სიტუაციური ცოდნა მოითხოვს, რომ ცოდნის ობიექტი გამოსახული იყოს აქტორად ან აგენტად და არა საშუალებად. ამგვარი ცოდანა საერთაშორისო თეორიას გახდის უფრო მგრძნობიარეს კულტურული განსხვავებებისადმი და ნაკლებად დამოკიდებულს ხელოვნურ საზღვრებზე. მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია შეიქმნას ჭეშმარიტი ისტორია ან შეიკრიბოს ჭეშმარიტი ფაქტები, საერთაშორისო ურთიერთობათა მკვლევრები კვლავაც უნდა ცდილობდნენ ერთობლივად გაიაზრონ ჩვენი რთული სამყარო. ამ მიზნისაკენ შემდგომი წინსვლა რეალურ საფუძველს გვაძლევს, იმედიანად ვუყუროთ საერთაშორისო ურთიერთობათა დისციპლინის მომავალს.

## დამატებითი საკითხავი მასალა

**პოსტპოზიტივისტური პერსპექტივები.** ტექსტში დამოწმებული ნაშრომების გარდა, ამ მხარდი სფეროს შესანიშნავ შესავლად შეიძლება ჩაითვალოს დერ დერიანის (Derian 1995) ნაშრომი, რომელშიც წარმოდგენილია სხვადასხვა ავტორი და შესულია ზოგიერთი საერთო საკითხი. ამ საკითხებს იკვლევენ რეალისტები, როგორც ინგლისური, ისე ამერიკული სკოლიდან, ლიბერალები, პოსტპოზიტივისტები, კონსტრუქტივისტები, პოსტმოდერნისტები და ფემინისტები. დერ დერიანისა და შაპიროს რედაქციით გამოსულ უფრო ადრინდელ ნაშრომში (Derian and Shapiro 1989) შესულია სხვადასხვა პოსტსტრუქტურალისტური და პოსტმოდერნისტული მიდგომა. კულტურისა და იდენტურობის შესახებ არსებული პოსტპოზიტივისტურ მიდგომებთან დაკავშირებით იხ. ლაპიდისა და კრატოხვილის (Lapid and Kratochvil 1995), ასევე შაპიროსა და ელკერის (Shapiro and Alker 1996) რედაქციით გამოსული კრებულები.

**ფემინისტური პერსპექტივები.** ფემინისტური მიდგომები, რომლებიც აკრიტიკებს საერთაშორისო ურთიერთობების უმთავრეს თეორიებსა და ეპისტემოლოგიას, შეიძლება ინახოს გრანტისა და ნიულენდის (Grant and Newland 1991), ასევე პეტერსონის (Peterson 1992) ნაშრომებში. საერთაშორისო ურთიერთობებზე ფოკუსირებული ცალკეული ავტორებიდან უნდა გამოიყოს სილვესტერი (Sylvester 1994), ტიკნერი (Tickner 1992), პეტერსონი და რანიაანი (Peterson and Runyan 1993), ენლოე (Enloe 1990; 1993). თითოეული მკვლევარი ცდილობს წარმოადგინოს მსოფლიო პოლიტიკა გენდერული თვალთახედვის პრიზმაში. როგორც ვაითუორთი (Whitworth 1994), ისე სტიენსტრა (Stienstra 1994) ფემინისტურ/ნეოგრამშმიანულ სქემას უსადაგებენ ტრადიციულ კულტურულ დებულებებს, რომლებიც ჩადებულია საერთაშორისო ორგანიზაციების პრაქტიკაში.

## **რობერტ ო. ქეოჰენი. საერთაშორისო ურთიერთობები: ძველი და ახალი**

საერთაშორისო ურთიერთობების თეორია XX საუკუნის მიწურულს მღელვარებისა და დაბნეულობის მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ცივი ომის დასრულებამ ცივი ომის შემოქმედებისა და საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების ურთიერთობების შემსწავლელთა დეზორიენტაცია გამოიწვია. მსოფლიო ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციამ წაშალა საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკას შორის არსებული საზღვრები, რამაც უფრო გაართულა ამ ორი სფეროს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განხილვა. თავი იჩინა დისციპლინის შიგნით არსებულმა წინააღმდეგობებმა, რომელიც გამოიხატებოდა ბრწყინვალე აღმოჩენებისა და შეცდომების შერევაში, სამწუხაროდ უთანაბრო პროპორციით. ჩვენ თითქოს საერთაშორისო პოლიტიკური ცხოვრების ღია ზღვაში ვართ გასულნი, თუმცა ეს მომწუსხველი ოკეანეა, სადაც შეგვიძლია დავაკვირდეთ ახალ ქმნილებებს, რომლებიც სრულიად ახლებურად ურთიერთქმედებენ.

შესაძლოა, ამ მცირე მოცულობის თავმა მხოლოდ მკითხველის გაღიზიანება და დაბნევა გამოიწვიოს. იმედი მაქვს, რომ ასე არ მოხდება. მცირე მოცულობის ნარკვევში ყურადღებას გავამახვილებ იმაზე, რასაც საერთაშორისო ურთიერთობათა შესწავლისას ცენტრალურ მეთოდოლოგიურ, კონცეპტუალურ და თეორიულ საკითხებად მივიჩნევ. I პარაგრაფი მიზნად ისახავს იმ მიზნებისა და მეთოდების გარკვევას, რომლებიც ყველაზე უკეთ წაადგება ამ საგნის გაგებას. II პარაგრაფში მოკლედაა მიმოხილული რეალიზმი, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობათა შესწავლისას წამყვანი იყო დასავლეთში ნახევარი საუკუნის განმავლობაში. დღეს რეალიზმი აწყდება სერიოზულ გადახრებს მოვლენათა მოსალოდნელი მსვლელობიდან, რაც ტრანსნაციონალური ურთიერთობების, დემოკრატიული სახელმწიფოების მშვიდობიანი ურთიერთდამოკიდებულების, საერთაშორისო ინსტიტუტების მნიშვნელობის ზრდის შედეგია. III პარაგრაფში ნათელს მოვფენთ არჩევანისა და აუცილებლობის შესახებ ვარაუდების როლს, ხოლო IV პარაგრაფში ჩამოვთვლი ზოგიერთ კვლევით პროგრამას, რომლებსაც საერთაშორისო ურთიერთობებისათვის იმედის მომცემად ვთვლი. თავის ბოლოს წარმოდგენილია არაერთი წინადადება მომავალი ნაყოფიერი კვლევისათვის.

## I მიზნები და მეთოდები

პროფესორ გოულდმანის მიერ ამ სახელმძღვანელოსთვის შემოღებული ტერმინოლოგიის მიხედვით (Goldmann, იხ. ზემოთ: თავი 16), მე ვეკუთვნი საერთაშორისო ურთიერთობების შემსწავლელთა „II ტიპს“, რომლის წარმომადგენლებიც ცდილობენ გაიაზრონ, თუ როგორ ურთიერთობენ სახელმწიფოები ერთმანეთთან და ტრანსნაციონალურ აქტორებთან ან ძალებთან. ნეგატიური კრიტიციზმი (III ტიპი) ერთდროულად აუცილებელიცაა და მარტივიც, თუკი გავითვალისწინებთ ჩვენი ცოდნის სავალალო მდგომარეობას, მაგრამ ის სწრაფად აღწევს უკიდურეს ზღვარს, რომლის შემდეგაც თანდათანობით მცირდება. როგორც გოულდმანი მიუთითებს, ჩვენ საკმაოდ უსუსურნი აღმოვჩნდით მომავლის წინასწარმეტყველებისას, ჩვენი მიზეზშედეგობრივი მოდელები სუსტია, ამდენად საერთაშორისო ურთიერთობების აკადემიური გამოკვლევის დასკვნები არ შეიძლება ზედმეტად სერიოზულად აღვიქვათ, როგორც სახელმძღვანელო დებულებები პოლიტიკური კურსის განსახორციელებლად (I ტიპი). საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერების უმთავრესი ამოცანაა გაგება.

გაგება არ ნიშნავს წინასწარ განჭვრეტას. პროფესორი გოულდმანი არ ეთანხმება ჯონ გედისის (Gadis 1992) კრიტიკულ შენიშვნებს იმის თაობაზე, რომ საერთაშორისო ურთიერთობების თეორიამ ვერ იწინასწარმეტყველა ცივი ომის დასასრული. გედისი, რა თქმა უნდა, მართალია, როდესაც წარმოაჩენს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის არაადეკვატურობას. ჩვენ სათანადოდ ვერ ვაცნობიერებთ, თუ რამდენად შეუწყო ხელი საერთაშორისო ზეწოლამ საბჭოთა კავშირის კოლაფსს. ჩვენ ხელთ არც მყარი თეორიებია, რომლებიც დაგვეხმარებოდა, გვეგრძნო მსოფლიო პოლიტიკის სფეროში მიმდინარე ამგვარი ძვრები. თუმცა, ამასთან ერთად, კრიტიკას იმის თაობაზე, რომ ჩვენ წარუმატებლობა განვიცადეთ საბჭოთა კავშირის აღსასრულის წინასწარგანჭვრეტაში, არასწორ გაგებას ქმნის საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში თეორიის შესაძლებლობების თაობაზე. ცივი ომის დასასრული მეტად კომპლექსური ფენომენია, რომელიც ფესვგადგმულია საბჭოთა კავშირის სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემაში ისე, როგორც საერთაშორისო ურთიერთობებში. მასზე გავლენა მოახდინა მიხეილ გორბაჩოვის არჩევანმა, რომელიც, შესაძლოა, სხვა ლიდერს არ გაეკეთებინა. ჰირშმანს თუ დავესესხებით, ეს იყო კლასიკური „კონიუნ-

ქტურული“ მოვლენა (Hirschman 1970). პრეტენზია იმაზე, რომ პოლიტიკის მკვლევარებს უნდა გაეთვალათ ცივი ომის დასასრული, ნიშნავს მოვთხოვით მეცნიერებს, 65 მილიონი წლის წინ რომ ეარსებათ, უნდა განეჭვრიტათ, რომ მალე დედამიწას კომეტა ან ასტეროიდი დაეჯახებოდა, ეს დაჯახება კი დინოზავრების გადაშენებას გამოიწვევდა.

მიუხედავად ამისა, იმ ფაქტმა, რომ ჩვენ განვიცდით თეორიების ნაკლებობას, რომლებიც საშუალებას მოგვცემდა გაგვეთვალა ცივი ომის დასრულების შედეგების გავლენა მსოფლიო პოლიტიკაზე, რა თქმა უნდა, ჩვენ უფრო მოკრძალებულნი უნდა გავგზადდოს. ამ თვალსაზრისით, ჩვენთვისვეა არახელსაყრელი, შევედართო მეცნიერებს, რომლებიც კოსმოსური კოლიზიების შედეგებს განმარტავენ. ახლანდელი დაბნეულობა ასევე ადასტურებს იმ მტკიცებათა უაზრობას, რომ ჩვენ განკარგულებაშია „მეცნიერება პოლიტიკის შესახებ“, რომლის გათვალისწინებაზეც პოლიტიკოსები, „თავისდა საუბედუროდ“, უარს ამბობენ. ჩვენ არ ვფლობთ საგარეო პოლიტიკაში წარმატების მიღწევის რეცეპტებს. აშკარა უუნარობამ, წინასწარ განვჭვრიტოთ კომპლექსური მოვლენები, მცირე თუ რევოლუციური მნიშვნელობის, უნდა გვასწავლოს: მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანია ვესწრაფოდეთ პირობითი განზოგადებების ჩამოყალიბებასა და გამოცდას, საეჭვოა, რომ ამგვარი განზოგადება დაგვეხმაროს, ვიწინასწარმეტყველოთ ის, რაც მრავალი მიზეზის ურთიერთქმედების შედეგია. ნებისმიერი განზოგადება პირობითია, ალბათობაა და ასოცირებული იქნება მეტ-ნაკლებად ფართო მასშტაბის გაურკვევლობასთან. მნიშვნელოვანი მოვლენები მრავალი ძალის ურთიერთქმედების შედეგია და თუნდაც ხელთ გვეპყრას ალბათობაზე დამყარებული, მაგრამ გაცილებით უფრო მაღალი დონის განზოგადებები, ვიდრე დღეს გვაქვს, მაინც ვერ შევძლებდით სწორ წინასწარმეტყველებას. მეცნიერების მოდელი, რომელიც ეყრდნობა სანდო განზოგადებათა მზარდ რაოდენობას და წინასწარ განჭვრეტს მომავალს, შეუსატყვისია საერთაშორისო ურთიერთობების სფეროსთვის.

მიუხედავად ამისა, მაინც გაუმართლებელია, თავი ავარიდოთ სერიოზულ აღწერილობით თუ მიზეზშედეგობრივ დასკვნებს და ერთმანეთთან უნდა შევაზავოთ თეორიული და ემპირიული კვლევა. ჩვენ ინტერსუბიექტური ცოდნის ძიებაში ვართ. ეს გულისხმობს

რეალურ ფაქტებთან დაკავშირებული თეორიის ძიებას, რომელიც, ამ სფეროსთან დაკავშირებული განსხვავებული თვალსაზრისების არსებობის პირობებში, საერთაშორისო ურთიერთობის შემსწავლელ-თათვის დამაჯერებელი იქნება. ჩვენ როდი გვჯერა, რომ ოდესმე ბოლომდე „ობიექტურნი“ ვიქნებით. რა თქმა უნდა, მიზნები, არსებული შეზღუდვები თუ მიკერძოებულობა გავლენას ახდენს ჩვენს სამუშაოზე, მაგრამ არსებობს ობიექტური ცოდნის იდეალი, რომელსაც უნდა ვესწრაფოდეთ. ამ მიზნის მისაღწევად შეგვიძლია მოვიშველიოთ სამეცნიერო მეთოდები, რათა მოვიპოვოთ: დასკვნები, რომლებიც მომდინარეობს დამკვიდრებული წესებიდან; ნათლად ფორმულირებული ჰიპოთეზები; დეტალური მონაცემები; შეფასებები ჩვენ ჰიპოთეზების გაურკვევლობის ხარისხთან დაკავშირებით; ძალისხმევა, ვეძებოთ უარყოფელი მტკიცებულებები. უკანასკნელ ხანებში დონ კიხოტივით არაერთხელ შევებრძოლეთ მიამიტი პო-ზიტივიზმს ქარის წისქვილებს. გაცილებით ნაკლები იყო მცდელობა, მოგვეძებნა პოპერისა (Popper 1968) და ლაკატოსის (Lakatos 1970) ფალსიფიკაციის რთულ და დახვეწილ პრინციპების უკეთესი ალტერნატივა.

თუ მართლაც გვსურს, ჩავეწვდეთ საერთაშორისო ურთიერთობების არსს, ჩვენ, ერთი მხრივ, უნდა ვისწრაფოდეთ კონტექსტუალურად ზუსტი აღწერისაკენ და აღწერილობითი დასკვნისაკენ, სხვა მხრივ კი, პირობითი, ალბათობაზე დამყარებულ მიზეზშედეგობრივი დებულებებისაკენ. ჩვენ ვერ მოვიძიებთ „აუცილებელ და საკმარის პირობებს“, აამოქმედებს დეტერმინიზმის კანონებს. ანალიზის ნებისმიერ დონეზე ჩვენ უნდა დავაზუსტოთ ჰიპოთეზები და განვჭვრიტოთ მათი უახლოესი შედეგები. ამ მნიშვნელოვან მომენტს ხშირად აბუნდოვანებს „ანალიზის დონეების“ არგუმენტის არასწორი გაგება. სისტემური ხასიათის დებულებებს შედეგები მოჰყვება საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების დონეზე. ისინი შეიძლება შემოწმდეს ამავე დონეზე ისევე, როგორც მიღებული გადაწყვეტილებების შედეგები სისტემის დონეზე. მაგალითად, მოსაზრება, რომ სახელმწიფოები ცდილობენ სხვა სახელმწიფოთა ძალის (Waltz 1979) ან საფრთხის გაწონასწორებას (Walt 1987), ანდა ისინი ცდილობენ „განზე გადგნენ“ კონფლიქტიდან (Schroeder 1994), გულისხმობს სხვადასხვა სახის დისკუსიას საგარეო საქმეთა მინის-

ტრებს შორის, სხვადასხვა პოლიტიკურ ინიციატივას და სხვადასხვა შედეგს საერთაშორისო სისტემისათვის.

რა უნდა მოვიმოქმედოთ, თუკი ნამდვილად არ გვსურს, რომ ჩვენი წინასწარმეტყველება ეფემერული იყოს ან თავს დამნაშავედ ვგრძნობდეთ იმის გამო, რომ არ შეგვიძლია ომებისა თუ ცივი ომის დასრულების წინასწარმეტყველება? ჩვენ აზრი უნდა გამოვიტანოთ ისტორიულად უნიკალური მოვლენებიდან, რომლებიც სხვა კომპლექსური ფენომენების კონიუნქტურის და ადამიანთა არჩევანის შედეგია. ჩვენ არ ძალგვიძს მათი ბოლომდე ახსნა, მაგრამ შეგვიძლია აღვწეროთ მიზეზშედეგობრივი მექანიზმები, რომლებიც მათ იწვევს. ჩვენ ასევე გვჭირდება მათი შედეგების გამოკვლევა იმგვარად, რომლებიც სცდება ნარატიული აღწერის საზღვრებს და უახლოვდება ახსნას, შეისწავლის ამ მოვლენების მთავარ მიზეზობრივ ფაქტორებს, საერთაშორისო პოლიტიკაზე ზეგავლენის მექანიზმების ჩვენეული გაგებიდან გამომდინარე.

ყოველივე ზემოთქმულის განხორციელების ერთ-ერთი გზა XX ს-ის 70-იანი წლების მიწურულს შემოგვთავაზეს ლუის და უოლტერ ალვარესებმა, რომლებმაც ჩამოაყალიბეს დინოზავრების გადაშენების თეორია. ალვარესთა ჰიპოთეზით, 65 მილიონი წლის წინ, როდესაც დედამიწას კომეტა შეეჯახა, ატმოსფეროში მტვრის უზარმაზარი რაოდენობა გაიფანტა, რამაც ტემპერატურის დაცემა და, საბოლოო ჯამში, დინოზავრების გადაშენება გამოიწვია. ამ გზის არჩევას ალვარესები ისევე, როგორც პოლიტიკური მეცნიერების მრავალი წარმომადგენელი, მხოლოდ ვარაუდს გამოთქვამდნენ. თუმცა ისინი უფრო შორს წავიდნენ და დასვეს შეკითხვა იმის თაობაზე, რა მოხდებოდა, თუკი მათი ვარაუდი ჭეშმარიტებას შეესაბამებოდა? ამის შემდეგ მათ დაასკვნეს, რომ დედამიწის ქერქის შესაბამის ადგილებში უნდა არსებულებოდა ირიდიუმის ფენა, რომელსაც ადრე ვერ ამჩნევდნენ. ამგვარი ფენის აღმოჩენა მათი თეორიისათვის სერიოზული დამადასტურებელი ფაქტორი გახდა, თუმცა ის მთლიანად არ ყოფილა დამტკიცებული, ვინაიდან ამგვარი შედეგი სხვა სახის კოლიზიებსაც შეიძლებოდა გამოეწვია. მათ არ უწინასწარმეტყველებიათ ეს კოლიზია – კომეტასთან დაჯახება, მაგრამ იმ ვარაუდის საფუძველზე, რომ ეს კოლიზია მართლაც მოხდა, მათ ახსნეს დინოზავრების გადაშენების მიზეზი (King, Keohane, Verba 1994: 11-12).

ამ მეთოდის მეორე მაგალითი დეტექტიური ჟანრის ლიტერატურაში შეიძლება მოვიძიოთ. ამას „მარპლ-დაგლიშის მეთოდს“ ვუწოდებდი, ორი სახელგანთქმული დეტექტივის პატივსაცემად, რომლებიც შესაბამისად აგათა კრისტისა და პ.დ. ჯეიმსის შემოქმედების ნაყოფი არიან. დეტექტივები ხსნიან არა ზოგადად მკვლელობის, არამედ კონკრეტული მკვლელობის მიზეზებს. ისინი ეყრდნობიან სამართალმცოდნეობას, მაგრამ თავისთავად მეცნიერებას არასოდეს დაუკავებია რომელიმე მკვლელი. დეტექტივები ერთდროულად თეორეტიკოსები და პრაქტიკოსები არიან: ისინი იწყებენ გარკვეული სამხილებით. მათ ხელთ არსებული სამხილებისა და სამეცნიერო განზოგადებების შესატყვისი წინასწარი ჰიპოთეზების ფორმულირებით ეძიებენ ფაქტებს ჰიპოთეზების შესამოწმებლად, ახდენენ საკუთარი ჰიპოთეზების ხელახალ ფორმულირებას და ა.შ., სანამ არ იპოვიან ბოროტმოქმედებს. არ არსებობს „მკვლელის პოვნის მეცნიერება“, თუმცა ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ მარპლი და დაგლიში შესანიშნავად მოქმედებენ, როდესაც დედუქციის მეთოდით არკვევენ, თუ ვინ არის მკვლელი. საერთაშორისო ურთიერთობების შემსწავლელთა შეედლოთ კარგად გამოყენებინათ დეტექტივების მეთოდი მოვლენათა საფუძვლიანი შესწავლითა და აღწერით, მიზეზობრივი მექანიზმების დაზუსტებით, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიოს ამგვარი შედეგები და ჰიპოთეზების ფაქტებზე დაყრდნობით გადამოწმებით. მეცნიერული კვლევის მთავარ კრიტერიუმს შეადგენს არა ის, თუ კომპლექსური მოვლენების რამდენად ზუსტ წინასწარმეტყველებას იძლევა, რაც პრინციპში შეუძლებელია, არამედ ის, თუ რამდენად აფართოებს მოვლენათა მდინარების წინასწარმეტყველების შესაძლებლობას.

## II რეალიზმის აღზევება და დაცემა

მსოფლიო პოლიტიკის შესწავლისას ჩვეულებრივ თეორია უფრო მეტად მისდევს პრაქტიკას, ვიდრე *vice versa* (პირიქით). ადოლფ ჰიტლერის ხელისუფლების სათავეში მოსვლა გერმანიაში, ამის შედეგად კრიზისი და ომი, გახდა რეალიზმის, როგორც აზროვნების სკოლის, აღორძინების მიზეზი. ის წარმოაჩენს ეროვნული ინტერესისა და ძალის როლს და აკრიტიკებს ომთაშორისი პერიოდის გულუბრყვილო იდეალიზმს (Carr 1946; Morgenthau 1948). ცივი ომის

განმავლობაში რეალიზმი გაბატონებული მიდგომა იყო და მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ის იდეოლოგიურ აზროვნებასთან მიმართებაში თითქოს საწამლავის გამაუვნებელის როლს ასრულებდა (Waltz 1959) და წარმოადგენდა სიფრთხილის წყაროს, ვინაიდან ეფუძნებოდა რესურსების გამოფიტვისაგან თავის არიდების პრინციპს, რაც ხორციელდებოდა მიზნებისა და მათი მიღწევის საშუალებებს შორის შესაბამისობის შენარჩუნების მეშვეობით (Lippman 1943). არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რეალიზმის უდიდესმა თეორეტიკოსებმა, მაგალითად, კენანმა, ლიპმანმა, მორგენტაუმ და უოლცმა, შეკრიბეს ადრეულ სტადიაზე ვიეტნამის ომის საწინააღმდეგო განწყობილების თვალსაჩინო მაგალითები. მეტიც, რეალიზმის უოლცისეული სისტემატიზაცია „ნეორეალიზმად“ ან „სტრუქტურული რეალიზმად“, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს რეალისტური პოზიციებიდან მსოფლიო პოლიტიკის გაგების უფრო მყარ საფუძველს, სხვა მხრივ კი, ეხმარება მის კრიტიკოსებს.

იმ დროისათვის, როდესაც უოლცი რეალიზმის პრინციპების სისტემატიზაციას ცდილობდა, უკვე გამოიკვეთა მისი შეუსაბამობა რეალობასთან. როგორც ჰეგელმა შენიშნა, მინერვას ჭოტი მხოლოდ ბინდში დაფრინავს. მსოფლიო ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციამ ინდუსტრიულად განვითარებული დემოკრატიები მიიყვანა „კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების“ მდგომარეობამდე (Keohane and Nye 1977), რომელსაც ახასიათებს მსოფლიო პოლიტიკაში არაერთი პრობლემის დაგროვება, აქტორთა (არა მხოლოდ სახელმწიფოების) სიმრავლე და მრავალი პრობლემის ძალის გამოყენებით გადაწყვეტის არაეფექტურობა. კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულება გარკვეული იდეალური ტიპია, მაგრამ რაც მეტად იძენს რეალობა მის მახასიათებლებს, რეალიზმის თეორია მით უფრო დამაბნეველი ხდება.

ანომალიები, რომლებსაც გამოკვეთს კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულება, სამი სახისაა. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო, მიუხედავად იმისა, რომ რჩება აქტორის ყველაზე მნიშვნელოვან ტიპად მსოფლიო პოლიტიკაში, უკვე აღარ ასრულებს იმდენად დომინირებად როლს, როგორც წარსულში. გაიზარდა სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებთან დაპირისპირებული ტრანსნაციონალური ურთიერთობების მნიშვნელობა. კომუნიკაციების ტრანსნაციონალურმა ფორმებმა – დაწყებული მოკლეტალღოვა-

ნი მაუწყებლობით, დამთავრებული სატელიტური კომუნიკაციებითა და ინტერნეტით – შეასუსტა სახელმწიფოს კონტროლი ინფორმაციაზე. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ნიშნავს, რომ მულტინაციონალური კორპორაციები მნიშვნელოვნად არიან წარმოდგენილი მთელ მსოფლიოში. პრობლემათა ფართო წრის გადაწყვეტის მიზნით სახელმწიფოზე გარედან ზემოქმედების შესაძლებლობებმა (მაგალითად, ადამიანის უფლებებმა, გარემოს დაცვის პრობლემებმა და სხვ.) ეჭვქვეშ დააყენა სუვერენიტეტის ექსკლუზიური ცნებები, როგორცაა მკაფიოდ შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე მოსახლეობის კონტროლი.

გარდა ამისა, რეალისტური წარმოდგენების საპირისპიროდ, ლიბერალური დემოკრატიები არადემოკრატიებისაგან განსხვავებულ საგარეო პოლიტიკას ახორციელებენ. დეფინიციების მიხედვით, ლიბერალური დემოკრატიები ან საერთოდ არ ომობენ ერთმანეთთან, ანდა ომობენ გაცილებით უფრო იშვიათად, ვიდრე მოსალოდნელია (Doyle 1983; Russett 1993; Owen 1994). სამართლის სფეროში ლიბერალური დემოკრატიების სასამართლოები ერთმანეთთან დიალოგს აწარმოებენ და ერთმანეთის გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას ახდენენ საყოველთაოდ გაზიარებული სამართლებრივი პრინციპების საფუძველზე. ისინი მეტად განსხვავებულ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ ავტოკრატიული სახელმწიფოების სასამართლოების გადაწყვეტილებათა მიმართ (Burley 1993). თანამედროვე ლიბერალური დემოკრატიების უნარი, ჩაერთონ თანამშრომლობაზე მიმართული საერთაშორისო ორგანიზაციების მოღვაწეობაში, შეიძლება ითქვას, გარკვეულწილად არსებობს მათი ღიაობის და, შესაბამისად, მათი დაპირებებისადმი გაზრდილი ნდობის წყალობით (Keohane 1984: 258-9; Cowley 1989). ამგვარი განსხვავება დემოკრატიული და არადემოკრატიული ქვეყნების ქცევაში ქმნის სირთულეებს, ყოველ შემთხვევაში, თეორიისათვის მაინც, რომელიც განიხილავს სახელმწიფოებს საერთაშორისო სისტემის სტრუქტურით შეზღუდული „ერთეულების სახით“ (Waltz 1979). თეორია შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ქცევას ცივი ომის პერიოდში განმარტავს, როგორც „თვალსაჩინოდ მსგავსს“ (Waltz 1993: 45). უოლცის ანალიზში სათანადოდ არაა შეფასებული ის ფაქტი, რომ შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის მიერ შექმნილი პოლიტიკური ალიანსები პრინციპულად განსხვავებული იყო – ერთი ნებაყოფლო-

ბითი, დაფუძნებული სტიმულებსა და საერთო ღირებულებებზე (ნატო); მეორე – იძულებითი, დაფუძნებული რეჟიმთა შეთანხმებაზე, რომლებიც ხელისუფლებას იარაღის ძალით ინარჩუნებდნენ (ვარშავის ხელშეკრულება). უოლცის წინასწარმეტყველების მიუხედავად, ნატო დღესაც არსებობს, ვარშავის პაქტი კი სწრაფად დაიშალა.

მესამე ანომალია ეხება საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში შესრულებულ უმნიშვნელოვანეს როლს, „ფორმალური და არაფორმალური, მყარი და ურთიერთდაკავშირებული წესების ნაკრებს, რომლებიც მონაწილეებს თავს ახვევენ ქვევის ნორმებს, ზღუდავენ აქტიურობას და აყალიბებენ მოლოდინებს“ (Keohane 1983: 3). რეალიზმმა ვერ ახსნა საერთაშორისო ინსტიტუტების რიცხვისა და მასშტაბების მკვეთრი ზრდა, რაც მეტად თვალსაჩინო იყო მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში და რაც დღემდე გრძელდება. მთავრობები კვლავაც აგრძელებენ ამგვარი ინსტიტუტების მხარდაჭერისა და განვითარებისათვის მნიშვნელოვანი მატერიალური და სიმბოლური რესურსების გაღებას. XX ს-ის 90-იანი წლების შუა ხანებში ევროკავშირი წარმოადგენს ისტორიაში ყველაზე კარგად ინსტიტუციონალიზებულ ორგანიზაციას. ეს არის არა სახელმწიფო, არამედ მტკიცედ შეკრული ერთობა, აღმსარულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ორგანოებით და პირდაპირი მოქმედების კანონების მზარდი რიცხვით. ნატო, ზოგიერთი შეფასებით, ისტორიაში ყველაზე ძლიერ და ყველაზე მყარი ალიანსი, არის უსაფრთხოების ინსტიტუტი, რომელიც სათანადო შესწავლას მოითხოვს. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციამ (WTO), რომელიც ჩაენაცვლა ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ საყოველთაო სააგენტოს (GATT), მთლიანობაში და ცალკეული შემთხვევების სახით მოიცვა მსოფლიოში მანამდე არსებული ძირითადი სავაჭრო ოპერაციების წარმოების წესები. საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის როლი გარკვეულ დავას იწვევს. ვინმემ შეიძლება ისიც თქვას, რომ გამართლდა ჯონ მენარდ კეინსის შიში, თითქოს ისინი შეიძლება გადაიქცნენ „ნოყიერ ნიადაგად“, რომელიც პოლიტიკოსებს აღმოაცენებს (Gardner 1980: 266). თუმცა ისინი ასევე წარმოადგენენ მსხვილ და მძლავრ ბიუროკრატიულ სტრუქტურებს, ადამიანთა მოდემისათვის ოდესმე ცნობილთა შორის ყველაზე მძლავრს. ის ფაქტი, რომ სახელმწიფოები ხელს

უწყობენ ამ საერთაშორისო ინსტიტუტების ზრდასა და განვითარებას, გულისხმობს, რომ ეს უკანასკნელნი სასარგებლონი არიანი სახელმწიფოსთვის არაერთი თვალსაზრისით.

თუ გავითვალისწინებთ შეუსაბამობას რეალიზმსა და რეალობას შორის, მაშინ გაცეხას არ უნდა იწვევდეს, რომ რეალიზმი უკანასკნელ ხანებში მძაფრი კრიტიკის ობიექტად იქცა. რეალიზმში არასაკმარისადაა წარმოჩენილი საშინაო პოლიტიკისა და საერთაშორისო ორგანიზაციების როლი. მან წარუმატებლობა განიცადა ცვლილების თეორიის ჩამოყალიბებაში. ის, ასევე გადაჭარბებულად აფასებდა სახელმწიფოს, როგორც აქტორს. მსოფლიო არ გახდა უფრო „კეთილი“. სასტიკმა ომებმა ბოსნიასა და ცენტრალურ აზიაში ხელახლა დაადასტურა რეალისტური დებულების ჭეშმარიტება იმის თაობაზე, თუ რამდენად მზადყოფნი და შემძლენი არიან ადამიანები მიმართონ ძალადობას. საერთაშორისო კონტროლის სისუსტემ წააქეზა ეს ჯგუფები, თავს დასხმოდნენ მეზობლებს. როგორც არ უნდა იყოს „ანარქიის“ მნიშვნელობა, საერთო მთავრობის არარსებობა ნიშნავს, რომ ხელისუფლების მოსურნე აქტორებს შეუძლიათ გამოიყენონ ძალა სხვების წინააღმდეგ და მათთან დაპირისპირება შეიძლება მხოლოდ ძალით. ამგვარი კონფლიქტები მუდმივად საზრდოობს შიშის გრძნობითა და ძალით. მიუხედავად იმისა, რომ ხელსაყრელ პირობებში შეიძლება საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნა თანამშრომლობის ხელშეწყობისათვის, ეს რთულია და ამგვარი ინსტიტუტები მყარი არ არის. ჰარმონია არ წარმოადგენს ადამიანთა მოდემის არსებობის ბუნებრივი პირობას. თუმცა ბოსნია ასევე უარყოფს „მომავალში დაბრუნების“ ყველაზე პესიმისტი რეალისტების სცენარებს (Mearsheimer 1990). არ მომხდარა დაბრუნება არც 1914 წლის კავშირებისკენ და არც საყოველთაო ომი გაჩაღებულა ევროპაში. როგორც ზემოთ აღინიშნა, ლიბერალური დემოკრატიები მეტად იშვიათად ომობენ ერთმანეთთან, მაგრამ ჩვენ ხელთ არაა სათანადო თეორია იმის ასახსნელად, თუ რატომ ხდება ასე. ჩვენ ვაკვირდებით რთულ ურთიერთობებს, სამკვდრო-სასიცოცხლო ომებს, საერთაშორისო ინსტიტუტების ჩამოყალიბებას, თანამშრომლობის გაფართოებას თუ უსაფრთხოების პირობების შექმნას უზარმაზარი უცხოური ინვესტიციებისთვის. პრობლემათა მოზაიკა იმ მასშტაბისაა, რომ მას ჩვენ ხელთ არსებულ ვერცერთი თეორია ვერ აუვა.

### III არჩევანი და აუცილებლობა

სახელმწიფოს ქმედება გამომდინარეობს აუცილებლობიდან. ეს არის რეალისტური აზროვნების ამოსავალი. მსოფლიო პოლიტიკის ანარქიული ხასიათი წარმოშობს უსაფრთხოების დილემებს, რომელთა გადაწყვეტისას თითოეულს მხოლოდ საკუთარი თავის იმედი შეიძლება ჰქონდეს. არჩევანის საშუალება მკაცრად შეზღუდულია. ამ მიზეზით, განსხვავებები სოციალურ სისტემებში, იდეებსა და ლიდერების თვისებებში, საბოლოო ჯამში, არც თუ ისე მნიშვნელოვანია. მატერიალური შესაძლებლობები გავლენას ახდენს აუცილებლობის გაცნობიერებაზე და ამ მიზეზით არსებითად განაპირობებს მოქმედებას. სწორედ ეს არის ის, რასაც „სტრუქტურულ“ თეორიას უწოდებენ.

საპირისპიროდ, ლიბერალური და ინსტიტუციური თეორიები ყურადღებას ამახვილებენ უფრო მეტად ცვალებადობაზე, ვიდრე სახელმწიფოთა ქცევის მუდმივობაზე – ვარიაციებზე არა მარტო მატერიალური შესაძლებლობების თვალსაზრისით, არამედ პოლიტიკური პროცესების, განსაკუთრებით კი, სახელმწიფოს შინა და საერთაშორისო სოციალური ინსტიტუტების, თვალსაზრისით. როდესაც სახელმწიფოს ელიტა ვერ ხედავს სარგებელს თანამშრომლობაში, ლიბერალი ინსტიტუციონალისტები მიიჩნევენ, რომ არ არსებობს პერსპექტივა არც თანამშრომლობისათვის და არც თანამშრომლობის ხელშემწყობი ინსტიტუტების შესაქმნელად. მაგრამ თუ სახელმწიფოები ერთობლივად იღებენ სარგებელს თანამშრომლობიდან, ვვარაუდობთ, რომ მთავრობები შეეცდებიან ამგვარი ინსტიტუტების ჩამოყალიბებას. ინსტიტუტებმა შეიძლება უზრუნველყონ ინფორმაციის მიწოდება, შეამცირონ ურთიერთობის საფასური სხვადასხვა სფეროებში, მეტი დამაჯერებლობა შესძინონ დაპირებებს, შექმნან მოქმედების კოორდინაციის საკვანძო პუნქტები და მთლიანობაში ხელი შეუწყონ ურთიერთთანამშრომლობას. მათი ჩამოყალიბება შეიძლება ბლოკირებული იყოს არა მხოლოდ კონფლიქტური ინტერესებით, არამედ მათ წინაშე არსებული პრობლემების ობიექტური სირთულეებითაც. ცდილობს დეტალურად განსაზღვროს, თუ როდის შეიძლება ინსტიტუტები გავლენის მოხდენას და რა ვითარებაში მოხერხდება თანამშრომლობა, ინსტიტუციონალური თე-

ორია ესწრაფვის მიუთითოს ის პირობები, რომელთა დროსაც რეალისტური დებულებები ჩვენს მარტივია.

ლიბერალური ინტერნაციონალიზმის თვალსაზრისით, საშინაო და საერთაშორისო ინსტიტუტები ურთიერთქმედებენ და ერთმანეთს აძლიერებენ. დემოკრატიული საშინაო პოლიტიკა და საერთაშორისო თანამეგობრობის გაფართოება მჭიდროდ უკავშირდება საერთაშორისო ინსტიტუტების რაოდენობის ზრდასთან. საერთაშორისო თანამეგობრობა და ინსტიტუტები ქმნიან „სივრცეს“ საშინაო არჩევანის რეალიზაციისათვის. მე ვიყენებ საერთაშორისო თანამეგობრობის ჰედლი ბულისეულ დეფინიციას: „საერთაშორისო თანამეგობრობა იქმნება მაშინ, როდესაც სახელმწიფოთა ჯგუფი, რომელსაც გაცნობიერებული აქვს გარკვეული საერთო ინტერესები და ღირებულებები, ერთიანდება იმ თვალსაზრისით, რომ ერთმანეთთან ურთიერთობებში ხელმძღვანელობენ საერთო წესებით და ერთობლივად მუშაობენ საერთო ინსტიტუტებში“ (Bull 1977:12).

ინსტიტუტების საქმიანობა გასაგები გახდება, თუკი სტრატეგიულ ქმედებების შესახებ თამაშთა თეორიის ტერმინებით ვიმსჯელებთ. თამაშთა თეორიის მიხედვით, სტრატეგიული ქცევა ნაწილობრივ განპირობებულია დანახარჯითა და სარგებლით – თამაშის „სტრუქტურით“, რომელშიც აისახება როგორც ძალა, ისე უპირატესობები. თუმცა ქცევა ასევე დამოკიდებულია ვიღაცის ხელთ არსებულ ინფორმაციაზე. „ტუსაღის დილემის“ კონფლიქტური შედეგი გამომდინარეობს მოთამაშეთა შორის მყარი კავშირის არარსებობიდან. მართლაც, თამაშთა თანამედროვე თეორიის უმთავრეს შედეგს წარმოადგენს ის, თუ როგორაა დამოკიდებული ქცევა ინფორმაციის მისაწვდომობაზე. მას შემდეგ, რაც მსოფლიო პოლიტიკა მოიცავს სტრატეგიულ ურთიერთქმედებას, ამ პოლიტიკის ნებისმიერი ვარგისი თეორია მოითხოვს, განვიხილოთ ინფორმაცია, როგორც ურთიერთობათა მნიშვნელოვანი ფაქტორი. სტრუქტურულ თეორიას ჩვენ უნდა დავამატოთ სტრატეგიული მიდგომა.

საერთაშორისო ურთიერთობებში მრავალი სიტუაცია „ტუსაღის დილემის“ მსგავსია: თანამშრომლობას მოაქვს ორმხრივი სარგებელი, მაგრამ სხვების მხრიდან დამაჯერებელი ვალდებულებების არარსებობის პირობებში, თითოეულმა აქტორმა საკუთარი ქმედებები ისე უნდა დაგეგმოს, რომ გაითვალისწინოს ყველაზე უარესი სიტუაციის, რომელსაც ყველაზე არასასურველი შედეგები მოაქვს.

სხვა სიტყვებით, წონასწორობა „ტუსაღის დიღემაში“ მყარდება ოპტიმალურ დონეზე დაბლა. სხვა სიტუაციები წააგავს თამაშებს წინასწარ ცნობილი შედეგით, რომლებშიც არსებობს პარეტოს მიერ შემოთავაზებული ოპტიმალური წონასწორობა, მაგრამ მას ემუქრება გაურკვეველობისა და არასწორი ინფორმაციის ზემოქმედების საფრთხე. მრავალი სხვა სიტუაცია წარმოადგენს კოორდინაციის თამაშებს წონასწორობის მრავალგვარი მდგომარეობით. მათგან ნებისმიერი აღემატება სტატუს კვოს, თუმცა განსხვავდება თამაშში ჩართული აქტორების დანახარჯი და სარგებელი (Krasner 1991; Martin 1992b; Morrow 1994). ეს სიტუაციები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგრამ მათ აქვთ ერთი საერთო ნიშან-თვისება: პოტენციური საერთო სარგებლის არსებობის პირობებში ინფორმაცია ქმნის თანამშრომლობის განხორციელების შესაძლებლობას. აქტორების მიერ საკუთარი ინტერესების გაცნობიერება იმდენადვეა დამოკიდებული ინფორმაციაზე, რამდენადაც დანახარჯებსა და სარგებელზე. ის, თუ რისი გაკეთებაა ჩვენთვის სასარგებლო, დამოკიდებულია იმაზე, თუ რას ველით ჩვენ და რას ელიან სხვები, ასევე ჩვენი ვალდებულებებისადმი ნდობაზე. ინსტიტუტებს შეუძლია ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა და საკითხთა სხვადასხვა სფეროს შორის კავშირის გაადვილება (Martin 1992a). ამასთანავე, მოღვაწეობის ამ ორივე სფერომ შეიძლება უფრო შედეგიანი გახადოს „თანამშრომლობა“ და გავლენა მოახდინოს სახელმწიფოთა ინტერესების გაცნობიერებაზე. ამგვარად, ინსტიტუტების არსებობა, მაშინაც კი, თუკი მათ არ ძალუძთ წესების თავს მოხვევა, მნიშვნელოვანია, ვინაიდან ისინი ცვლიან აქტორთა წარმოდგენებს საკუთარი ინტერესების შესახებ.

საზოგადოებას, რომლებსაც არ ემუქრება უეცარი თავდასხმის საფრთხე და არ უხდება არსებობა მუდმივი დამაბულობის პირობებში, შეუძლია, გავლენა მოახდინოს მთავრობათა მხრიდან საკუთარი ინტერესების განსაზღვრის პროცესზე და შესაბამისად იმაზე, თუ როგორ უნდა იმოქმედონ მათ. რეალიზმის თეორიის მიერ სტილიზებული სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, არსებულ სახელმწიფოთა მოღვაწეობა სულაც არ განისაზღვრება შესაძლო სცენარებიდან ყველაზე უარესის ამოსავალ წერტილად აღების „აუცილებლობით“ და შესაძლებელი ოპონენტების დასწრების სწრაფვით. XX საუკუნეში გეოგრაფია ამგვარი შესაძლებლობებით უზრუნველყოფ-

და კუნძულოვან სახელმწიფოებს, მაგალითად, დიდ ბრიტანეთს და მათ, ვინც დაშორებული იყო ევრაზიის კონტინენტიდან, მაგალითად, შეერთებულ შტატებს, კანადას, ავსტრალიას. XX საუკუნეში ამგვარი შესაძლებლობები იზრდება ადამიანთა მიერ შექმნილი ინსტიტუტებით და დემოკრატიის გავრცელებით. თანაც დემოკრატიზაციის პროცესი უფრო თანმიმდევრული და შეუქცევადია, ვიდრე ამას წარმოიდგენდნენ ენთუზიასტები. დემოკრატიები ქმნიდნენ საერთაშორისო ინსტიტუტებს, რომლებიც, თავის მხრივ, ხელს უწყობდნენ ამ პროცესისადმი მიდრეკილი სახელმწიფოების ურთიერთ თანამშრომლობას. ამგვარად შეიქმნა „ვირტუალური, მაგიური წრე“. მსოფლიო პოლიტიკა დაფუძნებული რომ ყოფილიყო მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნვის პრინციპზე, სადაც გადარჩენის არანაირი შესაძლებლობა არ იარსებებდა, საშინაო პოლიტიკა ყოველგვარ მნიშვნელობას დაკარგავდა. თუმცა ის მნიშვნელოვანია იმის გამო, რომ საერთაშორისო ინსტიტუტებისა და მსოფლიო თანამეგობრობის გვერდით რჩება ადგილი სხვადასხვა პოლიტიკური ალტერნატივისთვის.

როგორც რეალიზმი, ისე ინსტიტუციონალიზმი წარმოაჩენს ურთიერთკავშირის მნიშვნელობას საერთაშორისო ურთიერთობებში. რეალიზმი ყურადღებას ამახვილებს მის ნეგატიურ მხარეზე: შურისგება, „თვალი თვალის წილ“. რა თქმა უნდა, გამალებული შეიარაღება და ომთან მიახლოებულ მდგომარეობამდე დამახულობის ესკალაცია ზოგჯერ ამ კუთხით აღიწერებოდა. ურთიერთობების აგება პრინციპზე „კბილი კბილის წილ“ შეიძლება გახდეს ხანგრძლივი მტრობის გამომწვევი, თუკი სხვების მხრიდან თანამშრომლობის სურვილის დაუჯერებელია. შედეგები შეიძლება შემზარავი აღმოჩნდეს (Downs *et al.* 1986; Signorino 1995). ინსტიტუციონალიზმი ყურადღებას ამახვილებს, რომ ამა თუ იმ ფორმის ურთიერთობამ შეიძლება შექმნას თანამშრომლობის საფუძველი (Axelrod 1984; Ostrom 1990; Keohane and Ostrom 1994). ინსტიტუტები იძლევიან ურთიერთობათა რეგულირების საშუალებას ურთიერთშეთანხმების საფუძველზე (Ostrom 1990:90) ეს პრინციპი შეიძლება მოქმედებდეს როგორც სხვადასხვა საზოგადოებების შიგნით, ისე მათ შორის ურთიერთობებისას. ინტერესთა დაპირისპირებამ შურისგების შესაძლებლობასთან, შეიძლება გამოიწვიოს ისეთი პოლიტიკის გატარება, რომელიც დიდწილად ორიენტირებულია თანამშრომლობაზე. ექსპორტიორე-

ბი შეიძლება უფრო მტკიცედ დაუპირისპირდნენ პროტექციონიზმს (Gilligan 1993), იმპორტის დარგებში მოღვაწე მულტინაციონალურ ფირმებს შეუძლიათ არ მოითხოვონ პროტექციონისტული ღონისძიებების გატარება საკუთარი თავის მიმართ მრისხანების გამოწვევის შიშით იმ მთავრობების მხრიდან, რომელთა იურისდიქციის სფეროშიც ისინი მოქმედებენ (Milner 1987).

არც ინსტიტუციონალიზმი და არც ლიბერალიზმი არაა რეალიზმის „ალტერნატივა“. დემოკრატიები და ინსტიტუტები წარმატებას აღწევენ მხოლოდ გარკვეულ პირობებში. დემაგოგიისა და ომის მანკიერი წრე ისეთივე მკაფიოა დღევანდელ მსოფლიო პოლიტიკაში, როგორც დემოკრატიისა და თანამშრომლობის პოზიტიურობა. პრობლემაა არა მთლიანად რეალიზმის შეცვლა, არამედ მისი დებულებების პირობითი ხასიათის აღიარება და ლიბერალიზმისა და ინსტიტუციონალიზმის წარმატებული დებულებების მისადაგება იმ სიტუაციებთან, რომლებშიც არსებობს დემოკრატიისა და საერთაშორისო ინსტიტუტებისათვის ხელსაყრელი პირობები.

## IV ახალი საერთაშორისო ურთიერთობები

საერთაშორისო ურთიერთობების საკვლევი ველი უზარმაზარია. ჩვენ უნდა გავიაზროთ უწყვეტი თანმიმდევრული განვითარებაც და ცვლილებაც; თუ როგორ ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან სახელმწიფოები და როგორი კავშირი აქვთ მათ არასახელმწიფოებრივ აქტორებთან; რა პრინციპებს იყენებენ ისინი საშინაო პოლიტიკაში; როგორ იწვევს საერთო მთავრობის არარსებობა, ერთი მხრივ, სერიოზულ კონფლიქტებს, რომლებშიც მქლავნდება ურთიერთკავშირის პრინციპი, სხვა მხრივ კი, ინსტიტუტების შექმნას, რომლებიც ემყარება იმის გაგებას, თუ როგორ შეიძლება ხელი შევუწყოთ კონფლიქტის გადაწყვეტას. გასაკვირი არაა, რომ აქ სირთულეებს ვაწყდებით, მაგრამ ძნელია გვერდი ავუაროთ ამ ამოცანათაგან რომელიმეს. ყველაზე მნიშვნელოვანია, არ დავკარგოთ საკუთარი სახე და არ ვიქცეთ ნაჩქარევი პოლიტიკური რეკომენდაციების მსხვერპლად.

პროგრესის მისაღწევად საჭიროა მუშაობა პერსპექტიულ კვლევით პროგრამებზე. კვლევითი პროგრამა იწყება ჰიპოთეზებით და არგუმენტებით და არა მხოლოდ პრობლემათა შეკრებით. თითოეული ამგვარი პროგრამა ირჩევს განსაკუთრებულ განმარტებით

ფაქტორებს, საიდანაც მომდინარეობს როგორც ხშირი უთანხმოება, ისე პოტენციური ურთიერთშეხვედრების უნარი. არსებობს მრავალი პოტენციური კვლევითი პროგრამა, შემოქმედებითი წარმოსახვა კი ქმნის ახლებს. ამდენად, ჩემს ჩამონათვალს პრეტენზია არ აქვს ყოვლისმომცველობაზე და მხოლოდ ცდილობს, აჩვენოს ზოგიერთი იმედისმომცემი მიმართულება. მე ავირჩიე ოთხი: რეალისტური ანალიზის გაფართოება, ლიბერალური ინსტიტუციონალიზმი, საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკის ურთიერთზეგავლენა და სუბიექტურობის ანალიზი.

1) *რეალიზმი მოდიფიკაციებით*. იგულისხმება არა დოგმატურად ფორმულირებული რეალიზმი, არამედ წინაპირობების ნაკრების სახით წარმოდგენილი რეალიზმი, რომლის შიგნითაც მკვლევარები ქმნიან პირობით განზოგადებების და ამოწმებენ მათ. ამგვარ რეალიზმს კვლავაც აქვს დიდი პოტენციალი მსოფლიო პოლიტიკის მრავალი სფეროს გაგებისათვის. მაგალითად, შედარებითი სარგებლის ანალიზმა შეიძლება ნათელი მოჰფინოს საერთაშორისო ურთიერთობათა ცალკეულ სფეროებს, თუკი ის მკაფიოდაა გამოხატული და შეესატყვისება მოსალოდნელი სარგებლის თეორიას (Powell 1991; Bueno de Mesquite and Lalman 1992). მართლაც, შედარებითი სარგებლის ანალიზის ამგვარი ფორმა გამოსადეგია არა მხოლოდ მტრული განწყობის განხილვისას ომისა და მშვიდობის საკითხებთან დაკავშირებით, არამედ ეკონომიკაში სავაჭრო პოლიტიკის სტრატეგიასთან დაკავშირებითაც (Baldwin 1993). თუმცა მსოფლიო პოლიტიკის უნივერსალური კანონების ძიება არასწორი მიმართულებით მიმდინარეობს. ჩვენ უნდა დავსვათ კითხვა: რა პირობებში ასახავს რეალისტური ჰიპოთეზები რეალობას? თავი უნდა ავარიდოთ დეტერმინისტული ტიპის ფსევდოკანონებს და ვეძიოთ პირობითი განზოგადებები, შესაძლებლობის მტკიცებულებანი და კონტექსტუალურად გამოყვანილი განმარტებები, რომლებიც კავშირშია მართლზომიერ მიზეზშედეგობრივ ვარაუდებთან. რეალიზმი, მსგავსად დეტექტივისა, გვეხმარება, გავიაზროთ ისტორიული მოვლენები და მათი მიზეზშედეგობრივი ურთიერთკავშირი, თუმცა ეს ცოდნა პირდაპირ არ მიესადაგება თანამედროვე შემთხვევებს.

2) *ლიბერალური ინსტიტუციონალიზმი*. ეს კვლევითი მიმდინარეობა განხილულია ზემოთ, ასევე – პროფესორ გოულდმანის სტატიაში (Goldmann, იხ. ზემოთ, თავი 16). საერთაშორისო ინსტი-

ტუტების შემსწავლელთათვის უმნიშვნელოვანესია წესებისა და ქმედებების ურთიერთქმედების გაგება, რაც გულისხმობს როგორც წესების დაცვის, ისე მათი ცვლილების ახსნას (Kratochwil 1989). ლიბერალებისათვის ამოსავალია საერთაშორისო პოლიტიკაში ლიბერალური დემოკრატიებისა და არადემოკრატიული ქვეყნების ქცევის გაგება. ორივე მიდგომის კომბინირებით ლიბერალი ინსტიტუციონალისტები მიზნად ისახავენ გაიაზრონ, თუ რა კავშირია დემოკრატიულ პოლიტიკასა და საერთაშორისო ინსტიტუტებს შორის, რამდენად აძლიერებენ ისინი ერთმანეთს. ლიბერალურ ინსტიტუციონალიზმისთვის, რეალიზმის მსგავსად, მზარდი ფორმალიზაცია რაციონალური არჩევანის თეორიის ფორმით შესაძლოა ხელსაყრელი იყოს, სანამ ანგარიში ეწევა მოქმედებათა ისტორიულ და შედარებით კონტექსტებს, თეორიის მიერ შემუშავებული დებულებები კი ემპირიულად გამოიცდება და არ თამაშდება მკვლევრის მიერ გამოგონილ „სათამაშო მოდელებში“.

3) *საერთაშორისო სტრუქტურებისა და პროცესების ზეგავლენა საშინაო პოლიტიკაზე.* ამ მიმართულებას პიტერ გურევიჩმა (P. Gourevitch 1978; 1986) „მეორე შემოტრიალებული წარმოსახვითი სურათი“ უწოდა. როგორია მსოფლიო ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციის ზეგავლენა საშინაო საარჩევნო ინსტიტუტებზე (Cameron 1978; Rogowski 1987)? როგორია საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობის და ინვესტიციების ზრდის სავარაუდო ზეგავლენა საშინაო პოლიტიკურ ქიშპზე (Rogowski 1989; Frieden 1991)? რამდენად ზემოქმედებს გლობალური კომუნიკაციების ცვლილება სხვადასხვა ქვეყნების პოლიტიკაზე? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად შეიძლება განხორციელდეს კვლევა მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით, რამდენადაც ცვლილებები საერთაშორისო სისტემაში აისახება არსებულ საშინაო პოლიტიკურ ინსტიტუტებსა და მათ პრაქტიკულ მოღვაწეობაზე, თანაც ისე, რომ სხვადასხვა ქვეყანაში, სავარაუდოდ, არ უნდა ველოდოთ მსგავსი შედეგების მიღებას.

4) *სუბიექტურობის როლი და მატერიალისტური ანალიზის საზღვრები.* ძნელია, გავიაზროთ ნაციონალიზმის როგორც ლიბერალური, ისე ქსენოფობიური ნაირსახეობა, თუკი ყურადღება არ გამახვილდება ეროვნულ მითებსა და იდეებზე, მათ როლზე სტრატეგიული მიზნების მისაღწევად. როგორც ალექსადერ უენდტი (Wendt 1992) აღნიშნავს, საზოგადოებები დიდწილად თვითონვე აყალიბებ-

ენ საკუთარ იდენტურობებს. სოციალური კონსტრუქცია არაა მისტიკური პროცესი და მისი ანალიზი შესაძლებელია როგორც თამაშთა თეორიის, ისე ანთროპოლოგიის მეშვეობით (Geertz 1973; Bates and Weingast 1995).

სუბიექტურობის პრობლემებისადმი მიდგომის ერთი გზაა, დაიწყო სტრუქტურული ანალიზით, რომელიც მოიცავს რაციონალურობის პრინციპს, შემდეგ კი შეარბილო მისი ვარაუდები შესასწავლი მოვლენის უნიკალურობის, მიზეზშედეგობრივი კავშირების შესახებ არსებული საერთო შეხედულების ანდა უადგილოდ იქნას მიჩნეული განსხვავებების გავლება ფუნდამენტურ რწმენებსა და მსოფლმხედველობაში (Goldstein and Keohane 1993). ამგვარად შესაძლებელია წინსვლა საერთაშორისო ურთიერთობებში სუბიექტურობის უფრო რეალისტური ინტერპრეტაციებისაკენ, თანაც ისე, რომ შენარჩუნდეს მკაფიო განმარტებითი სქემა, რომელიც უზრუნველყოფილია სტრუქტურული და სტრატეგიული თეორიების გაერთიანებით. მიუხედავად ამისა, ამგვარი კვლევის არსებით ნაკლს წარმოადგენს ის, რომ ჩვეულებრივ, „უპირატესობა“ ენიჭება მატერიალისტურ-რაციონალისტურ სქემას, რომელიც მოითხოვს მისი მოსაზრებებიდან გადახრის დასაბუთებას მაშინ, როცა იმავე ძალით კითხვის ნიშნის ქვეშ არ აყენებს იმას, რომ მატერიალური რაციონალიზმი გამართლებად ცნობს აქტორთა ინტერესებისა და იდენტურობებს, რითაც იწყებს ხოლმე საკუთარ ანალიზს. უახლოესი რამდენიმე წლის მანძილზე საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიის ამოცანაა განსაზღვროს, თუ რამდენად ზემოქმედებს აქტორთა აზროვნების წესი მათი იდენტურობებისა და ინტერესების ფორმირებაზე, თანაც ისე, რომ არ აღმოვჩნდეთ ფსევდოგანმარტებების ან კვაზიფილოსოფიური ჟარგონის ჩაკეტილ წრეში. სუბიექტურობის შემსწავლელებმა, რათა თავი არიდონ ამ საფრთხეს, უნდა მიმართონ რეალურ კვლევით პრობლემებს. განაცხადების ნაკრები, მოწყვეტილი საერთაშორისო ურთიერთობების რეალური პრობლემებს, არ წარმოადგენს კვლევით პროგრამას.

## დასკვნა

ამ თავში შევეცადეთ გამოგვეთქვა სამი პრინციპული მოსაზრება: პირველ რიგში, საერთაშორისო ურთიერთობათა შემსწავლელებმა თავი უნდა დააღწიონ რეალიზმის შეზღუდვებს საშინაო პო-

ლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების ურთიერთზემოქმედების შესწავლისას. მათ უნდა გამოავლინონ ინფორმაციისა და ინსტიტუტების როლი, მაგრამ არ უგულებელყონ რეალიზმის ფუნქციონირებადობის იდეები, რომელიც დასავლურ აზროვნებაში შენარჩუნებულია საუკუნეთა მანძილზე. ჩვენ უნდა გადავსინჯოთ მოსაზრებები სტუქტურისა და აუცილებლობის შესახებ არჩევანის სხვადასხვა ვარიანტების ახსნისას და ურთიერთმიმართების მოქმედების წესის გარკვევისას.

გარდა ამისა, საჭიროა ჩვენი თეორიების ან მათი ელემენტების, ერთმანეთთან დაკავშირება ამოცანის გადასაჭრელად ვარგისი გზით. პროფესორ გოლდმანის მომხიბვლელი წარმოსახვითი სურათის თანახმად, საერთაშორისო ურთიერთობები არ უნდა განვიხილოთ, როგორც „ოლიგოპოლიური შეჯიბრი აშშ-ის წინამძღოლობით მოქმედი ჯგუფებისა, რომელთა გეგმები მიღებული ან უარყოფილი უნდა იქნეს *in toto*“. ჩვენ უნდა შევეცადოთ, თავშეკავებულნი ვიყოთ „პარადიგმული ომების“ გაჩაღებისას, ჩვენს სფეროში ჟურნალების რედაქტორები არ უნდა აყენენ ცდუნებას, უფრო „წარმტაცი“ გახადონ მკითხველისათვის თავიანთი გამოცემები ამგვარი საპირისპირო შედეგების მომტანი ბრძოლის სტიმულირებით.

დაბოლოს, ჩვენ გვჭირდება მუდმივი კავშირი თეორიისა ემპირიულ სამუშაოებთან, რომლებიც მიმართულია რეალურ საერთაშორისო პრობლემებზე და რომლებიც არ ელის საერთო კანონზომიერებების აღმოჩენას, არამედ უკავშირებს სოციალურ მეცნიერებას ისტორიას, იყენებს სტრატეგიულ ანალიზს, კონტექსტურად ორიენტირებულ თამაშთა თეორიას, ცდილობს გაიაზროს სპეციფიკური მოვლენები საერთო პრინციპების შუქზე. ჩვენს ყველა თეორიას ემუქრება საფრთხე, გადაიქცეს დოგმატურად, თუ არ მოხდება მათი დაკავშირება ამჟამინდელ რეალობასთან. თეორია და ემპირიული ანალიზი არ არის ურთიერთგანცალკევებული, მტკიცედ გამიჯნული სფეროები. პროგრესულ კვლევით პროგრამებში ისინი მჭიდროდ უნდა იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი.

### **დამატებითი საკითხავი**

კლასიკური რეალიზმის უმნიშვნელოვანეს ნაშრომად რჩება ჰანს ჯ. მორგენტაუს *პოლიტიკა ერებს შორის* (Morgenthau 1948). ნეორეალიზმის სფეროში უმნიშვნელოვანესი ნაშრომია კენეტ უოლ-

ცის საერთაშორისო პოლიტიკის თეორია (Waltz 1979). კომპლექსური ურთერთდამოკიდებულების კონცეფცია განხილულია რობერტ ო. ქეოჰეინის და ჯოზეფ ს. ნაის გამოკვლევაში *ძალაუფლება და ურთერთდამოკიდებულება* (Keohane and Nye 1977). საერთაშორისო საზოგადოების საკითხი წარმოჩენილია ჰედლი ბულის ნაშრომში *ანარქიული საზოგადოება* (Bull 1977). ინსტიტუციონალური ანალიზი წარმოდგენილია წიგნებში: რობერტ ო. ქეოჰეინი, *ჰეგემონიის შემდეგ* (Robert O. Keohane 1984); კენეტ ოი (რედ.), *თანამშრომლობა ანარქიის პირობებში* (Oye, ed. 1986) და ლაიზა ლ. მარტინი, *იძულებითი თანამშრომლობა* (Martin 1992). დემოკრატიული მშვიდობის თეორიის შესახებ იხ. ბრიუს მ. რასეტის *დემოკრატიული მშვიდობის სიხარბე* (Russet 1993). ურთიერთმიმართება განხილულია რობერტ აქსელროდის ნაშრომში *თანამშრომლობის ევოლუცია* (Axelrod 1984) და ელინორ ოსტრომის გამოკვლევაში *თემების მმართველობა* (Ostrom 1990). უახლესი დისკუსიისათვის იხ. ბოლდუინი (რედ.) *ნეორეალიზმი და ნეოლიბერალიზმი* (Baldwin (ed.) 1993).